

მარინა სენიაშვილი

ბიოლოგია



მასწავლებლის წიგნი



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქაოცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადანყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

მარინა სეხნიაშვილი

ბიოლოგია

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს



მარინა სეხნიაშვილი

ბიოლოგია

IX კლასი, მასწავლებლის ნიგნი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მანანა კვერნაძე

© გამომცემლობა „კლიო“, (2021)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, (2021)

© მარინა სეხნიაშვილი, (2021)

ყველა უფლება და ცულია

ISBN 978-9941-496-10-3

პირველი გამოცემა (2021)



შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181-2,
თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge; www.klio.ge



შპს გამომცემლობა „მერიდიანი“
აღ. ყაზბეგის №47, თბილისი
ტელ.: (+995 32) 239 15 22

E-mail: meridiani777@gmail.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოსწავლის წიგნის კონცეფცია.....	4
მე-9 კლასის სტანდარტი და მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის თავისებურებანი .	6
მოსწავლის წიგნის შესატყვისობა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების შინაარსსა და სამიზნე ცნებებთან	31
თემატური მატრიცები	41
კომპლექსური დავალებების ბარათები	149
კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები	176
პასუხები დავალებებზე	186
დანართი 1.....	221
დანართი 2.....	225
დანართი 3.....	228
გამოყენებული ლიტერატურა.....	234

მოსწავლის წიგნის კონცეფცია

მე-9 კლასის ბიოლოგიის მოსწავლის წიგნი მოიცავს 5 თემსა და 54 პარაგრაფს. იგი თავისი შინაარსით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის სწავლების მიზნებსა და საგნობრივ სტანდარტს. სახელმძღვანელოს შინაარსი ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს, რომელიც საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილია სამ მიმართულებად:

1. ცოცხალი სამყარო – მოსწავლის წიგნში ბიოლოგიის ძირითადი კანონზომიერებები და ცნებების განმარტება წარმოდგენილია პარაგრაფის ტექსტურ შინაარსში, ყოველი პარაგრაფის დასაწყისში გამოტანილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, სამეცნიერო ტერმინები და/ან მათთან დაკავშირებული საკითხები;

2. მეცნიერული კვლევა-ძიება – წიგნში პარაგრაფებში გამოტანილია რუბრიკა: პრაქტიკული დავალებები, რომლებიც სხვა სახის დავალებებთან ერთად, მოითხოვს კვლევითი სამუშაოების (ექსპერიმენტის, სოციოლოგიური კვლევის, ჩატარებული კვლევების მონაცემების ანალიზს, კვლევითი სასწავლო პროექტების) ჩატარებას;

3. მეცნიერება და ტექნოლოგია – მოსწავლის წიგნში წარმოდგენილ რუბრიკაში – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – განხილულია მეცნიერული თეორიების კავშირი ტექნოლოგიებთან და მისი რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

ყოველ პარაგრაფსა და თემების შეჯამებაში მოცემული მრავალფეროვანი დავალება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სამივე კატეგორიის – დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული – ცოდნის დაუფლებას.

ყოველი თემა სახელმძღვანელოში გაშუქებულია სხვადასხვა საკითხის მაგალითზე, რომელთაგანაც ზოგიერთი საკმაოდ ღრმადაა განხილული. მასწავლებელს თავის შეხედულებისამებრ შეუძლია გადაწყვიტოს, თემაში კომპლექსურ დავალებებს რომელი საკითხების ღრმად შესწავლისკენ მიმართავს.

მოსწავლის წიგნში მოცემულია ყოველი თემით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი კომპლექსური დავალებები სიტუაციური ამოცანების, კვლევების, კოგნტური სქემებისა და სასწავლო პროექტების სახით. თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებები მოიცავს ყველა სამიზნე ცნებას. ზოგიერთ საკითხთან მიმართებით შემოთავაზებულია 2-3 სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალება (მოსწავლეებისგან მოითხოვს განსხვავებული სახის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას), რაც მასწავლებელს აძლევს არჩევანის საშუალებას, რომ შეარჩიოს ის კომპლექსური დავალება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მოსწავლის წიგნი აგებულია კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით:

ყოველი მომდევნო თემისა და პარაგრაფის შინაარსი ეყრდნობა წინა თემისა და პარაგრაფის შინაარსს; გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, ამას ემსახურება რუბრიკა: „გაიხსენე“; პარაგრაფში მოცემული დავალებები იძლევა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიური ჩართვის საშუალებას; ისეთი ტიპის დავალებებია, რომ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თვითონ „აღმოაჩინოს კანონზომიერება“, „დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირი“ და სხვ. დავალებები გათვლილია როგორც დამოუკიდებელი, ისე ჯგუფური მუშაობისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებას სოციალური გზით.

გაბატნობთ მოსწავლის წიგნში გამოყენებულ რუბრიკებს:



სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, სამეცნიერო ტერმინები და მათთან დაკავშირებული საკითხები.



გაიხსენე – ბიოლოგიაში ან სხვა საგნებში მიღებული ცოდნის გახსენება.



პრაქტიკული დავალებები – კვლევითი სამუშაო: დაკვირვება, ექსპერიმენტი, სოციოლოგიური კვლევა კითხვარების, ინტერვიუს საშუალებით, ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზი, საკვლევო კითხვის დასმა; მოდელის შექმნა და გამოყენება; პროექტის განხორციელება.



დავალებები – კითხვებზე პასუხების გაცემა, მუშაობა სავარჯიშოებსა და სიტუაციურ ამოცანებზე; სურათებზე, გრაფიკებსა და ცხრილებში მოცემული მონაცემების ანალიზი, მონაცემების ორგანიზება სქემებში.



მეცნიერება პრაქტიკაში – მეცნიერული თეორიის კავშირი და გამოყენება რეალურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები და მისი შეფასება, გავლენა ტექნოლოგიების განვითარებაზე, საზოგადოებასა და გარემოზე.



შეჯამება – პარაგრაფის ძირითადი იდეები.

ბიოლოგია

საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „ბიოლოგიის“ სწავლა-სწავლება გულისხმობს ცოცხალი სისტემების (უჯრედიდან ეკოსისტემის ჩათვლით) შესწავლას, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრებას. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა ორგანიზმის სხვადასხვა ჯგუფს, აგრეთვე ბოგიერთ ევოლუციურ, ეკოლოგიურ და გენეტიკურ კანონზომიერებას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ბიოლოგიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ;
- მოსწავლემ შეძლოს ბიოლოგიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- მოსწავლემ შეძლოს ორგანიზმისა და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ურთიერთ-დაკავშირება;
- მოსწავლეს გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები;
- მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს გარე სამყაროს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- მოსწავლემ გააანალიზოს ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;
- მოსწავლეს შესძინოს დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ბიოლოგია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ბიოლოგიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ცოცხალი სამყარო** - გულისხმობს ბიოლოგიის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე (ნივთიერება და მატერია, სტრუქტურა და ფუნქცია, ენერჯია და ენერჯის გარდაქმნა, სისტემები და ურთიერთქმედებები, მდგრადობა და ცვლილებები) წარმოდგენების ჩამოყალიბებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მისი დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერებას;
- **მეცნიერული კვლევა-ძიება** - გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტების, ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში; კვლევითი უნარების (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა) განვითარებას;
- **მეცნიერება და ტექნოლოგიები** - გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი

ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ბიოლოგიის სტანდარტი შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **რა თავისებურებით გამოირჩევა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა?**

1. სწავლა-სწავლება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე: საფეხურის – 1. შედეგები, 2. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, 3. საკვანძო შეკითხვები.

1. სტანდარტის შედეგები განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ბიოლოგიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს;

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

მაგ., ბიოლ.საბ.1.:

„ბიოლ.“ – მიუთითებს საგანს „ბიოლოგია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ბიოლოგიის სტანდარტის შედეგები	
ბიოლ.საბ.1.	სიცოცხლის ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;
ბიოლ.საბ.2.	ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერჯისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;
ბიოლ.საბ.3.	ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ცვლილების მნიშვნელობის გააზრება;
ბიოლ.საბ.4.	ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა.
	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ბიოლ.საბ.5.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესის შესწავლის მიზნით კვლევის დაგეგმვა;
ბიოლ.საბ.6.	ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;
ბიოლ.საბ.7.	თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება. მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
ბიოლ.საბ.8.	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;
ბიოლ.საბ.9.	მოდელების შექმნა და გამოყენება ცოცხალი სისტემების სტრუქტურისა და ბიოლოგიური პროცესების საჩვენებლად;
ბიოლ.საბ.10.	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.
	მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ბიოლ.საბ.11.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით.
ბიოლ.საბ.12.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;
ბიოლ.საბ.13.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.

2. ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს, ხოლო **მკვიდრი წარმოდგენები** – თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

განმარტება: სამიზნე ცნებებთან ფრჩხილებში მითითებული რიცხვები მიუთითებს, თუ კონკრეტული სამიზნე ცნება საფეხურის რომელ შედეგს შეესაბამება.

სამიზნე ცნება	სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
სტრუქტურა, ფუნქცია (შედეგები: 1, 2, 3, 5, 6,7,8,9,10)	<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიური სისტემა ორგანიზაციის ყოველ დონეზე შედგება სხვადასხვა სტრუქტურისგან; • ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა შეესაბამება მის ფუნქციას და ქმნის ერთ მთლიან სისტემას; • გარემო პირობები გავლენას ახდენს ბიოლოგიური სისტემის აგებულებასა და ფუნქციებზე; • სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურებს შორის შეიძლება იყოს მსგავსებაც და განსხვავებაც.
სასიცოცხლო თვისება (შედეგები: 1, 2, 5, 6,7,8,9,10)	<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გალიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ჰომეოსტაზი, ადაპტაცია; • სასიცოცხლო თვისებები დაკავშირებულია ერთმანეთთან; • სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც; • სასიცოცხლო თვისებები ადაპტირებულია გარემო პირობებთან.
ბიომრავალფეროვნება (შედეგები: 1, 2, 5, 6,7,8,9,10, 11,12,13)	<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზმები დაჯგუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით და ქმნიან სისტემატიკურ ჯგუფებს; • შეგუებულობები გარემო პირობებთან ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას/სახეობის მდგრადობას; • სახეობათა მრავალფეროვნება წარმოიქმნება მემკვიდრეობითობის, ცვალებადობისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად; • ბიომრავალფეროვნება ხელს უწყობს ეკოსისტემების მდგრადობას. • გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის.

<p>ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგები: 1, 2, 5, 6, 5, 6,7,8,9,10, 11,12,13)</p>	<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას; • სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები; • იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი დაიცვას თავისი ჯანმრთელობა; • ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა და გარემოს დაბინძურება იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებასა და ჰომეოსტაზის დარღვევას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას; • გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.
<p>კვლევა (შედეგები: 5, 6,7,8,9,10, 11,12,13)</p>	<ul style="list-style-type: none"> • კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპერიმენტის / ცდის, საველე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით; • კვლევა არის მრავალეტაპიანი აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესწავლის საშუალებას; კვლევის ძირითადი ეტაპებია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა; • მოდელები ასახავენ ბიოლოგიური სისტემებსა და პროცესებს, მოდელებს ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები • მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის ჩატარების დროს; • მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს; მათი შესწავლა და კვლევითი უნარების გამომუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიების არჩევისა და დაუფლებისთვის

3. საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზმების მრავალფეროვნების შენარჩუნება?
- რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვა და როგორ უკავშირდება იგი მდგრადი განვითარების პრინციპებს?
- რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზმების მემკვიდრეობითობას და ცვალებადობას ევოლუციის თვალსაზრისით?
- როგორ შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა ბიოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში/ზოგიერთ პროფესიაში?
- როგორ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევები სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში?
- როგორ ჩავატარო კვლევა: დაკვირვება, ექსპერიმენტი?
- როგორ ხდება ენერჯის ცვლა და ნივთიერებების გარდაქმნა ცოცხალ სისტემებში?
- როგორ შეესაბამება სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა მათ ფუნქციებს?
- რა უპირატესობა აქვს ჯანსაღ ცხოვრების წესს და როგორ მოქმედებს მანვე ჩვევები ადამიანის ორგანიზმზე?
- როგორ დავიცვათ თავი სხვადასხვა გადამდები დაავადებისაგან?

- რა ზიანი შეიძლება მიყენოს სხვადასხვა სახის დამოკიდებულების (ადიქცია) განვითარებამ ჩემ ფსიქიკურ ჯანმრთელობას?

II. სამიზნე ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი. **ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს.** პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. თემატური საკითხები უნდა **უკავშირდებოდეს/გამომდინარეობდეს სასწავლო თემის შეფასების ინდიკატორებიდან.**

სასწავლო თემები
IX კლასი
1. ადამიანის მარეგულირებელი სისტემები
2. შერჩევების ორგანოები
3. რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა
4. უჯრედული მეტაბოლიზმი
5. სახეობა და პოპულაცია

III. **თითოეულ თემას ახლავს შეფასების ინდიკატორები.** ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

IX კლასი

თემა: ადამიანის მარეგულირებელი სისტემები
<p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სტრუქტურა და ფუნქცია</p> <ul style="list-style-type: none"> • ნერვული სისტემის აგებულებისა და ფუნქციის დახასიათება, პირობითი და უპირობო რეფლექსების შედარება (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9); • ენდოკრინული სისტემის ზოგიერთი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევებზე მსჯელობა, მიზნ-შედეგობრივი კავშირების მოდელის შექმნა (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,7,8,9); <p>სასიცოცხლო თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ორგანოთა სისტემების მოქმედების რეგულაციაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3, 5,6,7,8,9); <p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • არსებული მონაცემების საფუძველზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნიკოტინის/ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკის) ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე მოქმედების დასაბუთება (ბიოლ.საბ.1,2,4,5,6,7,8,10); • განსაზღვროს ძილ-ღვიძილის ციკლის, დღის რეჟიმის დარღვევის გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ფსიქიკური ჯანმრთელობის ბიოლოგიურ საწყისებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10); • ციფრული, ქიმიური და სხვა სახის ადიქციის გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ფსიქიკური ჯანმრთელობის ბიოლოგიურ საწყისებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10);

<p>კვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> • მარტივი რეფლექსური რკალის მოდელის შექმნა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8); • არგუმენტების მოყვანა ზოგიერთი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევის (პავლოვის ცდები, კომპიუტერული ტომოგრაფია) მნიშვნელობაზე მედიცინის განვითარებაში (ბიოლ.საბ.7,8,9,11,12); • ადამიანის მარეგულირებელი სისტემების შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, კრიმინალისტიკა) (ბიოლ.საბ.სტ.11,12,13).
--

<p>თემა: შეგრძნების ორგანოები</p> <p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სტრუქტურა და ფუნქცია</p> <ul style="list-style-type: none"> • შეგრძნების ორგანოებში შემავალი სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების აღწერა (ბიოლ.საბ.1,2,9,10); <p>სასიცოცხლო თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანისათვის შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ.საბ.1,2,4,5,6,7,8,9,10); <p>კვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> • ბგერის/გამოსახულების აღქმის მექანიზმის სქემატურად გამოხატვა და კვლევის საფუძველზე სმენის/მხედველობის დარღვევების მიზეზებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2, 4,5,6,7,8,9,10); • თანამედროვე მიღწევების (ლაზერით მკურნალობა, ხელოვნური ბროლი, ხელოვნური სასმენი ძვლები) მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.7,8, 10,11,12); • ადამიანის შეგრძნების ორგანოების შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (პირველადი დახმარება, ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა) (ბიოლ.საბ.11,12,13); <p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • ძლიერი გამღიზიანებლები (ბგერა, სინათლე) შეგრძნების ორგანოებზე (სმენაზე, მხედველობაზე) დამაზიანებელ მოქმედებაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.7,8, 10,11,12).
--

<p>თემა: რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა</p> <p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სტრუქტურა და ფუნქცია</p> <ul style="list-style-type: none"> • ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის დახასიათება და მათ ფუნქციებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); <p>სასიცოცხლო თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზმების გამრავლებაზე, როგორც მნიშვნელოვან სასიცოცხლო თვისებაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); <p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის საფუძველზე დასაბუთება, როგორ მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე მშობლის მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10); • გადამდები დაავადებების (მათ შორის სქესობრივი გზით) გავრცელების რისკ-ფაქტორებზე მსჯელობა, პირადი ჰიგიენისა და სანიტარული პირობების მნიშვნელობის გააზრება ინფექციური დაავადებების (მაგ., შიდსი, C-ჰეპატიტი) გავრცელების პრევენციისათვის (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10, 11,12,13);
--

- არსებული კვლევების საფუძველზე ადრეულ სქესობრივ კავშირთან, ნაადრევ ქორწინებასა და ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზება, მათ გამოწვევებში მისი როლის და პრევენციამე მსჯელობა (ბიოლ.საბ. 8, 9, 10,11,12,13);

- ექიმის როლისა და მისი რეკომენდაციების მნიშვნელობაზე მსჯელობა და თვითმკურნალობის შედეგების გაანალიზება (ბიოლ.საბ.1,2,4,6,7, 9,10);

კვლევა

- არსებული კვლევების საფუძველზე რეპროდუქციული სისტემის ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10);

- ნაყოფის განვითარებაზე მშობლის მავნე ჩვევების უარყოფით მოქმედებაზე მსჯელობა (ბიოლ. საბ.1,2,3,4,5,7,8);

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში არსებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.10, 11,12);

- ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, უშვილობის დაძლევა, (სექსოლოგი, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, ვენეროლოგი, მამოლოგი, ანდროლოგი და სხვ.)) (ბიოლ.საბ.11,12,13).

თემა: უჯრედული მეტაბოლიზმი

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- ორგანიზმისათვის უჯრედის შემადგენლობაში შემავალი არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ.საბ.1,2,3);

- ბიოპოლიმერებს შორის მსგავსება - განსხვავების დადგენა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9);

ბიომრავალფეროვნება

- უჯრედების მრავალფეროვნებაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9);

სასიცოცხლო თვისებები

- შვილეულ უჯრედებში ქრომოსომების განაწილების კანონზომიერებების ახსნა (ბიოლ.საბ.1,2,5,9);

- პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის მსგავსება-განსხვავებების დადგენა მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებში (ბიოლ.საბ.1,2,5,9);

- გენის დახასიათება, როგორც დნმ-ის მონაკვეთის, რომელიც კონკრეტული ცილის სინთეზს და შესაბამის ნიშანთვისებას განსაზღვრავს (ბიოლ.საბ.1,2,3);

ჯანმრთელობა და დაავადება

- უჯრედის მეტაბოლიზმზე მავნე ნივთიერებების (ნიკოტინი, ალკოჰოლი და სხვ.) მოქმედების დასაბუთება (ბიოლ.საბ.2,4,9);

კვლევა

- მიტოზისა და მეიოზის მარტივი მოდელების შექმნა (ბიოლ.საბ.1,2,5,9);

- უჯრედის მეტაბოლიზმთან დაკავშირებული თანამედროვე მიღწევების მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.11,12,13);

- უჯრედის მეტაბოლიზმის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებები, მედიცინა, იმუნოლოგია) (ბიოლ. საბ.11,12,13).

თემა: სახეობა და პოპულაცია
<p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სტრუქტურა და ფუნქცია</p> <ul style="list-style-type: none"> • სახეობისა და პოპულაციის დახასიათება (ბიოლ.საბ.1,2,3); • პოპულაციაზე, როგორც ევოლუციის ერთეულზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); • შეგუებულობების სახეების დახასიათება და მათ მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); <p>სასიცოცხლო თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოდიფიკაციური ცვალებადობის ეკოლოგიური ფაქტორების მოქმედებასთან დაკავშირება (ბიოლ.საბ.1,2,3); • მემკვიდრული ცვალებადობის გენეტიკურ საფუძვლებზე და ევოლუციურ მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); • სახეობის მდგრადობისათვის შეგუებულობების მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3); <p>ბიომრავალფეროვნება</p> <ul style="list-style-type: none"> • სახეობების/პოპულაციების მრავალფეროვნების წარმოქმნის ევოლუციურ, გენეტიკურ და ეკოლოგიურ საფუძვლებზე მსჯელობა; • სახეობის/პოპულაციის შეგუებულობების მრავალფეროვნებაზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,9); <p>კვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის საფუძველზე ადამიანის ისეთ აქტივობებზე მსჯელობა, რომელთაც შეიძლება შეცვალონ სახეობის ევოლუციური განვითარება; • კვლევის საფუძველზე მთავარი ევოლუციური ფაქტორის (ბუნებრივი გადარჩევა) მოქმედების დასაბუთება, არსებობისათვის ბრძოლის სახეების გაანალიზება და ევოლუციის საბოლოო შედეგზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,7,8); • კვლევის ჩატარება ორგანიზმების განვითარებასა და ეკოლოგიური ფაქტორის ინტენსივობას (ოპტიმუმი, გაძლების ზედა და ქვედა ზღვარი) შორის დამოკიდებულების დასადგენად (ბიოლ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9); <p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • სახეობათა მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაანალიზება ადამიანისათვის (ბიოლ.საბ.3,4,9,10); • სახეობათა მრავალფეროვნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით მიღებული ცოდნის გამოყენება სხვადასხვა პროფესიაში/საქმიანობის სფეროში (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა) (ბიოლ.საბ.11,12,13).

IV. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლისა და მასწავლებლისადმი მოთხოვნაა არა მარტო საგნობრივი შედეგების რეალიზება, არამედ ზრუნვა პრიორიტეტული თემების მიმართულებით **მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად**. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და დემოკრატიული კომპეტენციის ჩარჩოს საფუძველზე ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია შემდეგი **პრიორიტეტული თემები**:

- გარემოს დაცვა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ჯანსაღი ცხოვრება;
- სამოქალაქო უსაფრთხოება;

- კონფლიქტების მართვა;
- ფინანსური წიგნიერება;
- კულტურული მრავალფეროვნება;
- ადამიანის უფლებები.

თითოეული ამ მიმართულებით მოსწავლეების ცნობიერების ასამაღლებლად სკოლამ სხვადასხვა საშუალება შეიძლება გამოიყენოს:

- 1) პრიორიტეტულ თემებთან დაკავშირებული საკითხების სავალდებულო საგნებთან ინტეგრირება;
- 2) პრიორიტეტული თემების გამოყენება არაფორმალურ განათლებაში (წრების, კლუბების სასკოლო პროექტების საშუალებით).

V. გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება.

შუალედური სასწავლო მიზნის სტატუსი კომპლექსურ დავალებას აქვს მინიჭებული. ქვემოთ ახსნილია, თუ რა არის კომპლექსური დავალება და რატომ ასრულებს ის შუალედური სასწავლო მიზნის როლს.

მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს: 1) **რისთვის ვასწავლი?** – სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები; 2) **რას ვასწავლი?** – საგნობრივი საკითხი, 3) **როგორ ვასწავლი?** – კომპლექსური დავალება.

რა არის კომპლექსური დავალება? რით განსხვავდება კომპლექსური დავალება სხვა ე.წ. „ჩვეულებრივი“ დავალებებისგან? რატომ არის მნიშვნელოვანი შეფასების კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნება?

კომპლექსური დავალების შესრულება მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითი პროდუქტის (მაგალითად, კომიქსი, მოთხრობა, ვიდეორგოლი, პლაკატი, კვლევის ანგარიში, კვლევის გეგმა, საინფორმაციო ბუკლეტი და სხვა) შექმნას, რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხებთან/შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, თუ როგორ გაიგო ტექსტის შინაარსი, ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის არსი და სხვა). პროცედურებსა და დამახსოვრებაზე ორიენტირებული დავალებებისგან (მაგალითად, არჩევითპასუხიანი ტესტებისგან) განსხვავებით, კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლისგან ახლად შესწავლილი/გასამეორებელი მასალის რეალურ ცხოვრებასთან და სხვა საგნობრივ საკითხებთან დაკავშირებას მოითხოვს (მაგალითად, არ არის საკმარისი მოსწავლემ ზოგადი დებულებები ჩამოაყალიბოს ცვალებადობასთან დაკავშირებით; საჭიროა, რომ მან ყოველდღიურ ცხოვრებაში ცვალებადობის მაგალითი/მაგალითები აღმოაჩინოს და ის თანაკლასელების/მასწავლებლის წინაშე კომპლექსური დავალების საშუალებით წარმოადგინოს და გააანალიზოს). სწავლა-სწავლებისა და შეფასების დაფუძნება კომპლექსურ დავალებებზე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმართვას სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლაზე.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ კომპლექსურმა დავალებამ შუალედური სასწავლო მიზნის როლი შეასრულოს?

რათა კომპლექსურმა დავალებამ შუალედური სასწავლო მიზნის როლი შეასრულოს, საჭიროა რიგი ნიუანსების გათვალისწინება:

1. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ **კომპლექსური დავალება რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს შეესაბამება** (საბუნებისმეტყველო საგნების სპეციფიკისგან გამომდინარე – თემები და საკითხები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკური კავშირებით, ამიტომ კომპლექსური დავალებები, უფრო ხშირად, ერთზე მეტ სამიზნე ცნებაზე გადის);

2. **მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული (და არა ზოგადი) საკითხი**, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება – ანუ განსაზღვრული უნდა იყოს საკითხი, რომლის ღრმად შესწავლასაც ემსახურება კომპლექსური დავალება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ყურადღება არ ექცევა; კომპლექსური დავალება ისეთი უნდა იყოს, რომ

მის შესრულებამდე რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლემ უნდა შეასრულოს აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შექმნას; ანუ **სწავლა-სწავლების პროცესში ყველა აქტივობა მიმართულია იმაზე, რომ მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმაროს** – განხორციელებული აქტივობები უნდა წარმოადგენდეს მასწავლებლის პასუხს შეკითხვაზე – რას ვაკეთებ სწავლა-სწავლების პროცესში იმისთვის, რათა ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ;

3. მითითებული უნდა იყოს თემა, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეს კომპლექსური დავალება (ერთი თემის ფარგლებში ისეთი შინაარსისა და იმდენი კომპლექსური დავალება უნდა შეიქმნას, რომ ყველა სამიზნე ცნებას მოიცავდეს);

4. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ კომპლექსური დავალების ფარგლებში უნდა შექმნას – პროდუქტი ისეთი ფორმის უნდა იყოს შეთავაზებული, რომ მოსწავლისათვის ნაცნობი და გასაგები იყოს; თუ მსგავსი ტიპის პროდუქტი ჯერ მოსწავლეს არ შეუქმნია, მასწავლებელმა უნდა გააცნოს და აუხსნას, თუ რას გულისხმობს ეს პროდუქტი და როგორ უნდა შექმნას;

5. კომპლექსურ დავალებას უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მას სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ (ანუ გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ) მიმართავს, ამავე დროს, შეფასების კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს კავშირი შესასწავლ საკითხთან).

6. კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებისთვის ცნობილი უნდა იყოს საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე – მასწავლებელი წინდაწინვე უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლემ იცის, თუ რისთვის/რა კომპლექსური დავალების შესასრულებლად სჭირდება მას საგნობრივი საკითხის/საკითხების შესწავლა;

7. კომპლექსური დავალება უნდა შეასრულოს კლასში ყველა მოსწავლემ – ყველა ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მასწავლებელი მას შესრულებული კომპლექსური დავალების შესახებ ჰკითხავს და მიაწვდის სათანადო უკუკავშირს;

8. კომპლექსურ დავალებას მოსწავლე წარადგენს ინდივიდუალურად – კომპლექსური დავალება ინდივიდუალურადაც შეიძლება შესრულდეს, წყვილებში და ჯგუფურადაც; მასზე მუშაობა საკლასო ოთახშიც შეიძლება მიმდინარეობდეს და - დამოუკიდებლადაც, თუმცა, დასრულებული ნაშრომის პრეზენტაცია ყველა მოსწავლემ ინდივიდუალურად უნდა განახორციელოს;

9. სასურველია მოხდეს კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად – კლასში მოსწავლეებმა შეიძლება იმუშავონ სხვადასხვა კომპლექსურ დავალებაზე ან ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხს უნდა ეხებოდეს.

კომპლექსური დავალება მოსწავლეს უნდა შევთავაზოთ **კომპლექსური დავალების ბარათის** სახით:

სამიზნე ცნება –
შედეგები –
თემა –
საკითხი –
კომპლექსური დავალების პირობა:

ამ ნიუანსების ასახსნელად გამოვიყენებთ ცხრილს, რომელიც გზადაგზა ივსება და მაგალითების სახით წარმოაჩენს კომპლექსური დავალების პირობის შექმნის პროცესს.

ა) მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული (და არა ზოგადი) საკითხი, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება; მაგალითად, კონკრეტულ საკითხად შეგვიძლია მოვიაზროთ **საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი**

ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები

სამიზნე ცნება –
შედეგები –
თემა –
საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი
ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები
კომპლექსური დავალების პირობა:

ბ) გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ **შერჩეული საკითხი უნდა შეესაბამებოდეს სავალდებულო თემის კონტექსტს.** თემა ყველგან წარმოადგენს კონტექსტს, სადაც უკლებლივ ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს და სასწავლო პროცესი დაიგეგმოს თემების მიხედვით.

სამიზნე ცნება –
შედეგები –
თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები
საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი
ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები
კომპლექსური დავალების პირობა:

გ) კომპლექსური დავალება ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან მიზნებზე – მკაფიოდ უნდა განისაზღვროს **გრძელვადიანი მიზანი**, რომლის დაძლევა/გააზრებასაც მოსწავლის მხრიდან საგნობრივი საკითხის შესწავლა ემსახურება (ანუ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას – რატომ ვასწავლით ამ საკითხის შესახებ მოსწავლეს?). ეროვნულ სასწავლო გეგმაში გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული.

სამიზნე ცნება –
<ul style="list-style-type: none"> ჯანმრთელობა და დაავადება
შედეგები – (1, 2, 4, 11, 12, 13)
თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები
საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი
ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები
კომპლექსური დავალების პირობა:

ამრიგად, კონკრეტული საკითხი გრძელვადიანი სამიზნე ცნებიდან უნდა გამოდინარეობდეს, თუმცა ამ ტიპის კონკრეტული საკითხების გამოყოფა მარტივი არ არის. პრაქტიკაში ტიპურია 2 სახის შეცდომა:

1. ქვეცნებისა და საკითხის ერთმანეთში არევა;
2. ზოგადი და კონკრეტული საკითხების ერთმანეთში არევა.

ამ ტიპის შეცდომებისგან თავის არიდებაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული მაგალითი:

სამიზნე ცნება	ქვეცნება	საკითხი (მაგალითები)
ჯანმრთელობა და დაავადება	დაავადების სიმპტომები, ჰომეოსტაზის დარღვევა, იმუნიტეტის დაქვეითება, პრევენცია	<ol style="list-style-type: none"> 1. პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები 2. ნერვული სისტემის დაავადებები და მისი შედეგები
	მაგნე ჩვევები	<ol style="list-style-type: none"> 1. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გავლენა ნერვული სისტემის მოქმედებაზე 2. მაგნე ჩვევების გავლენა ორსული ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე
	ჰიგიენა	<ol style="list-style-type: none"> 1. პირადი ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობა რეპროდუქციული ორგანოების ჯანმრთელობისთვის 2. კვების ჰიგიენის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის

პირველ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნება, რომლის გასააქტიურებლადაც უნდა შეირჩეს საგნობრივი საკითხი. მეორე სვეტში წარმოდგენილია ქვეცნებები, რომლებიც უფრო მეტად აკონკრეტებს სამიზნე ცნებას და რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს სამიზნე ცნების აქტუალიზება (ანუ მოსწავლემ გაკვეთილზე უნდა იმსჯელოს დაავადებათა სიმპტომებზე, გამომწვევ მიზეზებზე, ჰომეოსტაზზე მისი გავლენისა და პრევენციის გზების შესახებ და არა ზოგადად, **ჯანმრთელობასა და დაავადებაზე**). მესამე სვეტში მოცემულია ცხრილში წარმოდგენილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისი საკითხების ნიმუშები, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა შექმნას კომპლექსური დავალება. ეს ცხრილი მასწავლებლებს იმის აღქმაში დაეხმარება, თუ საიდან გამოდინარეობს საგნობრივი საკითხი. ზემოთ მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით მასწავლებლები იოლად შეძლებენ კომპლექსური დავალებებისთვის საგნობრივი საკითხის მართებულად შერჩევას (ზემოხსენებული ორი შეცდომისგან თავის არიდებას).

აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე სვეტები მყარ მოცემულობას წარმოადგენს, მესამე სვეტში კი რამდენიმე საკითხი მხოლოდ მაგალითის სახით არის დასახელებული. მაგ. „პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგების“ ნაცვლად შეიძლება ეწეროს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ცნებებს – დაავადება, სიმპტომები, ჰომეოსტაზი, პრევენცია – უკავშირდება, მაგალითად, „ნერვული სისტემის დაავადებები“ (უფრო მეტი იხილეთ დანართ 1-ში).

დ) კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლემ უნდა შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი – რომლის საშუალებითაც იგი ცხოვრებისეულ კონტექსტში ცოდნის ტრანსფერს გააკეთებს და შესასწავლ საკითხთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩინს. მაგალითად, ქვემოთ მოცემული კომპლექსური დავალების შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქტია **საინფორმაციო ბუკლეტი**.

<p>სამიზნე ცნება –</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება <p>შედეგები – (1, 2, 4, 11, 12, 13)</p>
--

თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები

საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი

ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები

კომპლექსური დავალების პირობა: დიაბეტის მქონე ადამიანების რაოდენობა სისტემატურად იმატებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 422 მილიონი ადამიანია დიაბეტით დაავადებული. ეს 40 წლის წინანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით ოთხჯერ მეტია. მიუხედავად იმ სერიოზული საფრთხისა, რომელსაც დიაბეტი ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს, დიაბეტით დაავადებულების ნახევარს თავის დაავადებაზე წარმოდგენაც კი არ აქვს. მაშინ, როდესაც, ხშირად, შაქრიანი დიაბეტის გართულების თავიდან ასარიდებლად, საკმარისია საკუთარი ჩვევების შეცვლა და ცხოვრების წესის კორექტირება.

გაეცანი სახელმძღვანელოსა და რესურსებში (1. სამეცნიერო ტექსტი - <https://bit.ly/3hXyD9i> 2. ინტერვიუ ეტიმ-ენდოკრინოლოგთან - <https://bit.ly/3ukGEb2>) მოცემულ ინფორმაციას, მოამზადე **საინფორმაციო ბუკლეტი**, რომელსაც სკოლის საზოგადოებაში და/ან საცხოვრებელ უბანში გაავრცელებ.

ე) როგორ უნდა დაუკავშირდეს კომპლექსური დავალების პირობა სამიზნე ცნებას? ამისათვის კომპლექსური დავალების **პირობაშივე ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები გამოიყენება**. კრიტერიუმები უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, შეესაბამებოდეს კომპლექსური დავალების კონტექსტს, მეორე მხრივ კი, მოსწავლის ყურადღება უნდა მიმართოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ. მაგ. ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით ჩანს, თუ როგორ ჩამოყალიბდება შეფასების კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის. პირველ სვეტში ჩამოწერილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები. მეორე სვეტში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმები ზოგადია და გამოიყენება ყველა იმ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, რომლებიც სამიზნე ცნება – „ჯანმრთელობა და დაავადება“ – დამუშავებას ისახავს მიზნად. მესამე სვეტში კი ეს ზოგადი კრიტერიუმები მისადაგებულია კომპლექსურ დავალებასთან – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები.

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების ნიმუშები
<p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <p>1. ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას.</p> <p>2. სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები;</p>	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> რატომ არის მნიშვნელოვანი ჰომეოსტაზის შენარჩუნება ჯანმრთელობისთვის? როგორია დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და როგორ შეგვიძლია ავირიდოთ დაავადება? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> რატომ არის მნიშვნელოვანი სისხლის შემადგენლობის მუდმივობის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის? როგორია შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი სიმპტომები და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები?

<p>3. ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა და გარემოს დაბინძურება იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებასა და ჰომეოსტაზის დარღვევას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას.</p>	<p>3. რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესს ადამიანის ჯანმრთელობისათვის?</p>	<p>3. რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის?</p>
--	---	---

სამიზნე ცნება -

- **ჯანმრთელობა და დაავადება**

შედეგები - (1, 2, 4, 11, 12, 13)

თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები

საკითხი – ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი

ქვესაკითხი – პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები

კომპლექსური დავალების პირობა: დიაბეტის მქონე ადამიანების რაოდენობა სისტემატურად იმატებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 422 მილიონი ადამიანია დიაბეტით დაავადებული. ეს 40 წლის წინანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით ოთხჯერ მეტია. მიუხედავად იმ სერიოზული საფრთხისა, რომელსაც დიაბეტი ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს, დიაბეტით დაავადებულების ნახევარს თავის დაავადებაზე წარმოდგენაც კი არ აქვს. მაშინ, როდესაც, ხშირად, შაქრიანი დიაბეტის გართულების ასარიდებლად, საკმარისია საკუთარი ჩვევების შეცვლა და ცხოვრების წესის კორექტირება.

გაეცანი სახელმძღვანელოსა და რესურსებში (1. სამეცნიერო ტექსტი - <https://bit.ly/3hXyD9i> 2. ინტერვიუ ექიმ-ენდოკრინოლოგთან - <https://bit.ly/3ukGEb2>) მოცემულ ინფორმაციას, მოამზადე საინფორმაციო ბუკლეტი, რომელსაც სკოლის საზოგადოებაში და/ან საცხოვრებელ უბანში გაავრცელებ.

საინფორმაციო ბუკლეტში საზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ არის მნიშვნელოვანი სისხლის შემადგენლობის მუდმივობის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის და რა როლს ასრულებს მარეგულირებელი სისტემები ამ პროცესში?
- როგორია შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი სიმპტომები და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები?
- როგორ ირღვევა ჰომეოსტაზი შაქრიანი დიაბეტის დროს?
- რა გავლენას მოახდენს გლუკოზის ჰომეოსტაზის დარღვევა შრომისუნარიანობაზე?
- რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის?

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების ნიმუშები
<p>ჯანმრთელობა და დაავადება</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას. 2. სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები; 3. იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი დაიცავს თავისი ჯანმრთელობა; 4. ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა და გარემოს დაბინძურება იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებასა და ჰომეოსტაზის დარღვევას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას; 5. გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რატომ არის მნიშვნელოვანი ჰომეოსტაზის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის? 2. როგორია დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და როგორ შეგვიძლია ავირიდოთ დაავადება? 3. როგორ იცავს იმუნიტეტი ადამიანის ორგანიზმს დაავადებებისაგან? 4. რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესს ადამიანის ჯანმრთელობისათვის? 5. რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობისათვის? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რატომ არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, სისხლის შემადგენლობის მუდმივობის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის? 2. როგორია ბაზედოვის დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები და როგორ ავირიდოთ ეს დაავადება თავიდან? 3. რატომ არ ავადდება გრიპით ყველა ადამიანი? 4. როგორ შეიძლება იმოქმედოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევამ, მაგ., ნარკოტიკების მოხმარებამ, ადამიანის იმუნიტეტსა და ჰომეოსტაზზე? 5. რატომ არის მნიშვნელოვანი, მაგ. სასმელი წყლის სისუფთავის შენარჩუნება ადამიანის ჯანმრთელობისთვის?

დანართ 2-ის ცხრილებში (გვ. 225) მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ ნებისმიერ სამიზნე ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში.

კომპლექსური დავალება გამოიყენება როგორც ცოდნის კონსტრუირებისთვის, ისე მოსწავლის მიღწევების შესაფასებლად. **თითოეული მოსწავლის კომპლექსური დავალების პრეზენტაცია უნდა შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით, რომელიც გულისხმობს განმავითარებელი კომენტარის გაკეთებას. განმავითარებელი შეფასება კეთდება სოლო ტაქსონომიის მიხედვით.** ამ მიზნით, ჯერ უნდა გაეცნოთ თითოეული სამიზნე ცნების მიმართ შექმნილ შეფასებას სოლო-ტაქსონომიის მიხედვით (იხ. დანართ 3-ში, გვ. 228).

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსტის დონე	ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>ჯანმრთელობა და დაავადება (1, 2, 4, 11, 12, 13)</p> <p>ჯანმრთელობა და დაავადება</p>	<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო, არარეფლექსიურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p>	<p>მოსწავლე ვერ იყენებს ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ცოდნას ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით.</p>
<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <p>1. ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას.</p>	<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, მეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p>	<p>მოსწავლე იყენებს ტერმინებს „ჰომეოსტაზი“, „იმუნიტეტი“ განმარტების დონეზე, მაგრამ ვერ აკავშებს მათ ავადობა – ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციებთან. მოსწავლეს აქვს ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის შესახებ, ვერ განსაზღვრავს მის როლს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.</p>
<p>2. სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები;</p>	<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოსწავლე სხნის ტერმინებს „ჰომეოსტაზი“, „იმუნიტეტი“ და ახდენს მათ იდენტიფიცირებას ავადობა – ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციებში. ჩამოთვლის ჯანსაღი ცხოვრების წესის სხვადასხვა ფაქტორს და ითვალისწინებს გარემოს დაცვის მნიშვნელობას ჯანმრთელობასთან მიმართებით.</p>
<p>3. იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი დაიცვას თავისი ჯანმრთელობა;</p> <p>4. ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას;</p>	<p>სოლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მოსწავლე აანალიზებს ჰომეოსტაზისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნების მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში; ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს იმუნიტეტსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს შორის. ახდენს დაავადებების სიმპტომების, გავრცელების გზებისა და გამომწვევი მიზეზების მიხედვით კლასიფიცირებას, განსაზღვრავს პრევენციის გზებს. აანალიზებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.</p>
<p>5. გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის</p>	<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>	<p>მოსწავლე აფასებს, ასაბუთებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის სხვადასხვა ასპექტის მნიშვნელობას, გამოყოფს პრიორიტეტებს იმუნიტეტის, ჰომეოსტაზისა და, ზოგადად, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. შეუძლია ივარაუდოს თუ რა ცვლილებებს გამოიწვევს ორგანიზმში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვითი ღონისძიების დარღვევა. მოჭყავს ცხოვრებისეული მაგალითები. შეუძლია საკითხის განზოგადება.</p>

შეფასების რუბრიკა (ზემოთ განხილული კომპლექსური დავალების)

სამიზნე ცნება: ჯანმრთელობა და დაავადება	
სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლემ არ იცის საკითხი ან იყენებს პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტერმინს: „ჰორმონი“, „დიაბეტი“, მაგრამ ვერ უკავშირებს მათ ერთმანეთთან. შესაბამისად, ვერ ასრულებს კომპლექსურ დავალებას.</p>
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლე სწორად ასახელებს შაქრიანი დიაბეტის სიმპტომებს, აქვს ზერეფე წარმოდგენა ჰომეოსტაზის შესახებ, მაგრამ ამ ცოდნას ვერ აკავშირებს დიაბეტთან.</p>
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/ მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლე სწორად აღწერს შაქრიანი დიაბეტის სიმპტომებს, რომლებსაც აკავშირებს ჰომეოსტაზის დარღვევასთან, მაგრამ დასაბუთებას აკლია მსჯელობა და შესაბამისი არგუმენტებით გამყარება; ვერ მსჯელობს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულისთვის ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ.</p>
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>მოსწავლე სწორად აღწერს შაქრიანი დიაბეტის სიმპტომებს, რომლებსაც აკავშირებს ჰომეოსტაზის დარღვევასთან, თანმიმდევრულად და არგუმენტირებული მსჯელობით ასაბუთებს, რასაც ამყარებს შესაბამისი მაგალითებით; მსჯელობს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულისთვის ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ და მას განიხილავს, როგორც შაქრიანი დიაბეტის გამოვლენის გართულების ერთ-ერთ პირობას. ვერ განაზოგადებს და ვერ მსჯელობს ჯანმრთელობისთვის შინაგანი გარემოს შედგენილობის მუდმივობის მნიშვნელობის შესახებ და ვერ აღწერს ამ პროცესში მარეგულირებელი სისტემის როლს.</p>
	<p>II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი</p> <p>ნაბიჯი 1: ევოლუციის პროცესისათვის რა მნიშვნელობა აქვს მემკვიდრულ ცვალებადობას?</p> <p>რესურსი 1. პარაგრაფი სახელმძღვანელოდან: დარვინის ევოლუციური მოძღვრება (§ 5.14)</p> <p>აქტივობა: მოსწავლეები ეცნობიან პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას დარვინის კონცეფციას ხელოვნური გადარჩევისა და ბუნებრივი გადარჩევის შესახებ და ადარებენ მათ ერთმანეთთან, მონაცემებს წარმოადგენენ მათთვის მოსახერხებელი სქემის სახით</p> <p>რესურსი 2. სურათ 5.66-ზე მოცემული ინფორმაცია დარვინის ევოლუციური კონცეფციის შესახებ</p> <p>აქტივობა: მოსწავლეები ეცნობიან პარაგრაფის ტექსტსა და სურათზე (5.66) მოცემულ ინფორმაციას დარვინის ევოლუციური კონცეფციის შესახებ და აღწერენ ამ პროცესს</p>	

	<table border="1"> <tr> <td data-bbox="241 1304 756 1573"> <p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისესული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შიკთხვებები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადაარჩევა, ხელოვნური გადაარჩევა</p> </td> <td data-bbox="241 657 756 1304"> <ul style="list-style-type: none"> • საინტერესოა, ასეთი იყო ცოცხალი ბუნება, როგორითაც დღეს არის წარმოდგენილი, თუ არსებობდნენ ისეთი ორგანიზმები, რომლებიც დღეს აღარ გვხვდებიან? თუ კი, რატომ ფიქრობ ასე? თუ არა, რატომ ფიქრობ ასე? • რა არის ჯიშთა მრავალფეროვნების მიზეზი? • რა არის სახეობათა მრავალფეროვნების მიზეზი, ანუ ორგანული სამყაროს ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები დარვინის ევოლუციური თეორიის მიხედვით? • რატომ ასრულებს პოპულაცია ეოლუციის ელემენტარული ერთეულის როლს? • რა კრიტერიუმების მიხედვით შეაღარე ხელოვნური და ბუნებრივი გადაარჩევა და როგორ წარმოადგინე სქემის სახით? </td> </tr> </table> <p>ნაბიჯი 2: ექსპედიციის მონაცემების საფუძველზე როგორ დააკავშირებ ერთმანეთთან ეკოლოგიური, გენეტიკური და ევოლუციური ფაქტორების როლს ევოლუციის პროცესში?</p> <p>რესურსი 1. პარაგრაფი სახელმძღვანელოდან: არსებობისათვის ბრძოლის ფორმები (§ 5.15)</p> <p>რესურსი 2. პარაგრაფის სურათები (5.67-5.72) არსებობისათვის ბრძოლის ფორმების შესახებ</p> <p>აქტივობა 1: მოსწავლეები ეცნობიან პარაგრაფის ტექსტსა და სურათებზე მოცემულ ინფორმაციას არსებობისათვის ბრძოლის ფორმებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ახდენენ მონაცემების ორგანიზებას სქემაში:</p> <table border="1"> <tr> <td data-bbox="1141 1131 1307 1573">არსებობისათვის ბრძოლის ფორმა</td> <td data-bbox="1141 657 1307 1131">მაგალითი/მაგალითები</td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> </tr> <tr> <td> </td> <td> </td> </tr> </table>	<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისესული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შიკთხვებები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადაარჩევა, ხელოვნური გადაარჩევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საინტერესოა, ასეთი იყო ცოცხალი ბუნება, როგორითაც დღეს არის წარმოდგენილი, თუ არსებობდნენ ისეთი ორგანიზმები, რომლებიც დღეს აღარ გვხვდებიან? თუ კი, რატომ ფიქრობ ასე? თუ არა, რატომ ფიქრობ ასე? • რა არის ჯიშთა მრავალფეროვნების მიზეზი? • რა არის სახეობათა მრავალფეროვნების მიზეზი, ანუ ორგანული სამყაროს ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები დარვინის ევოლუციური თეორიის მიხედვით? • რატომ ასრულებს პოპულაცია ეოლუციის ელემენტარული ერთეულის როლს? • რა კრიტერიუმების მიხედვით შეაღარე ხელოვნური და ბუნებრივი გადაარჩევა და როგორ წარმოადგინე სქემის სახით? 	არსებობისათვის ბრძოლის ფორმა	მაგალითი/მაგალითები							<p>2. დაგეგმვის პრობლემა: აღმონაცემის განვითარება გარემოს ბევრ ფაქტორზე დამოკიდებულია: ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, განათებაზე, და მათში არის, აღმონაცემის სიმჭიდროვეზე – ფართობის ერთეულზე ინდივიდების რაოდენობაზე.</p> <p>დაგეგმე და განახორციელე სამონაო ექსპერიმენტი, რომლითაც დაადგენ აღმონაცემის განვითარებაზე სიმჭიდროვის გავლენას. წარმოადგინე ჩატარებული ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც უნდა ასახო: საკვლევი კითხვა, პროგნოზი, დამოკიდებელი, დამოკიდებელი და საკონტროლო ცვლადები, ჩატარებული კვლევის აღწერა, კვლევის შედეგები და მისი ანალიზი, დასკვნა, რომელიც უბაძულებს საკვლევ კითხვას.</p> <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას საზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა როლს ასრულებს არსებობისათვის ბრძოლა ევოლუციის პროცესში? (ბიომრ. მ.წ. 3) • არსებობისათვის ბრძოლის რა ფორმები მიმდინარეობს ბუნებაში და როგორ უკავშირდება ეკოლოგიური ურთერთობის ფორმებს? (ბიომრ. მ.წ. 3) • შენი ექსპერიმენტი არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთერთობის რომელ ფორმას ასახავდა? (კვლ. მ.წ. 3)
<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისესული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შიკთხვებები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადაარჩევა, ხელოვნური გადაარჩევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საინტერესოა, ასეთი იყო ცოცხალი ბუნება, როგორითაც დღეს არის წარმოდგენილი, თუ არსებობდნენ ისეთი ორგანიზმები, რომლებიც დღეს აღარ გვხვდებიან? თუ კი, რატომ ფიქრობ ასე? თუ არა, რატომ ფიქრობ ასე? • რა არის ჯიშთა მრავალფეროვნების მიზეზი? • რა არის სახეობათა მრავალფეროვნების მიზეზი, ანუ ორგანული სამყაროს ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები დარვინის ევოლუციური თეორიის მიხედვით? • რატომ ასრულებს პოპულაცია ეოლუციის ელემენტარული ერთეულის როლს? • რა კრიტერიუმების მიხედვით შეაღარე ხელოვნური და ბუნებრივი გადაარჩევა და როგორ წარმოადგინე სქემის სახით? 											
არსებობისათვის ბრძოლის ფორმა	მაგალითი/მაგალითები											

	<p>აქტივობა 2: მოსწავლეები ეცნობიან პარაგრაფის ტექსტსა და სურათებზე (სურ. 5.67-5.72) მოცემულ ინფორმაციას არსებობისათვის ბრძოლის ფორმებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, განიხილავენ არსებობისათვის ბრძოლის მაგალითებს, ადგენენ მათ შესაბამისობას არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთიერთობების ფორმებთან (შ2, გვ. 120-121)</p> <table border="1" data-bbox="370 614 824 1606"> <tr> <td data-bbox="370 1282 824 1606"> <p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა, არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადარჩევა</p> </td> <td data-bbox="370 614 824 1282"> <ul style="list-style-type: none"> • არსებობისათვის ბრძოლის რა ფორმებს არჩევენ? • არსებობისათვის ბრძოლის რომელი ფორმა მიმდინარეობს უფრო მძაფრად და რატომ? • რატომ ითვლება არსებობისათვის ბრძოლა ბუნებრივი გადარჩევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად? • როგორ დაადგინე და წარმოაჩინე შესაბამისობა არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთიერთობების ფორმებს შორის სქემების საშუალებით? </td> </tr> </table>	<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა, არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადარჩევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • არსებობისათვის ბრძოლის რა ფორმებს არჩევენ? • არსებობისათვის ბრძოლის რომელი ფორმა მიმდინარეობს უფრო მძაფრად და რატომ? • რატომ ითვლება არსებობისათვის ბრძოლა ბუნებრივი გადარჩევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად? • როგორ დაადგინე და წარმოაჩინე შესაბამისობა არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთიერთობების ფორმებს შორის სქემების საშუალებით? 	<ul style="list-style-type: none"> • შენი ექსპერიმენტის მიხედვით, როგორ იმოქმედა მაღალმა სიმჭიდროვემ აღმონაცენის განვითარებაზე? (გვლ. მწ. 3) • მაღალმა სიმჭიდროვემ რომელი აბიოტური ფაქტორებისადმი გამოიწვია ინდივიდებს შორის კონკურენცია? (გვლ. მწ. 3) <p>მაკროცნება კვლევა და მასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმი:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ დაუკავშირებ კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას სოფლის მეურნეობას? (გვლ. მწ. 5)
<p>სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პროცედურული, ბირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები.</p> <p>ქვეცნობები: მემკვიდრული ცვალებადობა, არსებობისათვის ბრძოლა, ბუნებრივი გადარჩევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • არსებობისათვის ბრძოლის რა ფორმებს არჩევენ? • არსებობისათვის ბრძოლის რომელი ფორმა მიმდინარეობს უფრო მძაფრად და რატომ? • რატომ ითვლება არსებობისათვის ბრძოლა ბუნებრივი გადარჩევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად? • როგორ დაადგინე და წარმოაჩინე შესაბამისობა არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთიერთობების ფორმებს შორის სქემების საშუალებით? 			
	<p>ნაბიჯი 3: ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები რამდენად ასახელებს ბუნებაში ბუნებრივი გადარჩევის მიმდინარეობას?</p> <p>რესურსი 1. პარაგრაფი სახელმძღვანელოდან: ადაპტაცია - ბუნებრივი გადარჩევის შედეგი (§ 5.16)</p> <p>რესურსი 2. სახელმძღვანელოს სურათები (5.73-5.78) ადაპტაციების მაგალითების შესახებ</p> <p>აქტივობა: მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოს ტექსტსა და სურათებზე მოცემულ ინფორმაციას ადაპტაციის წარმოქმნის ევოლუციური მექანიზმის შესახებ და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე, ავსებს რუბრიკაში - "დავალებები" - მოცემულ მიზნ-შედეგობრივ სქემას (გვ. 128, ?1)</p> <p>რესურსი 3: რუბრიკაში - „პრაქტიკული დავალებები“ - მოცემულ ტექსტს (გვ. 126, ტექსტი 1 - თეთრი დათვის ადაპტაციები საარსებო გარემოსთან)</p> <p>აქტივობა: ტექსტის გაზრეხული კითხვა - მოსწავლეები ტექსტში ამოიციონ თეთრი დათვის ადაპტაციის ფორმებს და მონაცემების ორგანიზებას აკეთებენ სქემაში</p>			

	<p>სამიმზენ ცოდნის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები.</p> <p>ქვეცნებები: ბუნებრივი გადარჩევა, ადაპტაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • რა არის ბუნებრივი გადარჩევის შედეგები? • ორგანიზმთა გარემოსთან შეკუების რა და რა ფორმას არჩევენ? • რა მნიშვნელობა აქვს შეკუებას სახეობის/პოპულაციის მდგრადობისთვის? • როგორ ახსენი ადაპტაციის წარმოქმნის ევოლუციური მექანიზმი მიზეზშედეგობრივი სქემის საშუალებით? • რა ნიშნებით ამოიყვანე ტექსტში თეთრი დათვის ადაპტაციები საარსებო გარემოსთან და როგორ მოახდინე მისი ორგანიზმბა სქემაში? • რატომ ითვლება ადაპტაცია ბუნებრივი გადარჩევის შედეგად? 	
	<p>მოსწავლის მხრიდან კომპლექსური დაგალების პრემენტაციის პრეცედენტში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ალწერე, როგორ წარმართა დაგალებზე მუშაობის პროცესი; • ალწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დაგალება? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დაგალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დაგალებზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დაგალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დაგალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჭვავს და რით განსხვავდება შენი დაგალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? 	

თემა 1-ის კომპლექსური დავალების ბარათები

კომპლექსური დავალება 1.1 (მოსწ. წიგნი, გვ. 25)

<p>სამიზნე ცნებები –</p> <ul style="list-style-type: none">• სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 9)• სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5)• მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)• მაკროცნება გაზომვა
<p>თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები</p> <p>საკითხი / საკითხები: ადამიანის ნერვული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა</p> <p>ქვესაკითხები: ფუნქციონირება ნერვული რეგულაცია, ზურგის ტვინის სტრუქტურა და ფუნქციები, თავის ტვინის სტრუქტურა და ფუნქციები</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქცია სხვადასხვა სისწრაფით გამომჟღავნდება; რეაქციის სისწრაფე სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებული, მაგალითად, ყურადღების კონცენტრაციაზე. ამ საკითხის გამოკვლევის მიზნით განახორციელებ კვლევა სახელმძღვანელოში მოცემული გეგმის მიხედვით (გვ.25).</p> <p>წარმოადგინე კვლევის ანგარიში და წარადგინე კლასის წინაშე, რომელშიც აღწერ ცდის ეტაპებს, შედეგებსა და დასკვნას.</p> <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას საზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• რაში მდგომარეობს ნერვული სისტემის აგებულებისა და ფუნქციის თავისებურება?• თავის ტვინის სპეციფიკური ფუნქცია როგორ განაპირობებს ნერვული სისტემის, როგორც ერთი მთლიანის, მოქმედებას?• ადამიანში რა სახით გამოიხატება გარემოს გამლიზიანებლის საპასუხოდ გალიზიანებადობა?• რა მნიშვნელობა აქვს გამოყენებულ კვლევით მიდგომას გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქციის სისწრაფის შესასწავლად?• რომელი საზომი ერთეული გამოიყენე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?• ჩატარებულმა კვლევამ რა გიჩვენა საპასუხო რეაქციის სისწრაფეზე ყურადღების კონცენტრაციის გავლენის შესახებ?• რეაქციის სისწრაფესა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ კვლევის გზით შეძენილ ცოდნას როგორ გამოიყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 1.2 (მოსწ. წიგნი, გვ. 29)

<p>სამიზნე ცნებები –</p> <ul style="list-style-type: none">• სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 9)• ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 1, 2, 4, 11, 12, 13)• მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა – ადამიანის მარეგულირებელი სისტემები საკითხი / საკითხები: ადამიანის ნერვული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა ქვესაკითხები: თვის ტვინის ჰემისფეროების სტრუქტურა და ფუნქციები</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ხარ ნეიროფსიქოლოგი ერთი პაციენტის, რომელსაც ასეთი რამ შეემთხვა: 1848 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რკინიგზის ხაზის გაყვანაზე მუშაობდა ფინეას გეიჯი (შეგიძლია ეს ამბავი ინტერნეტშიც წაიკითხო. გამოიყენე საძიებელი სიტყვა Phineas Gage. არსებობს ფილმი ფინეას გეიჯზე. შეგიძლია უყურო მას YouTube-ზე) გეიჯი კარგ მუშად იყო ცნობილი. ის ყოველთვის გულმოდგინედ ასრულებდა სამუშაოს, ხელმძღვანელობდა მუშების ჯგუფს და ყველაფერს დროულად და თანმიმდევრულად აკეთებდა, ქცევითაც დამყოლი და გაწონასწორებული იყო.</p> <p>ერთ დღეს ფინეასი კლდეს აფეთქებდა, რათა გზა გაეხსნა მატარებლის ლიანდაგის დასაგებად. კლდეში გაკეთებულ ხვრელში გეიჯი ძალაყინით ტკეპნიდა დენტს. ფინეასმა შემთხვევით ძალაყინი კლდეს მოახვედრა, რის გამოც ნაპერწკალი გაჩნდა და დენთი აფეთქდა. აფეთქებამ ძალაყინი ხვრელიდან ამოისროლა და მან ფინეასს თავში გაუარა, დაუზიანა ქალა და თავის ტვინის გარკვეული ნაწილი (იხ. სურათი, გვ. 29). საბედნიეროდ, ფინეასი გადარჩა, მაგრამ მას ძლიერ შეეცვალა ქცევა: ის გახდა ძალიან ჭირვეული, უმნიშვნელო მიზეზის გამო ბრაზდებოდა და წონასწორობიდან გამოდიოდა, ხან კი უმიზეზოდ სიცილი აუტყდებოდა.</p> <p>დააკვირდი სურათს (რომელიც ფინეასის ნამდვილი თავის ქალის მიხედვით არის შექმნილი), გამოიყენე დავალების პირობასა და მხატვრულ ფილმში (https://bit.ly/3w7tShs) აღწერილი გეიჯის ისტორია და, როგორც მისმა ნეიროფსიქოლოგმა, დაწერე გეიჯის ავადმყოფობის ისტორია. ისტორია უნდა მოიცავდეს ანამნეზსა და დიაგნოზს.</p> <p>ავადმყოფობის ისტორიის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე –</p> <ul style="list-style-type: none">• რაში გამოიხატება ჰემისფეროების სტრუქტურისა და ფუნქციის თავისებურება?• რა სიმპტომები ახასიათებს გეიჯის დაავადებას და რითაა გამოწვეული?• მონაცემების ანალიზის საფუძველზე ფინეას გეიჯს რა დიაგნოზს დაუსვამ და როგორ დაასაბუთებ მას? რა შედეგი მოჰყვებოდა, თუ ფინეასს ძალაყინი მოგროძო ტვინს დაუზიანებდა?• რა გავლენა მოახდინა გეიჯის ავადმყოფობამ მის შრომისუნარიანობაზე?• ნერვული სისტემის კვლევის რა თანამედროვე მეთოდებს იყენებენ და რა მნიშვნელობა აქვთ მათ?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 1.3 (მოსწ. წიგნი, გვ. 37)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none">• სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 9)• მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - ადამიანის მარეგულირებელი სისტემები საკითხი / საკითხები: ადამიანის ნერვული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა ქვესაკითხი: პირობითი და უპირობო რეფლექსები</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პირობითი რეფლექსის გამომუშავება შეიძლება სხვადასხვა გამლიზიანებელზე.</p> <p>გამოიყენე სახელმძღვანელოსა და დოკუმენტურ ფილმში (პავლოვისა და სკინერის მეთოდები: https://bit.ly/3u0hOwZ) მოცემული ინფორმაცია და პირობითი რეფლექსების ხელოვნურად გამომუშავების პავლოვის მეთოდის მიხედვით დაგეგმე ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ძალს გამოუმუშავდება ზარზე კვებითი პირობითი რეფლექსი.</p> <p>ექსპერიმენტის გეგმაში ასახე:</p> <ul style="list-style-type: none">• ექსპერიმენტის მიზანი;• ვარაუდი: თითოეულ გამლიზიანებელზე რა ტიპის რეაქციას გამოამჟღავნებს ძალის საწყისს ეტაპზე;• ექსპერიმენტისათვის საჭირო რესურსი;• მონაცემების შეგროვების ხერხი;• ექსპერიმენტის ეტაპების აღწერილობა. <p>ექსპერიმენტის გეგმის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე -</p> <ul style="list-style-type: none">• რა როლი აქვს უპირობო რეფლექსებს ორგანიზმის ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში?• რა როლი აქვს პირობით რეფლექსებს გარემოს ცვლად პირობებთან ადაპტაციაში?• რამდენად დაგეხმარა პირობითი რეფლექსის ხელოვნურად გამომუშავების ექსპერიმენტის დაგეგმვაში პავლოვისეული მიდგომა?• რა იყო ექსპერიმენტის თითოეული ეტაპისთვის უპირობო, განურჩეველი და პირობითი გამლიზიანებელი?• პავლოვის მეცნიერულმა აღმოჩენამ რა გავლენა მოახდინა მეცნიერების სხვა დარგების განვითარებაზე?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 1.4 (მოსწ. წიგნი, გვ. 41)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 1, 2, 4, 11, 12, 13)
<p>თემა - ადამიანის მარეგულირებელი სისტემები საკითხი: ადამიანის ნერვული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა ქვესაკითხი: ფსიქოაქტიური ნივთიერებები და ადამიანის ჯანმრთელობა</p>
<p>დავალების პირობა: ხშირად, ადვილად ვეთანხმებით სხვებს და ვაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც არ გვინდა. ასე იმიტომ ვიქცევით, რომ არ გვინდა, დაგვცინონ ან ვინმეს ვაწყენინოთ. ამ დროს კი, ზოგჯერ, უარის თქმაა საჭირო. წამოიღვინე, რომ შენი მეგობარი ნარკოტიკებს მოიხმარს და შენც შემოგთავაზა მისი გასინჯვა, რაზედაც უთხარი, რომ დაფიქრდებოდი. გინდა, ისე უთხრა უარი, რომ არ იყოს მეგობრისთვის შეურაცხმყოფელი და, თანაც, შენი უარი დამაჯერებელი და მტკიცე იყოს. ამ მიზნით, შენ გაცვანი დამატებით სამეცნიერო მასალას (https://bit.ly/3bAUNKA) მოზარდის ჯანმრთელობაზე ნარკოტიკული ნივთიერებების გავლენის შესახებ (რომ უფრო მტკიცე და დამაჯერებელი ყოფილიყო შენი პასუხი), არასასურველ შემთავაზებებზე უარის თქმის სხვადასხვა ფორმის შესახებ რჩევა ჰკითხე უფროსი თაობის ახლობელ ადამიანებსა და ფსიქოლოგს. შედეგად, მეგობარს ისე უთხარი უარი შემთავაზებებზე, რომ არც ნაწყენი დარჩა და შენი გადაწყვეტილების სიმტკიცეშიც დარწმუნდა.</p> <p>შექმენი „რჩევების წიგნი“ და სხვებსაც გაუზიარე ამ კუთხით მიღებული შენი გამოცდილება. „რჩევების წიგნიში“ ჩაწერე: 1) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების განვითარებისა და მისი მოზარდის ჯანმრთელობაზე უარყოფითი განვითარების შესახებ; 2) არასასურველ შემთავაზებებზე უარის თქმის ისეთი ვარიანტები, რომლებიც არ იქნება არც სხვისი და არც საკუთარი ინტერესების შემლახავი.</p> <p>რჩევების წიგნის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე -</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის ნარკოტიკული ნივთიერება? • რა განსხვავებაა ფსიქიკურ და ქიმიურ დამოკიდებულებას შორის? • ნარკოტიკულმა ნივთიერებებმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ჰომეოსტაზსა და იმუნიტეტზე? შრომისუნარიანობაზე? <p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 1.5 (მოსწ. წიგნი, გვ. 55)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none">• ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 1, 2, 4, 11, 12, 13)
<p>თემა - ადამიანის მარეგულირებელი სისტემები საკითხი: ენდოკრინული სისტემა და მისი მოქმედების მექანიზმი ქვესაკითხი: პანკრეასის ენდოკრინული ფუნქციის დარღვევა და მისი შედეგები</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: დიაბეტის მქონე ადამიანების რაოდენობა სისტემატურად იმატებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით 422 მილიონი ადამიანია დიაბეტით დაავადებული. ეს 40 წლის წინანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით ოთხჯერ მეტია. მიუხედავად იმ სერიოზული საფრთხისა, რომელსაც დიაბეტი ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს, დიაბეტით დაავადებულების ნახევარს თავის დაავადებაზე წარმოდგენაც კი არ აქვს მაშინ, როდესაც, ხშირად, შაქრიანი დიაბეტის თავიდან ასარიდებლად, საკმარისია საკუთარი ჩვევების შეცვლა და ცხოვრების წესის კორექტირება. გაეცანი სახელმძღვანელოსა და რესურსებში (1. სამეცნიერო ტექსტი – https://bit.ly/3bBg9aO 2. ინტერვიუ ექიმ-ენდოკრინოლოგთან – https://bit.ly/3oqaBFr) მოცემულ ინფორმაციას, მოამზადე საინფორმაციო ბუკლეტი, რომელსაც სკოლის საზოგადოებაში და/ან საცხოვრებელ უბანში გაავრცელებ.</p> <p>საინფორმაციო ბუკლეტში ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• რატომ არის მნიშვნელოვანი სისხლის შემადგენლობის მუდმივობის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის და რა როლს ასრულებს მარეგულირებელი სისტემები ამ პროცესში?• როგორია შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი სიმპტომები და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები?• როგორ ირღვევა ჰომეოსტაზი შაქრიანი დიაბეტის დროს?• რა გავლენას მოახდენს გლუკოზის ჰომეოსტაზის დარღვევა შრომისუნარიანობაზე?• რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

თემა 2-ის კომპლექსური დავალებების ბარათები

კომპლექსური დავალება 2.1 (მოსწ. წიგნი, გვ. 79)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 9) • სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - შეგრძნების ორგანოები</p> <p>საკითხი / საკითხები: მხედველობის ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციები, მხედველობითი შეგრძნების წარმოქმნა</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: ფეხბურთის მეკარის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მის თვალის სიმახვილეზე (რამდენად კარგად ხედავს მოედანზე ფეხბურთელებისა და ბურთის მოძრაობას) და მხედველობით გამლიზიანებელზე მის სწრაფ რეაქციაზე. წარმოიდგინე, რომ მოწინააღმდეგე კარის მიმართულებით ძლიერად დაარტყა ბურთი, მაგრამ მეკარემ შეასრულა ზუსტი ნახტომი და ბურთი დაიჭირა.</p> <p>შექმენი კოგნიტური სქემა, რომლითაც აღწერ იმ პროცესებში ჩართულ კომპონენტებსა და მათ ფუნქციებს, რომლებიც ხორციელდება ორგანიზმზე გამლიზიანებლის (ბურთის) გემოქმედებიდან დაწყებული გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქციის (მეკარის ნახტომი ბურთისკენ) ჩათვლით. სქემაში უნდა ჩანდეს ნერვული სისტემის როლი შეგრძნების ორგანოებსა და კუნთურ სისტემას შორის კავშირის დამყარებაში; სქემის საშუალებით ახსენი, რომ მეკარის ნახტომი ბურთისკენ არის ორგანიზმის, როგორც ერთი მთლიანის მოქმედების მაგალითი. შექმნილი კოგნიტური სქემა წარმოადგინე ფლიპჩარტზე ან ელექტრონული ვერსიის სახით.</p> <p>კოგნიტური სქემის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბურთიდან არეკლილი სინათლის სხივი ბადურამდე თვალის რა სტრუქტურებს გაივლის, როგორია ამ სტრუქტურების აგებულება და ფუნქციები? • თვალში წარმოქმნილი ნერვული იმპულსი მხედველობის ზონამდე რა სტრუქტურებს გაივლის? როგორია ამ სტრუქტურების აგებულება და ფუნქციები? • რა როლს ასრულებს მხედველობის ორგანო და ნერვული სისტემა მხედველობითი შეგრძნების ჩამოყალიბებაში? • რატომ არის მოსახერხებელი თვალით უხილავი პროცესების მოდელის, მაგალითად, კოგნიტური სქემის სახით წარმოდგენა? • რა შეზღუდვები აქვს შენ მიერ შექმნილ კოგნიტურ სქემას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 2.2 (მოსწ. წიგნი, გვ. 82)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 1, 2, 4, 11, 12, 13) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - შეგრძნების ორგანოები საკითხი: მხედველობის დარღვევა</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ მხედველობის პრობლემები მხოლოდ ასაკოვან ადამიანებს აწუხებთ, მცდარია, რადგან დაუფიქრებელი საქციელით ჩვენი მხედველობა ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გაუარესდეს. ახალგაზრდა ასაკში თვალსა და მის ფუნქციასთან დაკავშირებულმა უსიამოვნებებმა საგრძნობლად იმატა, რადგან ბავშვები, ნაცვლად იმისა, რომ დაკავდნენ სპორტული და ეზოს თამაშებით, საკმაოდ დიდ დროს ატარებენ კომპიუტერისა და ტელეფონის ეკრანებთან, რის გამოც მუდმივად რისკის წინაშე დგას მათი მხედველობის სიმახვილე.</p> <p>სამყარო ზედმეტად საინტერესოა საიმისოდ, რომ ახალი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების მიღების სურვილი დავკარგოთ და საკუთარ მხედველობას არ მოვუფრთხილდეთ. იმისათვის, რომ შენს თანატოლებსა და შენი სკოლის უმცროს კლასელებს აუხსნა, რამდენად მნიშვნელოვანია მხედველობის ჰიგიენური წესების დაცვა, მხედველობითი დარღვევების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციისა და თვალის ექიმის რეკომენდაციების (https://bit.ly/3wJXUZ1 და https://bit.ly/33V347W) საფუძველზე მოამზადე საინფორმაციო ბუკლეტი და გაავრცელე მათ შორის.</p> <p>ბუკლეტში ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • მხედველობის დაქვეითების რა სახეებია გავრცელებული და რა სიმპტომებია დამახასიათებელი? • მხედველობის დაქვეითება რა გავლენას ახდენს ორგანიზმის ჰომეოსტაზსა და შრომისუნარიანობაზე? • რა არის მხედველობის დაქვეითების გამომწვევი მიზეზები? • აღწერე მხედველობის დაქვეითების პრევენციის გზები • მხედველობითი პრობლემების დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის რა თანამედროვე მეთოდები არსებობს?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 2.3 (მოსწ. წიგნი, გვ. 88)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 1, 2, 4, 11, 12, 13) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - შეგრძნების ორგანოები საკითხი: სმენის დარღვევა</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: სმენის დაქვეითება ხშირია ასაკოვან ადამიანებში, მაგრამ ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა სმენითი პრობლემების შემთხვევებმა მოზარდებში. ბავშვებში სმენის დაქვეითება უარყოფითად მოქმედებს მათი მეტყველების განვითარებაზე, აფერხებს თანატოლებთან ნორმალური სოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას და სხვ.</p> <p>შეადგინე კითხვარი და თანატოლებში ჩაატარე გამოკითხვა, რომლითაც დაადგენ, თუ – 1) რა სიხშირით ხმარობენ ყურსასმენებს ხმამაღალი მუსიკის მოსასმენად, 2) რამდენად ხშირად დადიან დისკოთეკებზე, 3) რა იციან სმენის დაქვეითების მიზეზების შესახებ. სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციისა და ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის რეკომენდაციების (https://bit.ly/3fvORnc) გაცნობის საფუძველზე მოამზადე საჯარო მინილექციის შინაარსი, რომლითაც წარდგები შენი სკოლის მოსწავლეების წინაშე. მინილექციაში ჩართე შენი კვლევის შედეგები, რომლებიც მეტ აქტუალობას შესძენს მინილექციის თემას.</p> <p>საჯარო მინილექციაში ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სმენის დაქვეითების რა სახეებია გავრცელებული და რა დამახასიათებელი სიმპტომებით გამოვლინდება? • შენ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რა შეიძლება იყოს მოზარდებში სმენის დაქვეითების მიზეზები? • რატომ არის მნიშვნელოვანი ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის მაგ. ინტერვიუს ან გამოკითხვის დროს? • რა გავლენას ახდენს სმენის დაქვეითება ორგანიზმის ჰომეოსტაზსა და ადამიანის შრომისუნარიანობაზე? • რა არის სმენის დაქვეითების გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები? • აღწერე სმენითი პრობლემების მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p> <p>იბრუნე მინილექციის ვიზუალური მასალით გამდიდრებაზე; შენი მინილექციის მოკლე შინაარსი შეიძლება წარმოადგინო პოსტერის ან ელექტრონული საპრეზენტაციო ფორმატის სახით.</p>

თემა 3-ის კომპლექსური დავალებების ბარათები

კომპლექსური დავალება 3.1 (მოსწ. წიგნი, გვ. 112)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none">• სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 9)• სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5)• მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none">• ადამიანის რეპროდუქციული სისტემის სტრუქტურა და ფუნქციები,• განაყოფიერება და ბავშვის განვითარების მუცლადყოფნის პერიოდი,• ნაყოფის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ხარ ქალთა კონსულტაციის დაწესებულების ექიმი-გინეკოლოგი და ადმინისტრაციამ დაგავალა, მოგემზადებინა ახალგაზრდა მომავალი მშობლებისთვის საინფორმაციო ბროშურა.</p> <p>საინფორმაციო ბროშურაში ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• რაში მდგომარეობს ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების თავისებურება?• რა არის განაყოფიერება და სად ხდება ეს პროცესი ადამიანის ორგანიზმში?• რა გზით გადაეცემა გენეტიკური ინფორმაცია მშობლებისგან ბავშვებს?• რა ფაქტორების გალენით შეიძლება იყოს გამოწვეული განაყოფიერებასთან დაკავშირებული პრობლემები?• უნაყოფობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რა თანამედროვე მეთოდები არსებობს?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 3.2 (მოსწ. წიგნი, გვ. 112)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 4, 11, 12, 13)
<p>თემა - რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუცლადყოფნის პერიოდი, • ნაყოფის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: ბავშვის დაბადება ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამიტომ მომავალმა მშობლებმა უნდა იზრუნონ მუცლადყოფნის პერიოდში ჯანმრთელი ბავშვის განვითარებასა და დაბადებაზე.</p> <p>დამოუკიდებლად გაეცანი პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნაყოფის განვითარებაზე (გვ. 110-111), ასევე, მოიძიე დამატებითი საინფორმაციო მასალა ამ საკითხზე და შექმენი სარეკლამო პლაკატი, რომელზეც დაიტან მომავალი მშობლების მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევის საწინააღმდეგო სლოგანს და/ან ნახატს, რომელიც შეგიძლია წარმოადგინო ფლიპჩარტზე ან ელექტრონული ვერსიის სახით.</p> <p>პლაკატის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ბავშვის განვითარებაზე მუცლადყოფნის პერიოდში? • რა გავლენას ახდენს ორსულ დედასა და მის ნაყოფზე ზოგიერთი მავნე ჩვევა? • რა მნიშვნელობა აქვს ორსული ქალისა და ნაყოფის ჯანმრთელობისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 3.3 (მოსწ. წიგნი, გვ. 116)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 4, 11, 12, 13) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10) • მაკროცნება ადამიანის ღირსებები, უფლებები:
<p>თემა - რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა საკითხი: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებები</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: საქართველოში აივინფიცირებული ადამიანების რიცხვი გაიზარდა. აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ, ხშირად, საზოგადოებას აქვს უარყოფითი დამოკიდებულება და ასეთ ადამიანებს უჭირთ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ეს გამოწვეულია იმიტომ, რომ ადამიანები არ არიან ინფორმირებული ამ ინფექციის გავრცელების გზების შესახებ. გამოიყენე სახელმძღვანელოში მოცემული და ინტერნეტში შენ მიერ მოძიებული ინფორმაცია (ინტერნეტში ჩაწერე საძიებო სიტყვა: „აივ-ინფექცია და ექიმის რეკომენდაცია“), განახორციელე პროექტი, რომლის ფარგლებში:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) გამოიკვლიე საზოგადოების ინფორმირებულობა აივ-ინფექციის შესახებ და დამოკიდებულება აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ; 2) აივ-ინფექციის გავრცელებისა და პრევენციის გზების შესახებ სკოლისა და მიკრორაიონის საზოგადოების ინფორმირების მიზნით შექმენი ბუკლეტი და გაავრცელე (შეგიძლია, ბუკლეტი ელექტრონულ ფორმატში შექმნა და სკოლის ვებ-გვერდზე განათავსო). ბუკლეტში დიაგრამის სახით წარმოადგინე კვლევის შედეგები, აივინფექციის გავრცელების გზები და პრევენციის საშუალებები. წარმოაჩინე, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სგგი-ით დაავადების დროულ აღმოჩენასა და მკურნალობას? <p>პროექტის განხორციელების შემდეგ დაწერე პროექტის ანგარიში და წარუდგინე მასწავლებელსა და კლასს.</p> <p>პროექტის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა განსხვავებაა აივ-ინფიცირებულ და შიდს-ით დაავადებული ადამიანების სიმპტომებს შორის? • რა გზით ვრცელდება აივ-ინფექცია და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან? • რა გავლენას ახდენს აივ იმუნურ სისტემაზე? • რა გავლენას ახდენს სგგი ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ შორის, რეპროდუქციულ სისტემაზე? • რესპონდენტების გამოკითხვა შენი კვლევის მიზნისთვის რამდენად შესაბამისი მეთოდი აღმოჩნდა? • ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით რა ინფორმაციას ფლობს საზოგადოება აივ-ინფექციის გავრცელების შესახებ და რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ? • რატომ არის მნიშვნელოვანი ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის, მაგალითად, ინტერვიუს ან გამოკითხვის დროს? • ადამიანის უფლებების, ღირსებებისა და თავისუფლებების დაცვის და/ან დარღვევის რომელ ფაქტებს შეხვდი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

თემა 4-ის კომპლექსური დავალებების ბარათები

კომპლექსური დავალება 4.1 (მოსწ. წიგნი, გვ. 26)

სამიზნე ცნებები - <ul style="list-style-type: none">• სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5)• მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
თემა - უჯრედული მეტაბოლიზმი საკითხი / საკითხები: <ul style="list-style-type: none">• უჯრედის ქიმიური შედგენილობა;• უჯრედის ორგანული ნივთიერებები (ნახშირწყლები, ლიპიდები, ცილები, ნუკლეინის მჟავები)
კომპლექსური დავალების პირობა: ფერმენტების აქტივობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ტემპერატურაზე, pH-ზე, გარდასაქმნელი ნივთიერებებისა და ფერმენტის კონცენტრაციაზე. დაგეგმე ექსპერიმენტი, რომლითაც დაადგინ ფერმენტ კატალაზას აქტივობის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე. ექსპერიმენტის გეგმაში ასახული უნდა იყოს: საკვლევი კითხვა, საჭირო მასალა, ცვლადები (დამოუკიდებელი, დამოკიდებული, საკონტროლო), ექსპერიმენტის ეტაპები.
ექსპერიმენტის გეგმის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: <ul style="list-style-type: none">• რაში გამოიხატება უჯრედის ქიმიური შედგენილობის თავისებურება?• რაში გამოიხატება ცილის სტრუქტურისა და მისი ფუნქციების თავისებურება?• რა გავლენას ახდენს გარემო პირობები ფერმენტების აქტივობაზე?• რა აქტივობებს მოიაზრებს შენი ექსპერიმენტის გეგმის თითოეული ეტაპი?• რატომ არის მნიშვნელოვანი კვლევის დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვა?
პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის

კომპლექსური დავალება 4.2 (მოსწ. წიგნი, გვ. 28)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none">• სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9)
<p>თემა - უჯრედული მეტაბოლიზმი</p> <p>საკითხი:</p> <ul style="list-style-type: none">• უჯრედის ქიმიური შედგენილობა• უჯრედის ორგანული ნივთიერებები (ნახშირწყლები, ლიპიდები, ცილები, ნუკლეინის მჟავები)
<p>კომპლექსური დავალების პირობა: როგორც უკვე გაეცანი, ცოცხალ უჯრედში გვხვდება სხვადასხვა ტიპის ბიოპოლიმერი: პოლისაქარიდები, ცილები და ნუკლეინის მჟავები. შეადარე ერთმანეთს სხვადასხვა ბიოპოლიმერი ატომური შედგენილობის, მონომერისა და ფუნქციების მიხედვით. მონაცემები წარმოადგინე კოგნიტური სქემის სახით.</p> <p>სქემის პრეზენტაციისას თვალსაჩინოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• რაში გამოიხატება თითოეული ბიოპოლიმერის სტრუქტურული თავისებურება?• რა მსგავსება-განსხვავებაა სხვადასხვა ბიოპოლიმერს შორის?• რა ფუნქციებია დაკავშირებული თითოეულ ბიოპოლიმერთან?• რატომ არის მოსახერხებელი მონაცემების ორგანიზება კოგნიტურ სქემებში?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 4.3 (მოსწ. წიგნი, გვ. 35-36)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none">• სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5, 9)• ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 4, 11, 12, 13)
<p>თემა - უჯრედული მეტაბოლიზმი</p> <p>საკითხი:</p> <ul style="list-style-type: none">• უჯრედული მეტაბოლიზმი• ენერგეტიკული და პლასტიკური ცვლები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: მავნე ნივთიერებები (მაგალითად, ნარკოტიკები) უარყოფით გავლენას ახდენენ უჯრედის მეტაბოლიზმზე. სახელმძღვანელოში მოცემული დაუმთავრებელი ცხრილის საშუალებით შეგახსენებთ, თუ ალკოჰოლი და ნიკოტინი, ზოგადად, რა გავლენას ახდენს ორგანიზმზე, შენ კი ახსენი, ამ ფაქტებმა როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს უჯრედის მეტაბოლიზმზე. ამისთვის დაასრულე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცხრილი (გვ. 153).</p> <p>სქემის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none">• რა არის უჯრედის მეტაბოლიზმი?• რა კავშირია ენერგეტიკულ და პლასტიკურ ცვლებს შორის?• რით განსხვავდება ცილის ბიოსინთეზი ნახშირწყლების სინთეზის პროცესისგან?• რატომ წარმართავს უჯრედის სასიცოცხლო პროცესებს ბირთვი?• რა გავლენას ახდენს უჯრედის მეტაბოლიზმზე მავნე ნივთიერებები?• მეტაბოლიზმის დარღვევა რა გავლენას მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 4.4 (მოსწ. წიგნი, გვ. 40)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნებ კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - უჯრედული მეტაბოლიზმი</p> <p>საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პლასტიკური ცვლა • ფოტოსინთეზი
<p>კომპლექსური დავალების პირობა: თანამედროვე ლაბორატორიებში არსებობს მრავალნაირი ხელსაწყო, რომლებიც იძლევა ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე საფუძვლიანი დაკვირვების საშუალებას. ხელსაწყოები მეტად მგრძობიარეა და შეუძლიათ აღრიცხონ უჯრედში (ორგანიზმში) მიმდინარე თვალთ უხილავი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები (მაგალითად, სენსორი, რომელიც ჟანგბადის კონცენტრაციის ცვლილებას აღრიცხავს). ხელსაწყოებს აქვს მონაცემების დამუშავების კომპიუტერული პროგრამებიც, რომლებიც უადვილებს მკვლევარს მიღებული მონაცემების ანალიზს.</p> <p>წარმოიდგინე, რომ შენი სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია შემდეგი რესურსით: ნახშირორჟანგისა და ჟანგბადის სენსორები, კომპიუტერი სათანადო პროგრამით სენსორებიდან მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად, ქილა, წყალი, პეტრის ჯამზე მოთავსებული წყლის მცენარე ელოდია, პინცეტი, მაგიდის სანათი, სხვადასხვა სიმძლავრის ნათურა (60, 100, 150 W). ამ აღჭურვილობის გამოყენებით დაგეგმე ექსპერიმენტი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას: როგორ მოქმედებს განათების ინტენსივობა ფოტოსინთეზის სიჩქარეზე (გეძლევა არჩევანის უფლება, ფოტოსინთეზის პროცესის ინტენსივობის გამოსაკვლევად ფოტოსინთეზის რეაქციის საწყის ნივთიერებას შეარჩევ თუ საბოლოო პროდუქტს).</p> <p>ექსპერიმენტის გეგმის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა თავისებურებით ხასიათდება მცენარეებში პლასტიკური ცვლა? • რა კავშირია სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის? • რა არის ექსპერიმენტის საკვლევი კითხვა? • სინათლის ინტენსივობის ცვლილება როგორ იმოქმედებს შენ მიერ შერჩეული საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციაზე? (ვარაუდი/ჰიპოთეზა) • რა არის დამოკიდებული, დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადები? (მიუთითე შენი არჩევანის შესაბამისი სენსორი) • რა ეტაპებისგან შედგება შენი ექსპერიმენტის გეგმა? • რა მნიშვნელობა აქვს კვლევის ეტაპების დაგეგმვასა და მის თანმიმდევრულად განხორციელებას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 4.5 (მოსწ. წიგნი, გვ. 39)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9) • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 1, 2, 3) • სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა: უჯრედული მეტაბოლიზმი</p> <p>საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უჯრედების მრავალფეროვნება • მეტაბოლიზმი • ენერგეტიკული და პლასტიკური ცვლები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: შექმენი სხვადასხვა უჯრედის მოდელები: მცენარეული, ცხოველური, სოკოს და ბაქტერიის. მოდელი გამოიყენე უჯრედების ბიომრავალფეროვნებისა და მათში მიმდინარე უჯრედული მეტაბოლიზმის თავისებურებების წარმოსაჩენად.</p> <p>უჯრედების მოდელების პრეზენტაციის დროს ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • უჯრედთა მრავალფეროვნება აგებულების, ფორმისა და ფუნქციების მიხედვით როგორ უკავშირდება ორგანიზმთა სხვადასხვა სისტემატიკურ ჯგუფს? • როგორ უკავშირდება თითოეული უჯრედის სტრუქტურული აგებულება მის მეტაბოლიზმის თავისებურებას? • რა მსგავსება-განსხვავებაა სხვადასხვა ტიპი უჯრედის მეტაბოლიზმს შორის? • რა შეზღუდვები აქვს შენ მიერ შექმნილ მოდელებს? • რატომ არის მოსახერხებელი თვალთ უხილავი ბიოლოგიური სტრუქტურების მოდელების სახით წარმოდგენა?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის – მოდელის შესაქმნელად შეგიძლია გამოიყენო ფერადი პლასტილინი და/ან ფერადი ქაღალდები, თიხა.</p>

კომპლექსური დავალება 4.6 (მოსწ. წიგნი, გვ. 46)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა: უჯრედული მეტაბოლიზმი</p> <p>საკითხი/საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიტოზი • მეიოზი
<p>კომპლექსური დავალების პირობა: ყველა ორგანიზმისათვის დამახასიათებელია მემკვიდრეობითობა, რომელიც გამრავლებაში ვლინდება, გამრავლება კი უჯრედების გაყოფასთან არის დაკავშირებული. ეუკარიოტ ორგანიზმებში უჯრედების გამრავლების ორი ფორმა გვხვდება: მიტოზური და მეიოზური. შექმენი მიტოზისა და მეიოზის მოდელები. მოდელები გამოიყენე ამ პროცესების მიმდინარეობის სადემონსტრაციოდ და მათ შესადაარებლად.</p> <p>მოდელების პრეზენტაციისას თვალსჩინოდ წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორია შვილეულ უჯრედებს შორის ქრომოსომების განაწილების კანონზომიერება მიტოზსა და მეიოზში? • როგორ უკავშირდება მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა უჯრედების გამრავლების ფორმებს -მიტოზსა და მეიოზს? • რა განსხვავებაა მიტოზისა და მეიოზის პროცესების მიმდინარეობას შორის? • როგორ ახსნი მოდელის გამოყენებით მიტოზისა და მეიოზის ბიოლოგიურ როლს? • რა ტიპის შეზღუდვები აქვს შენ მიერ შექმნილ მიტოზისა და მეიოზის მოდელებს? • რატომ არის მოსახერხებელი თვალით უხილავი ბიოლოგიური სტრუქტურებისა და პროცესების მოდელების სახით წარმოდგენა?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სიმარტივისათვის ორივე პროცესის მოდელი შექმენი 4 ქრომოსომისთვის; • მოდელისთვის შეგიძლია გამოიყენო: ფერადი პლასტილინი, თიხა, სხვადასხვა ფერის კოქტეილის • ჩხირები ან ფერადი ძაფები და სხვ.; • გაითვალისწინე, რომ ჰომოლოგიურ ქრომოსომებს ერთნაირი ზომა და ფორმა უნდა ჰქონდეს.

თემა 5-ის კომპლექსური დავალებების ბარათები

კომპლექსური დავალება 5.1 (მოსწ. წიგნი, გვ. 65-66)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9) • სასიცოცხლო თვისება (შედეგი: 1, 2, 5, 9)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი: გენეტიკის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები</p> <ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა • ნიშან-თვისებების მემკვიდრეობის კანონზომიერებები • მენდელის შრომები ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის შესახებ
<p>კომპლექსური დავალების პირობა: მენდელს თავისი კვლევის შედეგების განზოგადება და მემკვიდრეობის კანონზომიერებები მხოლოდ ერთი ტიპის ჰიბრიდიზაციის მაგალითზე არ ჩამოყალიბებია, არამედ მან ბარდაში შეარჩია 7 წყვილი ალტერნატიული ნიშან-თვისება და ცალ-ცალკე ატარებდა მათზე მონოჰიბრიდულ შეჯვარებას. ასეთი შეჯვარების პირველი თაობის შედეგები სურათზეა წარმოდგენილი (გვ. 184).</p> <p>შეისწავლე სურათზე მოცემული მენდელის ცდების შედეგები და განსაზღვრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული ნიშან-თვისების ალტერნატიული წყვილისთვის დომინანტური და რეცესიული ნიშნები (მათი აღნიშვნისთვის გამოიყენე ლათინური ასოები); • თითოეული შეჯვარებისთვის მეორე თაობაში მოსალოდნელი დათიშვა როგორც გენოტიპის, ისე ფენოტიპის მიხედვით; • შეარჩიე რომელიმე ნიშან-თვისების ერთი ალტერნატიული წყვილი (თესლის შეფერილობის გარდა) და შექმენი შეჯვარების გენეტიკური სქემა როგორც პირველი, ისე მეორე თაობისთვის. სქემა პლიპარტზე მოამზადე და წარადგინე კლასის წინაშე. <p>შეჯვარების გენეტიკური სქემის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • უჯრედის რა სტრუქტურებთანაა დაკავშირებული მემკვიდრეობითობა? • რომელი სასიცოცხლო თვისება განაპირობებს თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემას? • შენ მიერ შედგენილი შეჯვარების გენეტიკური სქემის მიხედვით ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის მენდელის რომელი კანონზომიერებები გამოიხატა? • უჯრედთა მეიოზური გაყოფის რა თავისებურება განაპირობებს F₂-ში ნიშან-თვისებებით განსხვავებული ინდივიდების მიღებას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 5.2 (მოსწ. წიგნი, გვ. 70)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო თვისებები (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: გენეტიკის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები</p> <ul style="list-style-type: none"> • ნიშან-თვისებების მემკვიდრეობის კანონზომიერებები • ნიშან-თვისებების მემკვიდრეობა ადამიანში
<p>კომპლექსური დავალების პირობა: რატომ ემსგავსებიან შვილები მშობლებს? იმავდროულად, ერთი და იმავე ბიოლოგიური მშობლების შვილები ერთმანეთისგან განსხვავდებიან.</p> <p>შეაგროვე ინფორმაცია შენს ოჯახში ერთი რომელიმე ნიშან-თვისების (მაგ, თვალის ფერის, თვალის ჭრილის, თმის ფერის, ცხვირის ფორმის და ა.შ.) მემკვიდრეობის შესახებ მინიმუმ სამ თაობაში (ბებია-პაპა, დედა-მამა, შვილები). დავალების შესასრულებლად ისარგებლე სახელმძღვანელოში მოცემული დანართით (გვ. 147), გენეალოგიური სქემის სიმბოლოების ნიმუშით (გვ.187) და შეადგინე შენი ოჯახის გენეალოგიური სქემა, სქემაზე აღნიშნე ოჯახის თითოეული წევრის გენოტიპი (გენეალოგიური სქემა შესაძლოა წარმოადგინო ფლიპჩარტზე ან ელექტრონულად).</p> <p>გენეალოგიური სქემის პრეზენტაციის დროს ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რომელი სასიცოცხლო თვისება უზრუნველყოფს თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების გადაცემას? • რაზეა დამოკიდებული გამოსაკვლევი მემკვიდრეობითი ნიშან-თვისების ფენოტიპური გამოვლენა? • ექვემდებარება თუ არა ადამიანში ნიშან-თვისებების მემკვიდრული გადაცემა მენდელის მიერ დადგენილ კანონზომიერებებს?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p> <p>გენეალოგიური სქემა შესაძლოა წარმოადგინო ფლიპჩარტზე ან ელექტრონულად.</p>

კომპლექსური დავალება 5.3 (მოსწ. წიგნი, გვ. 76)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო თვისებები (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10) • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3) • მაკროცნება რაოდენობა • მაკროცნება მოდელი/მოდელირება
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი: გენეტიკის საფუძვლები</p>
<p>ქვესაკითხები</p> <ul style="list-style-type: none"> • სახეობა და პოპულაცია • მემკვიდრეობის კანონზომიერებები • ნიშან-თვისებების მემკვიდრეობა ადამიანში • ცვალებადობის ფორმები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: გაცნანი დანართში (გვ. 147) მოცემულ ადამიანის ზოგიერთი ნიშან-თვისების ფენოტიპური გამოვლენის ბუნებას, მათგან შეარჩიე 4-5 ნიშანი, რომლებიც გარეგნულად ყველაზე მკვეთრად გამოიხატება (მაგ. თვალის ფერი, ყურის ბიბილოს ფორმა და ა.შ.) და გამოიკვლიე სკოლის მოსწავლეებს შორის/შენი უბნის მოსახლეობაში ამ ნიშან-თვისებების ფენოტიპური გამოვლენა დავალების პირობის (გვ. 76) მიხედვით. წარმოადგინე კვლევის ანგარიში, რომელშიც იქნება მონაცემების ცხრილი, დიაგრამა (სვეტოვანი ან წრიული), რომელიც ასახავს გამოკვლეული თითოეული ნიშან-თვისების ფენოტიპური გამოვლენის პროცენტს, კვლევის შედეგების ანალიზი: 1) როგორი %-ული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი თითოეული ნიშან-თვისების ფენოტიპური გამოვლენა? 2) გამოკვლეული ნიშან-თვისებებიდან რომელი ვლინდება ფენოტიპურად უფრო ხშირად შენ მიერ გამოკვლეულ პოპულაციაში? იშვიათად? 3) დომინანტური ნიშან-თვისებები უფრო ხშირად მუღავნდება თუ რეცესიული? ახსენი, რატომ?</p> <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რაში გამოიხატება ერთი სახეობის პოპულაციის მრავალფეროვნება? • რა კავშირია სასიცოცხლო თვისებებს - მემკვიდრეობითობასა და გამრავლებას შორის? • რა არის პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების მიზეზი? • რა მნიშვნელობა აქვს პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას? • კვლევის ეტაპები რა თანმიმდევრობით განახორციელე და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ თანმიმდევრობას? • რაში გამოიხატება შენ მიერ გამოკვლეული ადამიანთა პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნება? • რატომ არის მნიშვნელოვანი ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის მაგ. ინტერვიუს ან გამოკითხვის დროს? • რა რაოდენობრივი მახასიათებელი გამოიყენე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რა მათემატიკური მოდელის საშუალებით წარმოაჩინე შენ მიერ შესწავლილი მოვლენა? <p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p> <p>რეკომენდაცია: ისარგებლე დავალების პირობაში მოცემული მონაცემების აღრიცხვის ცხრილით</p>

კომპლექსური დავალება 5.4 (მოსწ. წიგნი, გვ. 90-91)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10) 								
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ეკოლოგიის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკოსისტემის კომპონენტები • ეკოლოგიური ფაქტორები. აბიოტური ფაქტორები 								
<p>კომპლექსური დავალების პირობა: მოსწავლეს სურდა, გამოეკვლია ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედება უჯრედების გამრავლებაზე. სიმსივნის განვითარების მიზეზებისა და შედეგების შესახებ მასალების გაცნობის შემდეგ მან ივარაუდა, რომ უჯრედები, რომლებიც დაევემდებარება გამოსხივებას, შესაძლოა დაზიანდნენ და დაკარგონ გაყოფის კონტროლის უნარი ან, საერთოდ, გაყოფის უნარი. მოსწავლემ დაალობო 300 თესლი წყალში ოთხი საათის განმავლობაში. დალობის შემდეგ მან დაასხივა 100 თესლი მიკროტალღოვან ღუმელში 6 წთ-ის განმავლობაში, მეორე 100 თესლი- 3 წთ-ის განმავლობაში, ხოლო ბოლო 100 თესლი მან დატოვა ზემოქმედების გარეშე. შემდეგ ეტაპზე მოსწავლემ დათესა სამასივე თესლი ისე, რომ შეუქმნა ერთი და იგივე პირობები ნიადაგის და წყლის მიწოდების მხრივ. ორი კვირის განმავლობაში თესლები მოთავსებული იყო 25°C-ის პირობებში. ამ პერიოდის შემდეგ მოსწავლემ დაითვალა გაღივებული თესლების რაოდენობა, ანუ იმ თესლების რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ ფესვი და ფოთლები. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია მონაცემთა ცხრილში:</p>								
<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="padding: 5px;">ელექტრომაგნ. გამოსხივება (6 წთ)</th> <th style="padding: 5px;">ელექტრომაგნ. გამოსხივება (3 წთ)</th> <th style="padding: 5px;">ელექტრომაგნ. გამოსხივების გარეშე</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="padding: 5px;">გაღივდა 23 თესლი</td> <td style="padding: 5px;">გაღივდა 67 თესლი</td> <td style="padding: 5px;">გაღივდა 89 თესლი</td> </tr> </tbody> </table>	ელექტრომაგნ. გამოსხივება (6 წთ)	ელექტრომაგნ. გამოსხივება (3 წთ)	ელექტრომაგნ. გამოსხივების გარეშე	გაღივდა 23 თესლი	გაღივდა 67 თესლი	გაღივდა 89 თესლი		
ელექტრომაგნ. გამოსხივება (6 წთ)	ელექტრომაგნ. გამოსხივება (3 წთ)	ელექტრომაგნ. გამოსხივების გარეშე						
გაღივდა 23 თესლი	გაღივდა 67 თესლი	გაღივდა 89 თესლი						
<p>გაეცანი ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტს, გააანალიზე და ტექსტის გათვალისწინებით/ გამოყენებით დაწერე ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც უნდა წარმოადგინო: კვლევის მიზანი/საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, დამოკიდებული, დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადები, საჭირო რესურსი, კვლევის ეტაპები, მონაცემები, მონაცემების ანალიზი, დასკვნა.</p> <p>კვლევის ანგარიშის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ექსპერიმენტში რომელ ფაქტორებზეა საუბარი - აბიოტურზე თუ ბიოტურზე? • აღწერე ექსპერიმენტში დასახელებული თითოეული ეკოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა თესლის აღმოცენებისათვის; • ექსპერიმენტის მიხედვით, ზოგიერთი თესლის ჩანასახისთვის რომელი ფაქტორი იქცა სიცოცხლისათვის შემზღვეველ ფაქტორად? • რომელი ფაქტორები იყო თესლის აღმოცენებისათვის ოპტიმალური? • როგორ გამოიყენებ კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში? 								
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>								

კომპლექსური დავალება 5.5 (მოსწ. წიგნი, გვ. 91)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ეკოლოგიის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკოსისტემის კომპონენტები • ეკოლოგიური ფაქტორები. აბიოტური ფაქტორები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ ხარ იმ სამეცნიერო ექსპედიციის წევრი, რომელიც იკვლევდა მცენარეებში ნახშირწყლების სინთეზის ინტენსივობის დამოკიდებულებას ნალექების რაოდენობაზე. თქვენ გამოთვალეთ ერთი წლის განმავლობაში 1მ2-ზე მცენარეში წარმოქმნილი ნახშირწყლების რაოდენობა. შენ დაგეგვალა სამეცნიერო საბჭოზე წარსადგენად ექსპედიციის კვლევის ანგარიშის მომზადება. მონაცემების გაანალიზების გაადვილების მიზნით, შედეგები გრაფიკზე გამოსახე.</p> <p>გრაფიკზე (გვ. 209) მოცემული მონაცემების მიხედვით, მოამზადე კვლევის ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა იყოს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკვლევი კითხვა; • დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები; • როგორ იცვლება ნახშირწყლების პროდუქტიულობა ნალექების მატებასთან ერთად? ნალექების რა რაოდენობაა ოპტიმალური? <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა კომპონენტებისგან შედგება ეკოსისტემა და რა კავშირია მათ შორის? • რა გავლენას ახდენს სხვადასხვა აბიოტური ფაქტორი ფოტოსინთეზის პროცესის ინტენსივობაზე? • როგორ დაადგინე ექსპერიმენტის ცვლადები, რის საფუძველზე გააკეთე დასკვნები? • როგორ დაუკავშირებ სოფლის მეურნეობას კვლევის საფუძველზე მიღებულ ცოდნას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 5.6 (მოსწ. წიგნი, გვ. 102-103)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურა და ფუნქცია (შედეგი: 1, 2, 5, 9) • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3, 11) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ეკოლოგიის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოტური ფაქტორები • კვებითი ჯაჭვები და ქსელები
<p>კომპლექსური დავალების პირობა: მთელ მსოფლიოშია ცნობილი ბრიტანელი მოყვარული მებაღის, პროფესიით ინჟინერის, დევიდ ლატიმერის „საოცარი ბაღი“. მან 1960 წელს გადაწყვიტა, რომ შეექმნა ბაღი ბოთლში. მისი „ბაღის“ ორიგინალობა გამოიხატება იმაში, რომ მისი ბოთლი ჰერმეტიკულად იყო დახურული და არასოდეს არ იხსნებოდა. ამბობენ, რომ მისმა ბაღმა 40 წელზე მეტი იარსება.</p> <p>გაეცანი დავალების ინსტრუქციას (გვ. 102-103) და შენც ცადე ბოთლში/მინის ქილაში ხმელეთის/წყლის საკუთარი მინიატიურული ეკოსისტემის შექმნა რესურსში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით (https://bit.ly/3tZ3cxG).</p> <p>15 დღის განმავლობაში 2-3 დღის ინტერვალით აწარმოე დაკვირვება ეკოსისტემის მოდელზე, გადაულე სურათები და დაკვირვების შედეგები აღწერე დაკვირვების დღიურში. 15 დღის შემდეგ შენი მინიატიურული ეკოსისტემის მოდელი და დაკვირვების შედეგები წარადგინე კლასის წინაშე.</p> <p>მინიატიურული ეკოსისტემის მოდელის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე -</p> <ul style="list-style-type: none"> • რა კომპონენტებისგან (ბიოტური, აბიოტური) შედგება შენი ეკოსისტემის მოდელი? • რა ფუნქციას ასრულებს შენი ეკოსისტემის მოდელის თითოეული კომპონენტი? • დაკვირვების დღეების განმავლობაში რა ცვლილებები შეამჩნიე და რა არის ამ ცვლილებების მიზეზები? რამდენად მდგრადი იყო შენი ეკოსისტემა და რატომ? • რა მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის მდგრადობისთვის სახეობათა მრავალფეროვნებას? • რა ტიპის შეზღუდვები ახასიათებს შენი ეკოსისტემის მოდელს? • ეკოსისტემის მოდელზე დაკვირვების შედეგების მიხედვით გამოტანილ დასკვნას როგორ დაუკავშირებ გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 5.7 (მოსწ. წიგნი, გვ. 106)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3, 11) • ჯანმრთელობა და დაავადება (შედეგი: 4, 12, 13) 											
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ეკოლოგიის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხი: ანთროპოგენური ფაქტორი</p>											
<p>დავალების პირობა: შეარჩიე ქვემოთ ჩამოთვლილი ეკოლოგიური პრობლემებიდან ერთ-ერთი, გამოიყენე სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი და სურათები, დამატებითი ინფორმაცია სამეცნიერო ტექსტიდან – https://bit.ly/33QEGV8 და მონაცემები წარმოადგინე კოგნიტური სქემის სახით.</p> <p>ეკოლოგიური პრობლემების ჩამონათვალი: 1. ჰაერის დაბინძურება, 2. ნიადაგის დაბინძურება, 3. წყლის დაბინძურება, 4. გლობალური დათბობა, 5. ტყის მასივების შემცირება.</p>											
<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 25%;">ეკოლოგიური პრობლემა</th> <th style="width: 25%;">გამომწვევი მიზეზები</th> <th style="width: 25%;">მოსალოდნელი შედეგები</th> <th style="width: 25%;">პრობლემის გადაჭრის გზები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="height: 20px;"> </td> <td> </td> <td> </td> <td> </td> </tr> </tbody> </table>	ეკოლოგიური პრობლემა	გამომწვევი მიზეზები	მოსალოდნელი შედეგები	პრობლემის გადაჭრის გზები							
ეკოლოგიური პრობლემა	გამომწვევი მიზეზები	მოსალოდნელი შედეგები	პრობლემის გადაჭრის გზები								
<p>სქემის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე? • როგორ უწყობს ხელს გარემოს დაცვითი ღონისძიებები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას? • რა კავშირია ეკოლოგიურ პრობლემასა და სხვადასხვა დაავადების განვითარებას შორის? • რა მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვით ღონისძიებებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის? 											
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>											

კომპლექსური დავალება 5.8 (მოსწ. წიგნი, გვ. 108)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3, 11) • მაკროცნება კვლევ (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ეკოლოგიის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხი: ანთროპოგენური ფაქტორი</p>
<p>კომპლექსური დავალების პირობა: შეარჩიე შენი რეგიონისათვის/ ლოკალური გარემოსთვის დამახასიათებელი რომელიმე კონკრეტული ანთროპოგენური ფაქტორი და გამოიკვლიე მისი გავლენა გარემოზე. ამ მიზნით –</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობისგან შეარჩიე ასაკოვანი ადამიანები რესპონდენტებად და გამოიკითხე, თუ რა ცვლილება მოხდა ლოკალურ გარემოში უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში; • შეაგროვე ბუნების ამსახველი ძველი ფოტოები, ვიდეომასალა, გადაიღე ფოტოები და/ან ვიდეოები გარემოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ; • მოამზადე კვლევის ანგარიში პოსტერზე, დაურთე შენ მიერ მოპოვებული და გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა და წარადგინე კლასის წინაშე. <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რა ტიპის ეკოლოგიური პრობლემა გამოვლინდა და რა არის მისი გამომწვევი მიზეზი/მიზეზები? • სავარაუდოდ, რა შედეგებია მოსალოდნელი ამ პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში? • როგორია გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობა სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 5.9 (მოსწ. წიგნი, გვ. 120)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3, 11) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10)
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ევოლუციის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დარვინის ევოლუციური მოძღვრება • არსებობისათვის ბრძოლა
<p>კომპლექსური დავალების პირობა: აღმონაცენის განვითარება გარემოს ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული: ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, განათებასა და, მათ შორის, აღმონაცენის სიმჭიდროვეზე – ფართობის ერთეულზე ინდივიდების რაოდენობაზე.</p> <p>დაგეგმე და განახორციელე საშინაო ექსპერიმენტი, რომლითაც დაადგენ აღმონაცენის განვითარებაზე სიმჭიდროვის გავლენას. წარმოადგინე ჩატარებული ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც უნდა ასახო: საკვლევი კითხვა, პროგნოზი, დამოუკიდებელი, დამოკიდებული და საკონტროლო ცვლადები, ჩატარებული კვლევის აღწერა, კვლევის შედეგები და მისი ანალიზი, დასკვნა, რომელიც უპასუხებს საკვლევ კითხვას.</p> <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა როლს ასრულებს არსებობისათვის ბრძოლა ევოლუციის პროცესში? • არსებობისათვის ბრძოლის რა ფორმები მიმდინარეობს ბუნებაში და როგორ უკავშირდება ეკოლოგიური ურთიერთობის ფორმებს? • შენი ექსპერიმენტი არსებობისათვის ბრძოლისა და ეკოლოგიური ურთიერთობის რომელ ფორმას ასახავდა? • შენი ექსპერიმენტის მიხედვით, როგორ იმოქმედა მაღალმა სიმჭიდროვემ აღმონაცენის განვითარებაზე? • მაღალმა სიმჭიდროვემ რომელი აბიოტური ფაქტორებისადმი გამოიწვია ინდივიდებს შორის კონკურენცია? • როგორ დაუკავშირებ კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას სოფლის მეურნეობას?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალება 5.10 (მოსწ. წიგნი, გვ. 127)

<p>სამიზნე ცნებები -</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნება (შედეგი: 3, 11) • მაკროცნება კვლევა (შედეგი: 5, 6, 7, 8, 9, 10) • მაკროცნება მოდელი/მოდელირება
<p>თემა - სახეობა, პოპულაცია</p> <p>საკითხი / საკითხები:</p> <p>საკითხი: ევოლუციის საფუძვლები</p> <p>ქვესაკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • არსებობისათვის ბრძოლა • ბუნებრივი გადარჩევა
<p>კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე, რომ შენ ხარ სამეცნიერო ექსპედიციის წევრი. ექსპედიციის მიზანია კვლევის შედეგად ბუნებრივი გადარჩევის მოქმედების დასაბუთება. მეცნიერები ცდილობდნენ ფრინველების ერთ-ერთ სახეობაში განესაზღვრათ კავშირი მამრის საჭის ბუმბულის სიგრძესა და მის რეპროდუქციულ წარმატებას შორის.</p> <p>გაეცანი სახელმძღვანელოს რუბრიკაში - „პრაქტიკული დავალებები“ – მოცემულ სამეცნიერო მასალას, დავალების პირობას (გვ. 127) და მოამზადე კვლევის ანგარიში, რომელშიც უნდა წარმოადგინო ექსპედიციის კვლევის მონაცემების საფუძველზე შექმნილი სვეტოვანი დიაგრამა და კვლევის შედეგების ანალიზი: 1) დაასახელე დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები; 2) ფრინველთა რომელ ჯგუფს ჩათვლი საკონტროლო ჯგუფად? ახსენი, რატომ? 3) ეკოლოგიური ურთიერთობის რა ფორმას აქვს ადგილი მამრ ფრინველებს შორის? 4) ფრინველებს შორის არსებობისათვის ბრძოლის რომელი ფორმა მიმდინარეობს? 5) ცვალებადობის რომელი ფორმა განაპირობებს საჭის ბუმბულის სიგრძის ცვლილებას? ევოლუციის პროცესისთვის ცვალებადობის ამ ფორმას რა მნიშვნელობა აქვს? 6) რა ნიშან-თვისების მატარებელი ინდივიდები მოიპოვებენ უპირატესობას? შენი პასუხი დაასაბუთე ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე. 7) შეგუებულობის რომელი ფორმის მაგალითია საჭის ბუმბულის სიგრძეში ცვლილება? რატომ ფიქრობ ასე?</p> <p>კვლევის ანგარიშის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ევოლუციის პროცესისათვის რა მნიშვნელობა აქვს მემკვიდრულ ცვალებადობას? • ექსპედიციის მონაცემების ანალიზის საფუძველზე როგორ დააკავშირებ ერთმანეთთან ეკოლოგიური, გენეტიკური და ევოლუციური ფაქტორების როლს ევოლუციის პროცესში? • ჩატარებული ექსპედიციის შედეგები რამდენად ასაბუთებს ბუნებაში ბუნებრივი გადარჩევის მიმდინარეობას? • რა მათემატიკური მოდელის საშუალებით წარმოაჩინე შენ მიერ შესწავლილი მოვლენა?
<p>პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის</p>

კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების ნიმუშები

კომპლექსური დავალება 1.1-ის შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია	
სოლო ტექსტის დონე	ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სოლო 1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები	მოსწავლემ არ იცის საკითხი ან იყენებს ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტერმინს: „თავის ტვინი“, „ზურგის ტვინი“, მაგრამ ვერ აღწერს მათ სტრუქტურას და ვერ უკავშირებს მათ ფუნქციებს.
სოლო 2: უნიტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს	მოსწავლე სწორად ასახელებს ნერვული სისტემის სტრუქტურებს, აღწერს ნერვული სისტემის აგებულების თავისებურებას, მაგრამ ამ ცოდნას ვერ აკავშირებს მის ფუნქციებთან, ვერ აღწერს რეფლექსური რკალის კომპონენტებს და სტრუქტურის შესაბამისობას ფუნქციებთან.
სოლო 3: მულტიტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლე სწორად ასახელებს ნერვული სისტემის სტრუქტურებს, აღწერს ნერვული სისტემის აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მის ფუნქციებთან, აღწერს რეფლექსური რკალის კომპონენტებს და სტრუქტურის შესაბამისობას ფუნქციებთან, მაგრამ ვერ გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, თუ რა მოხდება ზურგის ტვინის წინა ფესვის ან უკანა ფესვის დაზიანებისას.
სოლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	მოსწავლე სწორად ასახელებს ნერვული სისტემის სტრუქტურებს, აღწერს ნერვული სისტემის აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მის ფუნქციებთან, აღწერს რეფლექსური რკალის კომპონენტებს და სტრუქტურის შესაბამისობას ფუნქციებთან, გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, თუ რა მოხდება ზურგის ტვინის წინა ფესვის ან უკანა ფესვის დაზიანებისას, მაგრამ ვერ მსჯელობს იმის შესახებ თუ თავის ტვინის სპეციფიკური ფუნქცია როგორ განაპირობებს ნერვული სისტემის, როგორც ერთი მთლიანის, მოქმედებას.
სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალი	მოსწავლე სწორად ასახელებს ნერვული სისტემის სტრუქტურებს, აღწერს ნერვული სისტემის აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მის ფუნქციებთან, აღწერს რეფლექსური რკალის კომპონენტებს და სტრუქტურის შესაბამისობას ფუნქციებთან,

<p>თებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას;</p> <p>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.</p> <p>უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, თუ რა მოხდება ზურგის ტვინის წინა ფესვის ან უკანა ფესვის დაზიანებისას, მსჯელობს იმის შესახებ თუ თავის ტვინის სპეციფიკური ფუნქცია როგორ განაპირობებს ნერვული სისტემის, როგორც ერთი მთლიანის, მოქმედებას.</p>
<p>სამიზნე ცნება: სასიცოცხლო თვისებები</p>	
<p>სოლო ტექსტის დონე</p>	<p>ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან</p>
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია;</p> <p>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლემ არ იცის საკითხი</p>
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;</p> <p>მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლემ იცის, რომ გამლიზიანებლის საპასუხოდ წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, რომელიც გადაეცემა ცნს-ს, მაგრამ ვერ უკავშირებს მას რეფლექსს, როგორც ნერვული სისტემის მოქმედების გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს.</p>
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;</p> <p>მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლემ იცის, რომ გამლიზიანებლის საპასუხოდ წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, უკავშირებს მას რეფლექსს, როგორც ნერვული სისტემის მოქმედების გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს, მაგრამ ვერ ხსნის, თუ რატომ შეიძლება განსახვავებული სისწრაფით გამოძულავდეს სხვადასხვა გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქცია ან სხვადასხვა ადამიანში ერთსა და იმავე გამლიზიანებელზე.</p>
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის;</p> <p>მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე;</p> <p>გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>მოსწავლემ იცის, რომ გამლიზიანებლის საპასუხოდ წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, უკავშირებს მას რეფლექსს, როგორც ნერვული სისტემის მოქმედების გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს, ხსნის, თუ რატომ შეიძლება განსახვავებული სისწრაფით გამოძულავდეს სხვადასხვა გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქცია ან სხვადასხვა ადამიანში ერთსა და იმავე გამლიზიანებელზე, მაგრამ ვერ მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობს ნერვული სისტემა სხვადასხვა ორგანოთა სისტემის შეთანხმებულ მოქმედებაში.</p>

<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს;</p> <p>უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას;</p> <p>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.</p> <p>უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>მოსწავლემ იცის, რომ გამლიზიანების საპასუხოდ წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, უკავშირებს მას რეფლექსს, როგორც ნერვული სისტემის მოქმედების გამოვლენის ერთ-ერთ მექანიზმს, ხსნის, თუ რატომ შეიძლება განსახვავებული სისწრაფით გამოიმუშავდეს სხვადასხვა გამლიზიანებელზე საპასუხო რეაქცია ან სხვადასხვა ადამიანში ერთსა და იმავე გამლიზიანებელზე, მოჭყავს სათანადო მაგალითები და მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობს ნერვული სისტემა სხვადასხვა ორგანოთა სისტემის შეთანხმებულ მოქმედებაში.</p>
--	--

<p>სამიზნე ცნება: კვლევა</p>	
<p>სოლო ტექსტის დონე</p>	<p>ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან</p>
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია;</p> <p>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლემ არ იცის საკითხი და ამიტომ ვერ ატარებს ცდას</p>
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;</p> <p>მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლე ატარებს ცდას, წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელშიც არის წარმოდგენილი კვლევის მონაცემები, მაგრამ ვერ აღწერს ან არათანმიმდევრულად აღწერს ცდის ეტაპებს.</p>
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;</p> <p>მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლე ატარებს ცდას, წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელშიც არის წარმოდგენილი კვლევის მონაცემები, თანმიმდევრულად აღწერს ცდის ეტაპებს, მაგრამ არ არის წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი.</p>

<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>მოსწავლე ატარებს ცდას, წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელშიც არის წარმოდგენილი კვლევის მონაცემები, თანმიმდევრულად აღწერს ცდის ეტაპებს, არის წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი, მაგრამ დასკვნების გამოტანაში ნაკლებად იყენებს ცდის შედეგებს, როგორც მტკიცებულებებს, ლოგიკური მსჯელობისთვის.</p>
<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს;</p> <p>უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას;</p> <p>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.</p> <p>უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>მოსწავლე ატარებს ცდას, წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელშიც არის წარმოდგენილი კვლევის მონაცემები, თანმიმდევრულად აღწერს ცდის ეტაპებს, არის წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანაში იყენებს ცდის შედეგებს, როგორც მტკიცებულებებს ლოგიკური მსჯელობისთვის.</p>

კომპლექსური დავალება 1.2-ის შეფასების რუბრიკა

<p>სამიზნე ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია</p>	
<p>სოლო ტექსტის დონე</p>	<p>ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან</p>
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლემ არ იცის საკითხი ან იყენებს ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტერმინს: „თავის ტვინი“, „ნახევარსფეროები“ – მაგრამ ვერ აღწერს მათ სტრუქტურას და ვერ უკავშირებს მათ ფუნქციებს.</p>
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლე სწორად ასახელებს ჰემისფეროების სტრუქტურებს, აღწერს მათი აგებულების თავისებურებას, მაგრამ ამ ცოდნას ვერ აკავშირებს მათ ფუნქციებთან, ვერ სვამს დიაგნოზს.</p>

<p>სოლო 3: მულტიტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლე სწორად ასახელებს ჰემისფეროების სტრუქტურებს, აღწერს მათი აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მათ ფუნქციებთან, სწორად სვამს გეიჯის დიაგნოზს, მაგრამ დასაბუთებას აკლია მსჯელობა და შესაბამისი არგუმენტებით გამყარება.</p>
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>მოსწავლე სწორად ასახელებს ჰემისფეროების სტრუქტურებს, აღწერს მათი აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მათ ფუნქციებთან, სწორად სვავს გეიჯის დიაგნოზს და არგუმენტირებული მსჯელობით ასაბუთებს მას, მაგრამ ვერ გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, რა შედეგი მოჰყვებოდა, თუ ფინეასს ძალაყინი მოგრძო ტვინს დაუზიანებდა.</p>
<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას; მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>მოსწავლე სწორად ასახელებს ჰემისფეროების სტრუქტურებს, აღწერს მათი აგებულების თავისებურებას, ამ ცოდნას აკავშირებს მათ ფუნქციებთან, სწორად სვამს გეიჯის დიაგნოზს და არგუმენტირებული მსჯელობით ასაბუთებს მას, გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, რა შედეგი მოჰყვებოდა, თუ ფინეასს ძალაყინი მოგრძო ტვინს დაუზიანებდა.</p>

კომპლექსური დავალება 2.2-ის შეფასების რუბრიკა

<p>სამიზნე ცნება: ჯანმრთელობა და დაავადება</p>	
<p>სოლო ტაქსონომიის დონე</p>	<p>ტაქსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან</p>
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლე ვერ იყენებს ადამიანის თვალის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცოდნას მხედველობის დარღვევასთან</p>

<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლეს აქვს ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენა მხედველობის დარღვევის შესახებ, ასახელებს მხედველობის დარღვევის ზოგიერთ მაგალითს, მაგრამ ვერ აღწერს მის გამომწვევ მიზეზებს</p>
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს მხედველობის დარღვევის მაგალითებს, აღწერს მის სიმპტომებსა და გამომწვევ მიზეზებს, ხსნის მხედველობის ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობას, როგორც მხედველობის დაქვეითების პრევენციის საშუალებას, ვერ მსჯელობს მხედველობითი პრობლემების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე</p>
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს მხედველობის დარღვევის მაგალითებს, აღწერს მის სიმპტომებსა და გამომწვევ მიზეზებს, ხსნის მხედველობის ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობას, როგორც მხედველობის დაქვეითების პრევენციის საშუალებას, მსჯელობს მხედველობითი პრობლემების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე, თუმცა ვერ ხსნის, თუ მხედველობის დაქვეითება რა გავლენას ახდენს ორგანიზმის ჰომეოსტაზსა და შრომისუნარიანობაზე.</p>
<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას; მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე</p>	<p>მოსწავლე ასახელებს მხედველობის დარღვევის მაგალითებს, აღწერს მის სიმპტომებსა და გამომწვევ მიზეზებს, ხსნის მხედველობის ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობას, როგორც მხედველობის დაქვეითების პრევენციის საშუალებას, მსჯელობს მხედველობითი პრობლემების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე, აფასებს, თუ მხედველობის დაქვეითება რა გავლენას ახდენს ორგანიზმის ჰომეოსტაზსა და შრომისუნარიანობაზე.</p>
<p>დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	

კომპლექსური დავალება 5.3-ის შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება: ბიომრავალფეროვნება	
სოლო ტექსტონომიის დონე	ტექსტონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
სოლო 1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები	მოსწავლეს არ ესმის საკითხი, ცნება - პოპულაცია
სოლო 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს	მოსწავლეს აქვს ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენა პოპულაციის შესახებ, ასახელებს მისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშანს, მაგრამ ვერ აღწერს მის მიერ გამოკვლეულ ადამიანთა პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას
სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.	მოსწავლე ასახელებს პოპულაციისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, აღწერს მის მიერ გამოკვლეულ ადამიანთა პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას, მაგრამ ვერ ხსნის პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების გამომწვევ მიზეზებს
სოლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.	მოსწავლე ასახელებს პოპულაციისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, აღწერს მის მიერ გამოკვლეულ ადამიანთა პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას, ხსნის პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების გამომწვევ მიზეზებს , მაგრამ ვერ მსჯელობს პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე
სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას; მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე	მოსწავლე ასახელებს პოპულაციისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, აღწერს მის მიერ გამოკვლეულ ადამიანთა პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას, ხსნის პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების გამომწვევ მიზეზებს, მსჯელობს პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე

დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.	
---	--

კომპლექსური დავალება 4.5-ის შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება: სასიცოცხლო თვისება	
სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	ვერ ასახელებს ორგანიზმისთვის ისეთ მნიშვნელოვან სასიცოცხლო თვისებებს, როგორებიცაა მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	მოსწავლე ასახელებს ძირითად სასიცოცხლო თვისებებს: გამრავლება, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, მაგრამ ვერ აღწერს მათ მნიშვნელობას ორგანიზმებისათვის, ვერ ხედავს ამ თვისებებში მიტოვისა და მეიოზის როლს
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	მოსწავლე აღწერს ორგანიზმების ძირითად სასიცოცხლო თვისებებს: გამრავლება, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, მაგრამ ვერ ადგენს მათ ურთიერთდამოკიდებულებას, აღწერს მიტოვისა და მეიოზის პროცესებს, მაგრამ მათ როლს ვერ აკავშირებს ზემოთ აღწერილ სასიცოცხლო თვისებებთან
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	მოსწავლე წარმოაჩენს მიტოვისა და მეიოზის პროცესებს შორის განსხვავებას და მას აკავშირებს შვილეულ უჯრედებს შორის დედისეული ქრომოსომების განაწილებასთან, მათ როლს აკავშირებს ზემოთ აღწერილ სასიცოცხლო თვისებებთან (გამრავლება, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა)

<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას; მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>აფასებს მიტომისა და მეიომის როლს, მსჯელობს თითოეული მათგანის როლზე თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემასა და გენეტიკური მრავალფეროვნების წარმოქმნაში</p>
---	---

<p>სამიზნე ცნება: კვლევა</p>	
<p>სოლო ტექსტონომიის დონე</p>	<p>ტექსტონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან</p>
<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია; მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები</p>	<p>მოსწავლე ვერ ქმნის მიტომისა და მეიომის მოდელებს, ან ქმნის დიდი ხარვეზებით</p>
<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს</p>	<p>მოსწავლე ქმნის მოდელებს, მაგრამ მათ ვერ იყენებს პროცესების ასახსნელად</p>
<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე.</p>	<p>მოსწავლე ქმნის მოდელებს, იყენებს პროცესების ასახსნელად და მათ შესადაარებლად, მაგრამ ვერ იყენებს მათ ამ პროცესებს შორის არსებითი განსხვავების სადემონსტრაციოდ/წარმოსაჩენად</p>
<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის; მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად</p>	<p>მოსწავლე წარმოაჩენს მიტომისა და მეიომის პროცესებს შორის განსხვავებას და მას აკავშირებს შვილეულ უჯრედებს შორის დედისეული ქრომოსომების განაწილებასთან, მათ როლს აკავშირებს ზემოთ აღწერილ სასიცოცხლო თვისებებთან</p>

<p>გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს; ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე; გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს.</p>	<p>(გამრავლება, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა)</p>
<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს; უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას;</p> <p>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.</p>	<p>აფასებს მიტოვისა და მეიოზის როლს, მსჯელობს თითოეული მათგანის როლზე თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემასა და გენეტიკური მრავალფეროვნების წარმოქმნაში</p>

პასუხები დავალებებზე

თემა – ადამიანის მარაგულირებადი სისტემები

ნერვული სისტემა

§1.1.

1. საერთო: რეგულაციის ეს ფორმები პასუხისმგებელი არიან შინაგანი გარემოს მუდმივობის – ჰომეოსტაზის – შენარჩუნებაზე; განსხვავება: ნერვული რეგულაცია ხორციელდება ელექტრული ბუნების ნერვული იმპულსის საშუალებით, ხოლო ჰუმორული რეგულაცია – სისხლით მიტანილი ქიმიური ნივთიერების გავლენით.
2. ნერვულ სისტემას ქმნის ცენტრალური ნერვული სისტემა (თავის ტვინი და ზურგის ტვინი) და პერიფერიული ნერვული სისტემა (ნერვები და ნერვული კვანძები).
3. ნერვული სისტემის ფუნქციებია:
 - არეგულირებს თითოეული ორგანოსა და ქსოვილის ფუნქციონირებას;
 - უზრუნველყოფს სხვადასხვა ქსოვილის, ორგანოსა და ორგანოთა სისტემის შეთანხმებულ მოქმედებას;
 - ორგანიზმს აკავშირებს გარემოსთან;
 - მისი მოქმედება უდევს საფუძვლად ძილს, მეხსიერებას, მეტყველებას, აზროვნებასა და სხვა ფსიქიკურ პროცესებს.
4. ფუნქციათა რეგულაცია ნიშნავს იმას, რომ გარეგან და შინაგან გარემოში მომხდარი ცვლილებების, ორგანიზმის მოთხოვნილების მიხედვით შესაბამისი ორგანოს/ორგანოების მოქმედება აქტიურდება ან შენელებს.
5. ცნს-ს ქმნის თავისა და ზურგის ტვინი. ცნს – ეს არის ადგილი, სადაც გაანალიზდება შესული ინფორმაცია და მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის მოქმედებით უნდა უპასუხოს ორგანიზმმა მიღებულ ინფორმაციას. პნს-ს ქმნის ნერვები და ნერვული კვანძები. პნს უზრუნველყოფს ნერვული იმპულსების საშუალებით ინფორმაციის გატარებას ცნს-სა და სხეულის დანარჩენ ნაწილებს შორის ორივე მიმართულებით.

§1.2.

1. ნეირონს აქვს გრძელი მორჩი, რომელიც უზრუნველყოფს ნერვული იმპულსის გადაცემას პერიფერიიდან ცნს-კენ და ცნს-დან პერიფერიისკენ.
2. მგრძნობიარე ნეირონი ნერვულ იმპულსს გადასცემს პერიფერიიდან ცნს-ს, ჩართული – მგრძნობიარედან – მამოძრავებელზე, ხოლო მამოძრავებელი – ცნს-დან რომელიმე ორგანოს.
3. ცნს-ში ქმნის რუხ ნივთიერებას, ხოლო ცნს-ის გარეთ – ნერვულ კვანძებს.
4. ცნს-ში ქმნის თეთრ ნივთიერებას, ხოლო ცნს-ის გარეთ – ნერვებს.
5. ნერვი შემაერთებელქსოვილოვანი გარსით დაფარული კონებად შეკრული ნერვული ბოჭკოების – აქსონების – ერთობლიობაა, ხოლო ნერვულ ბოჭკოში იგულისხმება ერთი აქსონი.
6. მამოძრავებელი ნერვი შედგება მამოძრავებელი ნეირონების აქსონებისაგან და ნერვულ იმპულსებს გადასცემს ცენტრალური ნერვული სისტემიდან პერიფერიისაკენ. მგრძნობიარე ნერვი შედგება მგრძნობიარე ნეირონების აქსონებისგან და ნერვულ იმპულსებს გადასცემს პერიფერიიდან ცენტრალურ ნერვულ სისტემას; შერეული ნერვი შედგება როგორც მგრძნობიარე, ისე მამოძრავებელი ნეირონების აქსონებისაგან, ამიტომ შერეული ნერვი ნერვულ იმპულსებს ატარებს ორივე მიმართულებით – ორგანოებიდან ცენტრისაკენ და ცენტრიდან ორგანოებისაკენ.

§1.3.

1. რეფლექსური რკალი ხუთი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება. პირველად გალიზიანებას აღიქვამს რეცეპტორი, სადაც სხვადასხვა სახის ზემოქმედება ნერვულ იმპულსად გარდაიქმნება. რეფლექსური რკალის შემდეგი კომპონენტია მგრძობიარე ნეირონი. მისი საშუალებით ნერვული იმპულსი გადაეცემა ჩართულ ნეირონს, რომელიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაშია მოთავსებული. აქედან კი ნერვული იმპულსი მიემართება მამოძრავებელი ნეირონისაკენ, რომელიც საბოლოოდ, მუშა ორგანოს უკავშირდება. ეს უკანასკნელი უშუალოდ რეაგირებს გარემოს ზემოქმედებაზე, მაგალითად, კუნთი იკუმშება, ხოლო ჯირკვავალი გამოყოფს სეკრეტს.
2. 1) 1 – რეცეპტორი, 2 – მგრძობიარე ნეირონი, 3 – ჩართული ნეირონი, 4 – მამოძრავებელი ნეირონი, 5 – შემსრულებელი ორგანო (ჩონჩხის კუნთი). 2) 1 – 2 – 3 – 4 – 5. 3) ადამიანი ვერ შეიგრძნობს ტკივილს, რადგან 2-ით აღნიშნულია მგრძობიარე ნეირონი, რომელმაც ნერვული იმპულსი უნდა გადასცეს პერიფერიიდან (რეცეპტორიდან) ცნს-ს, სადაც გაანალიზდება შესული ნერვული იმპულსი.

§1.4.

1. ზურგის ტვინის თეთრ ნივთიერებას ქმნის მიელინის გარსიანი აქსონების გროვები, ხოლო რუხ ნივთიერებას – ჩართული და მამოძრავებელი ნეირონის სხეულებისა და დენდრიტების გროვები.
2. რადგან იგი შედგება როგორც მგრძობიარე, ისე მამოძრავებელი ნეირონების აქსონებისგან და ნერვულ იმპულსს ორივე მიმართულებით ატარებს.
3. ზურგის ტვინში მგრძობიარე ნეირონით შესული ნერვული იმპულსები აღმავალი გამტარი გზებით გადაეცემა თავის ტვინს, ხოლო თავის ტვინიდან დაღმავალი გამტარი გზებით – ზურგის ტვინის შესაბამის უბანს, რითაც აკონტროლებს თავის ტვინი ზურგის ტვინის რეფლექსებს.
4. მაგალითად, ხელის მოძრაობა წერიითი სამუშაოს შესრულების დროს, სპორტულ ვარჯიშთან, ცეკვასთან დაკავშირებული მოძრაობები, შუქნიშნის მიხედვით ქუჩაზე გადასვლის კონტროლი და სხვა.
5. რადგან წყდება დაზიანებული ნაწილის ქვემოთ თავის ტვინსა და ზურგის ტვინს შორის კავშირი და თავის ტვინი ვეღარ აკონტროლებს ზურგის ტვინის რეფლექსებს.
6. დაკარგავს მოძრაობის უნარს, რადგან წინა ფესვი მამოძრავებელი ნეირონების აქსონებისგან შედგება.
7. შეინარჩუნებს, რადგან ზურგის ტვინთან დაკავშირებულია ჩონჩხის კუნთებისა და შინაგანი ორგანოების რეგულაცია.
8. 1) რეცეპტორი, მგრძობიარე ნეირონი, ცნს, მამოძრავებელი ნეირონი და კუნთი. 2) 1 – მგრძობიარე და 2 – მამოძრავებელი. 3) გამლიზიანებლის მიმღებია რეცეპტორი და კუნთი – შემსრულებელი ორგანო. 4) 0,008 წმ. 5) შესაძლებელია, რეალური მანძილი კუნთსა და ზურგის ტვინს შორის მეტი იყოს, გარდა ამისა, ზურგის ტვინში შესული ნერვული იმპულსი გამტარი გზებით გადაეცემა თავის ტვინს, რომელიც დაღმავალი გზებით აკონტროლებს ზურგის ტვინს, რაზედაც გაცილებით მეტი დრო დაიხარჯება.
9. 1) ვერ შეინარჩუნებს მუხლის რეფლექსს. 2) ვერ შეიგრძნობს.
10. 1) სამი ისარი: ერთი მხარში, მეორე – ზურგის ტვინში და მესამე – ბარძაყში. 2) მეორე ისარმა დაუზიანა ზურგის ტვინის გამტარი გზები და/ან მამოძრავებელი ნეირონები.

§1.5.

1. თავის ტვინის თეთრ ნივთიერებას აქსონები ქმნის და ასრულებს გამტარ ფუნქციას – თავის ტვინის სხვადასხვა განყოფილებას აკავშირებს ერთმანეთთან.
2. რუხი ნივთიერება გვხვდება ქერქის სახით ნახევარსფეროებისა და ნათხემის ზედაპირზე, გარდა ამისა, თეთრ ნივთიერებაში ბირთვების სახით, საიდანაც ქალა-ტვინის ნერვები გამოდის.
3. 1) რადგან მოგრძო ტვინი არეგულირებს გულსისხლძარღვთა და სუნთქვის ორგანოთა სისტემების მოქმედებას. 2) ნათხემი, რადგან მასთანაა დაკავშირებული მოძრაობის კოორდინაცია და

- წონასწორობა. 3) შინაგანი ორგანოების მოქმედებას ათანხმებს ერთმანეთთან, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ტემპერატურას, ენდოკრინული ჯირკვლების მოქმედებას და სხვ. 4) თალამუსი.
4. ძილის დროს ცნს-ში ნერვული ცენტრების უმრავლესობა შეკავებულია და ამ დროს ნერვული სისტემა ისვენებს, ძილის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს ნერვული სისტემის გამოფიტვას, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

§1.6.

1. ქერქი დანაოჭებულია ღარებითა და ხვეულებით, რაც ზრდის მისი ზედაპირის ფართობს.
2. სენსორული ინფორმაციის მიღება, ანალიზი და შესაბამისი შეგრძნების ჩამოყალიბება, ნებელობითი მოძრაობის კონტროლი, აზროვნება, მეტყველება, მეხსიერება, ემოციების მართვა.
3. იგი თავის ტვინის ყველაზე დიდი განყოფილებაა და ორი ნახევრისგან შედგება.
4. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დაზიანებულია შუბლის წილი, მაგრამ დაზიანებულია საფეთქლის წილი, რომელთანაც სმენითი ინფორმაციის ანალიზი და აღქმა დაკავშირებული.
5. 1) კეფის წილი და საფეთქლის წილები. 2) 1 – მხედველობით ინფორმაციას, 2 – სმენით ინფორმაციას.

§1.7.

1. 1) პარასიმპათიკური ნერვული სისტემა, რომელიც ანელებს და ასუსტებს გულის მუშაობას. 2) ჰიპერტონია ან ჰიპოტონია.
2. 1) ფიზიკური დატვირთვის დროს ძლიერდება და ხშირდება გულის მუშაობა და სუნთქვა, ოფლის გამოყოფა. ამ დროს გააქტიურებულია სიმპათიკური ნერვული სისტემა. 2) გააფართოებს, რათა გულისა და ჩონჩხის კუთები მოამარაგოს მეტი საკვები ნივთიერებებითა და ჟანგბადით. 3) პარასიმპათიკური, რადგან იგი ააქტიურებს საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფასა და ნაწლავების პერისტალტიკას. 4) რადგან ამ დროს გააქტიურებულია სიმპათიკური ნერვული სისტემა, რომელიც თრგუნავს ნერწყვის გამოყოფას. 5) რადგან ამ დროს გააქტიურებულია სიმპათიკური ნერვული სისტემა, რომელიც აძლიერებს ოფლის გამოყოფას.

§1.8.

1. აუცილებელია განურჩეველი გამღიზიანებლისა (შემდეგში – პირობითი გამღიზიანებელი) და უპირობო გამღიზიანებლის შეუღლება რამდენჯერმე.
2. 1) უპირობო რეფლექსის რეფლექსური რკალი: პირის ღრუს რეცეპტორები – მოგრძო ტვინის კვების ცენტრი – მამოძრავებელი გზა – სანერწყვე ჯირკვალი. პირობითი რეფლექსის რეფლექსური რკალი: მხედველობის რეცეპტორები – ჰემისფეროს მხედველობის ზონა – ჰემისფეროს კვების ზონა – მოგრძო ტვინის კვების ცენტრი – მამოძრავებელი გზა – სანერწყვე ჯირკვალი. 2) უპირობო რეფლექსის გამომწვევი არის უპირობო გამღიზიანებელი და ჰემისფეროს ქერქი არ მონაწილეობს მის განხორციელებაში; პირობითი რეფლექსის გამომწვევი არის პირობითი გამღიზიანებელი და ჰემისფეროს ქერქი აუცილებლად მონაწილეობს მის განხორციელებაში.
3. შეიძლება ზუსტად გაიწეროს კვების დრო, ძილის დრო, რაზედაც ადამიანს გამოუმუშავდება პირობითი რეფლექსები. კვების დროს მოახლოებისას ადამიანს პირობითრეფლექსურად გამოეყოფა საჭმლის მომნელებელი წვენები, მომზადებული ხვდება საკვების მიღებას, რაც აადვილებს საჭმლის მონელებას. ასევე, ძილის დროს მოახლოებისას ადამიანი ადვილად განეწყობა ძილისთვის.

4.

უპირობო რეფლექსები	პირობითი რეფლექსები
უპირობო რეფლექსები მემკვიდრეობითა – მას შთამომავლობა მშობლებისგან იღებს	ცხოვრების განმავლობაში შექმნილი, არამემკვიდრეობითი რეაქციებია
სახეობრივია, ანუ ერთი სახეობის ყველა ინდივიდს ერთნაირი უპირობო რეფლექსები ახასიათებს	პირობითი რეფლექსები ინდივიდუალურია, რადგან ერთი სახეობის სხვადასხვა ინდივიდს განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს
ისინი შედარებით მუდმივია და შენარჩუნებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში (თუ არ დაზიანდა ნერვული სისტემის რომელიმე განყოფილება)	არამუდმივია, ცვალებადია – შეიძლება წარმოიქმნას ან ჩაქრეს
უპირობო რეფლექსის განხორციელებისათვის ჰემისფეროების ქერქი აუცილებელი არ არის	რეფლექსური რკალი აუცილებლად გადის ჰემისფეროების ქერქში
უპირობო რეფლექსების წყალობით ორგანიზმი ინარჩუნებს შინაგანი გარემოს მუდვიობას	ეხმარება ორგანიზმს გარემოს ცვლად პირობებთან შეგუებაში

§1.9.

- 1) მორფინი, ჰეროინი, კოკაინი; 2) რადგან ბურჯის ტვინზე ზემომედებით ტკივილის ბლოკირებას ახდენს. 3) ტვინის ღეროზე მოქმედებს, სადაც სუნთქვის ცენტრია და სუნთქვის შენელებას იწვევს. 4) რადგან ალკოჰოლი ნათხემისა და შუბლის წილში ნერვული იმპულსების გადაცემას აკავებს. 5) რადგან ალკოჰოლი ზემოქმედებს შუბლის წილზე, რომელიც ქცევას აკონტროლებს.
2. რადგან ღვიძლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბარიერული, რაც ტოქსიკური ნივთიერებების გაუფრთხილებლად გულისხმობს, ამიტომ ადამიანის მიერ ტოქსიკური ნივთიერებების ჭარბად მოხმარება თვით ღვიძლის უზრუნველყოფას აზიანებს.
3. ლეგალურია ის ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელთა შექმნა-შენახვა კანონმდებლობით ნებადართულია.

1.2 – ენდოკრინული სისტემა

§1.10.

- 1) საყრდენ-მამოძრავებელი, ნერვული, სისხლის მიმოქცევის, სუნთქვისა და გამომყოფი სისტემები. 2) ჩონჩხის კუნთები დატვირთვით მუშაობს, გულის მუშაობა გახშირებული და გაძლიერებულია, სუნთქვა გახშირებულია, ძლიერდება ოფლის გამოყოფა. 3) ფიზიკური დატვირთვის დროს გააქტიურებულია ავტონომიური ნერვული სისტემის სიმპათიკური ნაწილი, რომელიც ახშირებს და აძლიერებს სუნთქვასა და გულის მუშაობას, აფართოებს გულისა და ჩონჩხის კუნთში შემავალ არტერიოლებს, აძლიერებს ოფლის გამოყოფას. 4) კუნთებში ძლიერდება უჯრედული სუნთქვა, რის შედეგადაც სითბოც დიდი რაოდენობით გამოიყოფა, ამიტომ კანის კაპილარები ფართოვდება და ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემა ძლიერდება, გარდა ამისა, გამოყოფილი ოფლის აორთქლებამაც იხარჯება სხეულის ენერგია. 5) თირკმლები ცოტა შარდს გამოყოფენ, რადგან გააქტიურებულია სიმპათიკური ნერვული სისტემა.

2. 1)

ნერვული რეგულაცია	ენდოკრინული რეგულაცია
ირთვება სწრაფად და მისი მოქმედება ხანმოკლეა (შემდეგი ნერვული იმპულსის გადაცემამდე) შემსრულებელ ორგანოზე	ირთვება ნელა და მისი მოქმედება სამიზნე ორგანოზე ხანგრძლივია (სანამ სამიზნე ორგანოს ქსოვილში არ შემცირდება ჰორმონის კონცენტრაცია)
სიგნალი – ნერვული იმპულსი	სიგნალი – ჰორმონი
სიგნალის გადაცემა – ნეირონებში წარმოქმნილი ელექტრონული ბუნების ნერვული იმპულსი	სიგნალის გადაცემა – ქიმიურია (ორგანიზმის თხევადი გარემოს მეშვეობით)
სიგნალის გავრცელება რეფლექსურ რკალში ნერვული სტრუქტურების საშუალებით	სიგნალის გავრცელება სისხლძარღვებში სისხლის ნაკადის საშუალებით
პასუხი მკვეთრად ლოკალიზებულია (პასუხობს კონკრეტული ორგანო)	პასუხი, როგორც წესი, გენერალიზებულია (პასუხობს მთელი ორგანიზმი ან რამდენიმე სამიზნე ორგანო)
სწრაფად მულაგნდება მისი მოქმედების შედეგი	დაყოვნებით, გარკვეული ხნის შემდეგ მულაგნდება მისი მოქმედების შედეგი.

2) ნელა ხორციელდება, რადგან დრო იკარგება ენდოკრინული ჯირკვლიდან ჰორმონის გამოყოფასა და სამიზნე ორგანომდე მის მიტანაზე. 3) სწრაფად ხორციელდება.

- 1) კალციტონინი (სისხლში ამცირებს Ca^{2+} -ის რაოდენობას) და პარათჰორმონი (სისხლში ზრდის Ca^{2+} -ის რაოდენობას); ინსულინი (სისხლში ამცირებს გლუკოზის დონეს) და გლუკაგონი (სისხლში ზრდის გლუკოზის დონეს). 2) რადგან ადრენალინი აძლიერებს გულსისხლძარღვთა და სუნთქვის ორგანოთა სისტემების მოქმედებას, ორგანიზმი ადვილად უმკლავდება სტრესულ სიტუაციას. თავისი მოქმედებით იგი სიმპათიკური ნერვული სისტემის მოქმედებას ჰგავს.
4. სისხლში უმეტესობა ჰორმონის დონეს არეგულირებს ჰიპოთალამუსი ჰიპოფიზის ტროფული ჰორმონების საშუალებით.
6. ჰომეოსტაზის გამოხატულებაა, რადგან კუნთის ბოჭკოებში, გაძლიერებული ჟანგვითი პროცესების გამო, მცირდება ჟანგბადი და გლუკოზა, ნახშირორჟანგის რაოდენობა კი იზრდება, ამის გამო ხშირდება გულის მუშაობა და სუნთქვა; ჟანგვითი პროცესების გაძლიერების გამო სხეულის ტემპერატურა იმატებს, შესაბამისად, ჩაერთვება პროცესები, რომლებიც ზრდის ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემას და სხეული კვლავ ნორმალურ ტემპერატურას ინარჩუნებს.

§1.11.

1. როდესაც ორგანიზმი ფიზიკურად აქტიურია, რადგან კუნთების ენერჯიაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძლიერდება ჟანგვითი პროცესები, თიროქსინი კი უჯრედებში აძლიერებს ჟანგვით პროცესებს.
2. სისხლში ალკოჰოლის მაღალი დონე – ჰიპოთალამუსი – ჰიპოფიზი – ანტიდიურეზული ჰორმონის გამოყოფა ითრგუნება – თირკმლებში მცირდება წყლის უკუმეწოვა და იზრდება შარდის მოცულობა – სისხლის მოცულობის შემცირება.
3. სკულპტურაზე ჩანს, რომ სენებას ცოლი მის მიმართ პატივისცემასა და სითბოს გამოხატავს, საზოგადოებისთვისაც მისაღებია, რაზედაც მიუთითებს მისი წარჩინებული მდგომარეობა.

§1.12.

1. სისხლში თიროქსინის დონე დაბალია და, ჰომეოსტაზის შენარჩუნების მიზნით, ძლიერდება ჰიპოფიზის მიერ თირეოტროფული ჰორმონის გამოყოფა, საპასუხოდ, იზრდება ფარისებრი ჯირკვლის ქსო-

ვილებს მოცულობა.

2. თირეოტროფული ჰორმონის გამოყოფის შემცირებამ ან გაძლიერებამაც შეიძლება გამოიწვიოს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა, შესაბამისად, ან ჰიპოფუნქცია განვითარდება, ან ჰიპერფუნქცია.
3. რადგან თიროქსინი ბავშვებში გავლენას ახდენს ზრდა-განვითარებასა და გონებრივ განვითარებაზეც.
4. ჰიპოფიზში გაძლიერდება თირეოტროფული ჰორმონის გამოყოფა, რაც, თავის მხრივ, ზრდის ფარისებრი ჯირკვლის მიერ თიროქსინის სეკრეციას. ჰიპოთალამუსი – ჰიპოფიზი – თირეოტროფული ჰორმონი – ფარისებრი ჯირკვალი – თიროქსინი – სისხლი – უჯრედები – ჟანგვითი პროცესების გაძლიერება.
5. ამ შემთხვევაში, სისხლში Ca^{2+} -ის დონის შესანარჩუნებლად, ძლიერდება ფარისებრასლო ჯირკვლის ჰორმონის – პარათჰორმონის – სეკრეცია და ძლიერდება ძვლოვანი ქსოვილიდან კალციუმის სისხლში გადასვლა, დგება ოსტეოპოროზის განვითარების საშიშროება.

თემა 1 – ის შეჯამება

ტესტური დაგალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	X					3 6 8 10 14		X						8	X					X
ბ		X				1 2 4 5 9 12			X		X			5				X		
გ			X	X	X	7 11 13				X			X	1			X			
დ							X			X		X		6		X				X
ე														4						
ვ										X				2						
ზ														3						
თ														7						

დაგალებები კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის

1. სხვადასხვა ორგანოთა სისტემის შეთანხმებულ მოქმედებას არეგულირებს, უზრუნველყოფს ორგანიზმში ჰომეოსტაზს.
2. თუ სისხლძარღვი თრომბოზითა დახშული, ცხადია, შესაბამისი ქსოვილი ვერ მარაგდება ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, ქსოვილი ზიანდება ყველა სტრუქტურით, მათ შორის, ნერვული ბოჭკოებიც, ქსოვილის უჯრედებამდე ვერ მიდის ჰორმონი და, შესაბამისად, ნერვული და ენდოკრინული სიგნალების გადაცემაც ირღვევა.
3. წვეტიანი ქვა აღიზიანებს კანის რეცეპტორებს და მათში წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, რომელიც

გადაეცემა სენსორულ ნეირონს, სენსორულ ნეირონს, ნერვული იმპულსის სახით, ინფორმაცია შეაქვს ცნს-ში, გადაეცემა ჩართულ ნეირონს, შემდეგ მამოძრავებელი ნეირონით გადაეცემა ინფორმაცია ჩონჩხის კუნთს და მისი შეკუმშვით ფეხი ზევით იწევა.

- რეცეპტორი რეაგირებს გამღიზიანებელზე, აღიქვამს მას, ხოლო შემსრულებელი ორგანო პასუხობს ამ გამღიზიანებელს შესაბამისი რეაქციით.
- შუბლის წილში ამროვნებაზე პასუხისმგებელ უბანში დაიბადება ეს კითხვა, ნერვული იმპულსი გადაეცემა შუბლის წილში მოთავსებულ კანკუნთოვან სომატურ ზონას (იგი ნებელობით მოძრაობებს არეგულირებს), საიდანაც დაღმავალი გზებით – ზურგის ტვინს, ხოლო ზურგის ტვინიდან მოტორული ნეირონით ხელის კუნთს.

მონაცემების განსჯა (ანალიზი და დასკვნა)

- 1) დიახ, არის. 2) დადებითი კორელაციაა, რადგან ექსტაზის მომხმარებელ ადამიანებში მეხსიერების ორივე ტიპის დაკარგვის სიჩქარე მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ადამიანებში.
2. **მტკიცება** – ლურჯ გრაფიკზე ასახულია ჯანმრთელი ადამიანის გლუკოზის დონის ცვლილება, ხოლო წითელზე – შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანის. **მტკიცებულებები** – საკვების მიღების შემდეგ ლურჯი გრაფიკის მიხედვით გლუკოზის დონე იზრდება 110 ერთეულამდე, რომელიც 5 საათის შემდეგ ნორმას უბრუნდება; წითელი გრაფიკის მიხედვით კი – 200 ერთეულამდე იზრდება სისხლში გლუკოზის დონე, რომელიც 5 საათის შემდეგაც ვერ უბრუნდება საწყის დონეს. **მსჯელობა** – წითელი გრაფიკის მონაცემები ეკუთვნის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანს, რადგან საკვების მიღების შემდეგ სისხლში გლუკოზის დონე მკვეთრად იზრდება და ნორმას ვერ უბრუნდება 5 საათის შემდეგაც, ე.ი. ვერ არეგულირებს გლუკოზის დონეს სისხლში. შესაბამისად, ლურჯ გრაფიკზე კი – ჯანმრთელი ადამიანის მონაცემებია.

ვიზუალური მასალის განსჯა

1. დაზიანებული აქვს შუბლის წილი. ქცევას ვერ გააკონტროლებს, რადგან შუბლის წილთან, მეტყველების ფუნქციის გარდა, ემოციების მართვის ფუნქციაცაა დაკავშირებული.
2. სურათი 1 ასახავს ნერწყვის გამოყოფის პირობით რეფლექსს, რადგან ნერწყვი ძალს გამოეყოფა ზარის ხმაზე და არა პირის ღრუს რეცეპტორების გაღიზიანების საპასუხოდ. სურათი 2 ასახავს ნერწყვის გამოყოფის უპირობო რეფლექსს, რადგან ნერწყვი ძალს გამოეყოფა პირის ღრუს რეცეპტორების გაღიზიანების საპასუხოდ.
3. 1) 1. ძალს აძლევენ საკვებს და უპირობო რეფლექსურად გამოეყოფა ნერწყვი. 2. ზარს ურეკვევენ ძალს თავთან, ნერწყვი არ გამოეყოფა, მხოლოდ უპირობო საორიენტაციო რეფლექსი განხორციელდება ზარზე. 3. ვერ ძალს ურთავენ ზარს და შემდეგ აძლევენ საკვებს. მთელი კვების განმავლობაში ზარი ჩართულია. 4. ამ პროცედურის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ მხოლოდ ზარზე გამოეყოფა პირობით რეფლექსურად ნერწყვი. 2) უპირობო გამღიზიანებელი – საკვები, პირობითი გამღიზიანებელი – ზარი. 3) მე-2 ეტაპზე კვებითი რეფლექსისთვის ზარი, რადგან მასზე ნერწყვი არ გამოეყოფა. 4) სმენის რეცეპტორები – სენსორული ნეირონი – ჰემისფეროების ქერქის სმენის ზონა – კვების ზონა – მოგრძო ტვინში კვების ცენტრი – მოტორული ნეირონი – სანერწყვე ჯირკვალი.

ტერმინებსა და ცნებებს შორის კავშირის დადგენა

ტერმინებს შორის დამოკიდებულება

1.
 - 1) დენდრიტი, აქსონი, სხეული ნეირონის სტრუქტურებია, მათან არ არის დაკავშირებული უზრუნველყოფილი კედელი.
 - 2) მოგრძო ტვინი, ხიდი და შუა ტვინი თავის ტვინის ნაწილებია, მათან არ არის დაკავშირებული ზურ-

გის ტვინი.

- 3) თავის ტვინის ნერვები, ზურგის ტვინის ნერვები, ნერვული კვანძები არის პერიფერიული ნერვული სისტემის კომპონენტები, მათთან არ არის დაკავშირებული თავის ტვინი
- 4) შუბლის წილი, კეფის წილი, თხემის წილი არის ჰემისფეროების ქერქის წილები, მათთან არ არის დაკავშირებული ნეირონი.
- 5) ჰიპოფიზი, თირკმელზედა ჯირკვავალი და ფარისებრი ჯირკვავალი არის ენდოკრინული ჯირკვლები, მათთან არ არის დაკავშირებული სანერწყვე ჯირკვავალი.
- 6) ბაზედოვის დაავადება, მიქსედემა და კრეტინიზმი გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევით, მათთან არ არის დაკავშირებული აკრომეგალია.
- 7) საცრემლე ჯირკვავალი, საოფლე ჯირკვავალი და სანერწყვე ჯირკვავალი არის გარეგანი სეკრეციის ჯირკვლები, მათთან არ არის დაკავშირებული ფარისებრი ჯირკვავალი.
- 8) ინსულინი, გლუკაგონი და ადრენალინი არეგულირებს სისხლში გლუკოზის დონეს, მათთან არ არის დაკავშირებული ზრდის ჰორმონი.
- 9) ზრდის ჰორმონი, ადრენოტროფული ჰორმონი და ვაზოპრესინი ჰიპოფიზის ჰორმონებია, მათთან არ არის დაკავშირებული ინსულინი.

2.

- 1) ნეირონი წარმოიქმნება და ვრცელდება ნერვული იმპულსი.
- 2) ენდოკრინული ჯირკვლების სეკრეტია ჰორმონი.
- 3) რუხ ნივთიერებას წარმოქმნის ნეირონის სხეულები და დენდრიტები, ხოლო თეთრ ნივთიერებას – აქსონების გროვები.
- 4) ნარკოტიკული ნივთიერებების სისტემატური მოხმარება იწვევს წამალდამოკიდებულების განვითარებას.

სწორია თუ მცდარი?

- 1) სწორია
- 2) ცენტრალური ნერვული სისტემა და პერიფერიული ნერვული სისტემა არის ადამიანის ნერვული სისტემის ორი ძირითადი განყოფილება.
- 3) თავის ტვინის ყველაზე დიდი და შესამჩნევი ნაწილი ჰემისფეროებია.
- 4) სწორია
- 5) ენდოკრინულ რეგულაციაში მონაწილეობს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები.
- 6) სისხლში თიროქსინის ნაკლებობა იწვევს მიქსედემის დაავადებას.
- 7) ადრენალინი გულის მუშაობას ახშირებს და აძლიერებს.
- 8) სწორია
- 9) ინსულინი და გლუკაგონი პანკრეასში წარმოიქმნება.
- 10) სწორია
- 11) პარათჰორმონი წარმოიქმნება ფარისებრახლო ჯირკვალში.
- 12) ვაზოპრესინის გამოყოფა ძლიერდება ორგანიზმის მიერ მცირე რაოდენობის სითხის მოხმარების დროს.


ანალოგია

- 1) რეცეპტორი : მგრძნობიარე ნეირონი :: მამოძრავებელი ნეირონი : ეფექტორი


- 2) ინტელექტი : ნახევარსფეროების ქერქი :: სუნთქვა : მოგრძო ტვინი
- 3) უპირობო რეფლექსი : უპირობო გამღიზიანებელი :: პირობითი რეფლექსი : პირობითი გამღიზიანებელი
- 4) თავის ტვინი : ცნს :: ნერვები : პნს
- 5) ფარისებრი ჯირკვალი: თიროქსინი :: თირკმელზედა ჯირკვალი : ადრენალინი

მონაცემების ორგანიზება სქემებში

1.



2.



თემა 2 – შებენების ორგანოები

§2.1.

1. შებენების ორგანოების საშუალებით.
2. პირველი მიმღებლობს გამლიზიანებელს და საპასუხოდ ნერვულ იმპულსს წარმოქმნის.
3. ა – 2, ბ – 3, 5, გ – 1, 4, დ – 1, 5.
4. მაგალითად, არასასიამოვნო სუნისა და გემოს საკვებს არ შეჭამს და ადამიანი დაცული იქნება კვებითი მოწამვლისგან.
5. შებენების ორგანოებში რეცეპტორები რეაგირებენ გარეგან გამლიზიანებელზე, საპასუხოდ მათში წარმოიქმნება ნერვული იმპულსი, რომელიც მგრძობიარე გზით გადაეცემა ცნს-ს, სადაც შესული ნერვული იმპულსი გაანალიზდება და შესაბამისი შებენება წარმოიქმნება.
6. იგი ხელს უწყობს ორგანიზმს ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში, ეხმარება გარემოში ორიენტაციაში, სასწავლო და პროფესიებთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებაში.
7. 1) ვერ მოხდება გარემოს შესაბამისი გამლიზიანებლის აღქმა და შესაბამისი შებენების წარმოქმნა, რადგან რეცეპტორებში ნერვული იმპულსი არ წარმოიქმნება; 2) გარემოს შესაბამისი გამლიზიანებელი ვერ აღიქმება და შესაბამისი შებენება არ წარმოიქმნება, რადგან რეცეპტორებში წარმოქმნილი ნერვული იმპულსი ცნს-ს არ გადაეცემა; 3) ვერ აღიქმება გარემოს შესაბამისი გამლიზიანებელი და შესაბამისი შებენება არ წარმოიქმნება, რადგან ცნს-ში ვერ გაანალიზდება შესული ინფორმაცია.

§2.2.

1. რადგან მხედველობის რეცეპტორებს მხოლოდ სინათლე აღიზიანებს.
2. ამ დროს აღვწერთ თვალის ფერად გარსს.
3. ფერადი გარსის შუაში, იგი ატარებს სინათლის სხივებს.
4. ფოტორეცეპტორები ღიზიანდება სინათლის სხივებით, საპასუხოდ წამოქმნიან ნერვულ იმპულსს, რომელსაც სენსორულ ნეირონებს გადასცემენ.
5. ადამიანი დაკარგავს მხედველობას. მაგალითად, თუ მხედველობის ნერვი დაზიანდა, ფოტორეცეპტორებიდან ნერვული იმპულსი მას ვეღარ გადაეცემა და თავის ტვინს ვერ გადასცემს მხედველობით ინფორმაციას; თუ მხედველობის ზონა დაზიანდა, შესული მხედველობითი ინფორმაცია ვეღარ გაანალიზდება და შესაბამისი შებენება არ წარმოიქმნება.
6. აკომოდაციის შედეგად, როდესაც საგნის მდებარეობის შესაბამისად იცვლება ბროლის სიმრუდე.
7. რადგან გუგის პირდაპირ ბადურაზე, ძირითადად, კოლებებია განთავსებული, რომლებიც კაშკაშა სინათლის სხივებით ღიზიანდებიან.

§2.3.

1. 1) ბადურის წინ. 2) ბადურის უკან. 3) ახლომხედველი მკვეთრად ვერ დაინახავს შორს მდებარე საგნებს, ხოლო შორსმხედველი – ახლოს მდებარე საგნებს.
2. ჰემისფეროების ქერქის კეფის წილის მხედველობის ზონის, რადგან ვეღარ გაანალიზდება შესული მხედველობითი ინფორმაცია და შესაბამისი შებენება არ წარმოიქმნება.

§2.4.

1. A ვიტამინი საჭიროა ჩხირების ნორმალური მოქმედებისთვის, რადგან A ავიტამინოზის დროს ადამიანი შებინდებულზე ველარ ხედავს, ჩვენ კი ვიცით, რომ სუსტი განათებით ჩხირები ღიზიანდებიან.
2. აზიანებს ფოტორეცეპტორებსა და მხედველობის ნერვს.
3. 1) სურათი 1 ასახავს შორსმხედველის თვალს, რადგან ბროლის სიმრუდე შემცირებულია, საგნიდან არეკლილი სხივები ფოკუსირდება ბადურის უკან, სურათი 2 კი ასახავს ახლომხედველის თვალს, რადგან ბროლის სიმრუდე გაზრდილია და საგნიდან არეკლილი სხივები ფოკუსირდება ბადურის წინ.
2) შორსმხედველი ადამიანის მხედველობის კორექციისთვის საჭიროა ორმხრივამოზნექილი ლინზა, ხოლო ახლომხედველი ადამიანის მხედველობის კორექციისთვის საჭიროა ორმხრივამოზნექილი ლინზა.

§2.5.

1. ყურის ნიჟარა (კრებს ჰაერის ტალღებს და გარეთა სასმენი მილისკენ მიმართავს) – გარეთა სასმენი მილი (ჰაერის ტალღებს მიმართავს დაფის აპკისკენ) – ელასტიკური დაფის აპკი (რხევით მოძრაობას იწყებს) – სასმენი ძვლები (აძლიერებს რხევით ტალღებს და გადასცემს შიგნითა ყურს) – ლოკოკინა (ლოკოკინაში სმენის რეცეპტორები ღიზიანდება და ნერვული იმპულსი წარმოიქმნება) – სმენის ნერვი (სმენის რეცეპტორებიდან გამოაქვს ნერვული იმპულსები და გადასცემს თავის ტვინს) – საფეთქლის წილი (სმენითი ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი შეგრძნების წარმოქმნა).
2. ადამიანი დაკარგავს სმენას. მაგალითად, თუ სმენის ნერვი დაზიანდა, სმენის რეცეპტორებიდან ნერვული იმპულსი მას ველარ გადაეცემა და თავის ტვინს ვერ გადასცემს სმენით ინფორმაციას; თუ სმენის ზონა დაზიანდა, შესული სმენითი ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი შეგრძნება აღარ წარმოიქმნება.
3. წნევის გათანაბრება შუა და გარეთა ყურს შორის.
4. ამ ფაქტმა შეიძლება, დაფის აპკის დაზიანება გამოიწვიოს.
5. 1) ამ დროს მკვეთრად ირღვევა ჰაერის წნევის სხვაობა შუა ყურსა და გარეთა ყურს შორის. 2) შეიძლება ზოდა ყურის დამცავი ყურსაცავების გამოყენება.
6. შიგნითა ყურში არსებული სამი ნახევარკალოვანი არხი.

თემა 2 – ის შეჯამება

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ა	X				X		X	X	X				X	
ბ			X	X		X				X				X
გ											X			
დ		X										X		

დავალებები კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის

1. სიბნელეში გუგები იყო გაფართოებული, ნათურის ჩართვის დროს სხივების დიდ ნაკადს ატარებს გუგა და სინათლე ძალიან კაშკაშა ეჩვენება ადამიანს. შემდეგ ნერვული სისტემის მონაწილეობით გუგა უპირობო რეფლექსურად შევიწროვდება, შესაბამისად, ნაკლებ სხივებს ატარებს გუგა და თვალი კაშკაშად ველარ აღიქვამს სინათლის ამ ინტენსივობას.
2. დღისით ადამიანი ვერ აღიქვამს გუგის პირდაპირ მოთავსებულ საგნებს ფერადად, მხოლოდ იმ საგნებს აღიქვამს ადამიანი, რომლებიც გუგის პირდაპირ არ მდებარეობს.

3. შესუსტდება ადამიანის მიერ გარემოს აღქმა სუსტ განათებაზე, რადგან მნიშვნელოვნად შემცირდება ჩხილების რაოდენობა.

ვიზუალური მასალის განსჯა

- 1) 2) E – წამწამოვანი კუნთი, F – ბროლი, G – რქოვანა, H – გუგა, A – ცილოვანი გარსი, B – სისხლძარღვოვანი გარსი, C – ბადურა, D – მხედველობის ნერვი. 4) სინათლის სხივების გატარება, 5) B – სტრუქტურა, 6) მხედველობის რეცეპტორებიდან ნერვული იმპულსის გამოტანა და თავის ტვინში გადაცემა, 7) ფოტორეცეპტორები, 8) F – სტრუქტურის.
- 2) 1) 5 – ყურის ნიჟარა, 6 – გარეთა სასმენი მილი, 7 – დაფის აპკი, 1 – სასმენი ძვლები, 2 – ნახევარკალოვანი არხები, 3 – ლოკოკინა, 4 – ევსტაქის მილი/შიგნითა სასმენი მილი, 8 – სმენის ნერვი. 2) 2 და 3, 3) 8, 4) 5 – 6 – 7 – 1 – 3, 5) 4.
- 3) 1) სურათი 2, რადგან ბროლის სიმრუდე გაზრდილია, სხივები მეტად გარდატყდება და ფოკუსირდება ბადურაზე 2) 1, რადგან ბროლის სიმრუდე შემცირებულია, სხივები ნაკლებად გარდატყდება და ფოკუსირდება ბადურაზე.
- 4) 1) რადგან ბროლის სიმრუდე იმის მიხედვით იცვლება, ახლოს მდებარე საგნებს უყურებ თუ შორს მდებარე, ამიტომ ბროლის სიმრუდე ვერ იქნება ერთდროულად გაზრდილიც და შემცირებულიც. ამიტომ, თუ ვუყურებთ შორს მდებარე საგნებს, ახლოს მდებარე საგნებს ვერ აღვიქვამთ მკვეთრად და პირიქით, 2) აკომოდაცია, 3) ბროლი.
5. 1 – ნორმალური მხედველობის, 2 – შორსმხედველს (სხივები ფოკუსირდება ბადურის უკან) და 3 – ახლომხედველს (სხივები ფოკუსირდება ბადურის წინ).

ტერმინებსა და ცნებებს შორის კავშირის დადგენა

ტერმინებს შორის დამოკიდებულება

1.

- 1) სასმენი ძვლები, ლოკოკინა და დაფის აპკი ყურის სტრუქტურებია, მათთან არ არის დაკავშირებული ტრაქტა
- 2) ბადურა, რქოვანა და ბროლი თვალის სტრუქტურებია, მათთან არ არის დაკავშირებული ჯიბისებრი სარქველი
- 3) ბრმა ხალი, გუგა და ყვითელი ხალი თვალის სტრუქტურებია, მათთან არ არის დაკავშირებული გარეთა სასმენი მილი
- 4) ნახევარკალოვანი არხები, გარეთა სასმენი მილი და ევსტაქის მილი ყურის სტრუქტურებია, მათთან არ არის დაკავშირებული პლევრა,
- 5) ფოტორეცეპტორები, მხედველობის ნერვი და ჰემისფეროების კეფის წილი მონაწილეობს მხედველობით აღქმაში, მათთან არ არის დაკავშირებული მინისებრი სხეული

2.

- 1) სინათლის სხივი აღიზიანებს ფოტორეცეპტორებს და მათში ნერვული იმპულსი წარმოიქმნება.
- 2) ჰაერის რხევითი ტალღა გადაეცემა ლოკოკინას, საპასუხოდ ღიზიანდებიან სმენის რეცეპტორები და მათში ნერვული იმპულსი წარმოიქმნება.
- 3) მხედველობითი ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი შეგრძნება წარმოიქმნება ჰემისფეროების ქერქის წილის მხედველობის ზონაში.
- 4) ბგერითი ინფორმაციის გაანალიზება და შესაბამისი შეგრძნება წარმოიქმნება ჰემისფეროების ქერქის საფეთქლის წილის სმენის ზონაში.
- 5) ფოტორეცეპტორებში წარმოქმნილი ნერვული იმპულსი გადაეცემა მხედველობის ნერვს.

საკვანძო სამეცნიერო ტერმინების გამოყენება

წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილზე მოცემული ჩამონათვალიდან ჩასვით შესაბამისი სიტყვა:
 1. ბადურა, 2. ბროლი, 3. კოლბები, 4. ფერადი გარსის, 5. ჩხირები.

სინათლის სხივი გაივლის თვალის 4.-ის ცენტრში მდებარე გუგას, გუგის უკან მდებარეობს 2, რომელშიც სხივი გარდატყდება, შემდეგ სხივი გაივლის მინისებრ სხეულს და ფოსკუსირდება 1-ზე, სადაც ორი სახის რეცეპტორებია: ერთი აღიგზნებიან ძლიერი განათებისას და კარგად არჩევენ ფერებს, ესენი 3, მეორე სახის რეცეპტორებს კი ეწოდებათ 5, ისინი ფერებს ვერ არჩევენ.


სწორია თუ მცდარი?

- 1) რქოვანა არის ცილოვანი გარსის წინა ნაწილი.
- 2) თვალის კაკალს კვებას სისხლძარღვოვანი გარსი.
- 3) ბადურაზე მოხვედრილი სინათლის სხივების რაოდენობას არეგულირებს გუგა.
- 4) სხვადასხვა მანძილზე მყოფი საგნების გასარჩევად იცვლება ბროლის სიმრუდე.
- 5) სწორია
- 6) სასმენი ძვლების ფუნქციაა რხევითი ტალღების გაძლიერება.
- 7) სმენის რეცეპტორები განთავსებულია შიგნითა ყურში.
- 8) ნახევარკალოვანი არხები წონასწორობის ორგანოს როლს ასრულებს.
- 9) დაფის აპკი ერთმანეთისგან გამოყოფს გარეთა და შუა ყურს.
- 10) საფეთქლის წილში მოთავსებულია სმენის ზონა.

ანალოგია

- 1) სასმენი ძვლები : შუა ყური :: ლოკოკინა : შიგნითა ყური
- 2) ნახევარკალოვანი არხები : შიგნითა ყური :: გარეთა სასმენი მილი : გარეთა ყური
- 3) მხედველობითი აღქმა : კეფის წილი :: ბგერითი აღქმა : საფეთქლის წილი
- 4) ყურის ნიჟარა : ჰაერის რხევითი ტალღების შეკრება :: სასმენი ძვლები : რხევის ტალღების გაძლიერება
- 5) კოლბები : საგნების ფერადი აღქმა :: ჩხირები : საგნების შავ-თეთრში აღქმა

მონაცემების ორგანიზება სქემებში



თემა 3 – რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა

§3.1.

1. რეპროდუქცია უზრუნველყოფს: დედამიწაზე სიცოცხლის უწყვეტობას; თაობათა შორის კავშირს – თაობიდან თაობაზე გენეტიკური/მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემას; სახეობაში ინდივიდების რიცხვის ზრდასა და ახალ ტერიტორიაზე განსახლებას.
2. სქესობრივი მომწიფების პერიოდში იწყება სასქესო ჯირკვლების განვითარება და სასქესო ჰორმონების გამოყოფა, ვითარდება პირველადი და მეორეული სასქესო ნიშნები.
3. მომწიფების პერიოდს აკონტროლებს ჰიპოფიზის ჰორმონები.
4. ესტროგენების გავლენით ვითარდება ქალისათვის დამახასიათებელი პირველადი და მეორეული სასქესო ნიშნები: მკერდის ზრდა და განვითარება, ილიასა და ინტიმურ ადგილებში თმისა, მენჯის გაფართოება და სხეულის მრგვალი ფორმის მიღება, იწყება მენსტრუალური ციკლი.
5. ანდროგენების გავლენით ბიჭებში ვითარდება მამაკაცისთვის დამახასიათებელი პირველადი და მეორეული სასქესო ნიშნები: სიმაღლისა და კუნთის მასის ზრდა, მხრების გაფართოება, სახეზე, ილიასა და ინტიმურ ადგილებში თმისა, სასქესო ორგანოების განვითარება, ერექცია, სპერმის წარმოქმნა.

§3.2.

1. სათესლე ჯირკვლებში წარმოქმნილ უჯრედებს სპერმატოზოიდები ეწოდება.
2. რადგან სპერმატოზოიდის წარმოქმნისათვის საუკეთესო ტემპერატურაა სხეულის ტემპერატურაზე, დაახლოებით, $2^{\circ} - 3^{\circ}\text{C}$ -ით ნაკლები.
3. სიცოცხლეს უნარჩუნებს სპერმატოზოიდებს, უზრუნველყოფს მათ საკვებითა და ეხმარება ადვილად მოძრაობაში.
4. აკროსომა შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც შლიან კვერცხუჯრედის გარსს.
5. სპერმატოზოიდის თავში მოთავსებულ ბირთვში.
6. შოლტის საშუალებით.
7. 1) საკვერცხეში მწიფდება მდედრობითი გამეტები და სათესლეებში – მამრობითი. 2) თესლგამტარში მოძრაობს მამრობითი გამეტები და კვერცხსავალში – მდედრობითი გამეტა. 3) სპერმატოზოიდი – მამრობითი სასქესო უჯრედი, კვერცხუჯრედი – მდედრობითი სასქესო უჯრედი.
8. მტვრიანები შეესაბამება სათესლეებს, რადგან ორივეში წარმოიქმნება მამრობითი გამეტები; თესლკვირტი შეესაბამება საკვერცხეს, რადგან ორივეში წარმოიქმნება მდედრობითი გამეტები.

§3.3.

1. ოვულაცია ნიშნავს მომწიფებული ფოლიკულის გასკდომასა და კვერცხუჯრედის საკვერცხიდან გამოთავისუფლებას. საკვერცხეში, ნორმაში, 28-30 დღეში პირველადი ფოლიკულიდან მომწიფებული ფოლიკულის განვითარდება.
2. ესტროგენი და პროგესტერონი. ესტროგენი არის საკვერცხის ჰორმონი, ხოლო პროგესტერონი – ყვითელი სხეულის ჰორმონი.
3. ესტროგენის გამოყოფა მენსტრუაციიდან მე-6 დღეს იწყება და თანდათან მატულობს მისი დონე სისხლში, იგი ხელს უწყობს საშვილოსნოს კედლის აღდგენას და კვერცხუჯრედის მომწიფებას. პროგესტერონის სეკრეცია ძლირდება მენსტრუაციის მე-15 დღიდან და განაპირობებს საშვილოსნოს კედლის გასქელებასა და სიხლძარღვოვანი კაპილარებით გამდიდრებას, ხელს უშლის ახალი კვერცხუჯრედის მომწიფებას.
4. 1) ესტროგენის გავლენით საშვილოსნოს კედლის აღდგენა და გასქელება; 2) ყვითელი სხეულის

მიერ გამოყოფილი პროგესტერონი განაპირობებს საშვილოსნოს კედლის შემდგომ განვითარებას და სისხლის კაპილარებით გამდიდრებას; 3) თუ კვერცხუჯრედი არ განაყოფიერდა, პროგესტერონის დონე სისხლში ეცემა და ჩამოიშლება საშვილოსნოს კედლის ლორწოვანი გარსი – იწყება მენსტრუაცია.

5. პერიოდი, როდესაც ქალში წყდება მენსტრუალური ციკლი.
6. რადგან მე-14 დღეს (კვერცხუჯრედის განაყოფიერების შემთხვევაში) ყვითელი სხეული წყვეტს დროებითი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლის ფუნქციის შესრულებას და აღარ გამოიყოფა პროგესტერონი.
7. 1) რადგან კვერცხუჯრედის განაყოფიერება არ მოხდა და შეწყდა ამ ჰორმონების სეკრეცია; 2) ესტროგენის დონე მაქსიმალურია, იწყება პროგესტერონის სეკრეცია; 3) მაქსიმალური.

§3.4.

1. შოლტი ხელს უწყობს სპერმატოზოიდის მოძრაობას, თავში ბირთვია, რომელიც გენეტიკურ ინფორმაციას შეიცავს, აკროსომა კი შეიცავს ფერმენტებს, რაც ეხმარება კვერცხუჯრედში შეღწევაში.
2. კვერცხუჯრედი განაყოფიერდება საშვილოსნოს მილში.
3. სპერმატოზოიდის აკროსომის ფერმენტები შლიან კვერცხუჯრედის გარსს და მასში შეიჭრება სპერმატოზოიდის მხოლოდ თავი (კუდი გარეთ რჩება), ხდება კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის ბირთვების შერწყმა; კვერცხუჯრედს მხოლოდ ერთი სპერმატოზოიდი ანაყოფიერებს.
4. მრავალუჯრედიანი ემბრიონის საშვილოსნოში გადასვლის მომენტიდან იწყება ორსულობა და გრძელდება ბავშვის დაბადებამდე (38-40 კვირა).
5. ერთდროულად განაყოფიერდა სამი კვერცხუჯრედი, ერთისგან ორი ჩანასახი განვითარდა, ხოლო ორი კვერცხუჯრედისგან – თითო ჩანასახი.
6. 1) მაგალითად, მამაკაცში თესლგამტარი არის ძალიან ვიწრო ან მთლიანად ჩაკეტილი, სპერმატოზოიდების რაოდენობა ძალიან მცირეა ან სპერმატოზოიდები სუსტია, ან დეფორმირებულია; ქალებში კი საკვერცხეების ან ფალოპის ლულის დაზიანება, თვით კვერცხუჯრედს შეიძლება ჰქონდეს დეფექტი და დაბრკოლება შეუქმნას მემბრანაში სპერმატოზოიდის შეჭრას; 2) უნაყოფობის დაძლევის თანამედროვე მეთოდებია: ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი: ა) ინსემინაცია, როდესაც კათეტერით შეჰყავთ საშვილოსნოში სპერმატოზოიდები; ბ) ინ ვიტრო განაყოფიერება, როდესაც განაყოფიერება ხდება ქალის ორგანიზმის გარეთ, ზიგოტის დაყოფისათვის საჭირო პირობებს ქმნიან და შემდეგ მრავალუჯრედიანი ემბრიონი/ემბრიონები შეჰყავთ კათეტერით საშილოსნოში; სუროგაცია.

§3.5.

1. ორსულობის პერიოდი.
2. ოქსიტოცინი, რომლის ზემოქმედებითაც ძლიერდება საშვილოსნოს კედლების შეკუმშვები.
3. მშობიარობის ფაზებია: I. საშვილოსნოს ყელის გაფართოება, II. ბავშვის დაბადება და III. პლაცენტის გამოდევნა.
4. რათა გაადვილდეს მისი მოძრაობა სამშობიარო გზებში.
5. როდესაც დედის საშვილოსნოს ყელი არ ფართოვდება ან ნაყოფს არ აქვს შესაბამისი მდებარეობა.

§3.6.

1. ორსული დედა ბევრ ენერჯიას კარგავს და მას სჭირდება ნახშირწყლები, პირველ რიგში, როგორც ენერჯიის ძირითადი წყარო; ცილები არის ძირითადი სამშენებლო მასალა ემბრიონის უჯრედების გამრავლებისთვის, კალციუმი და D ვიტამინი კი აუცილებელია ნაყოფის ჩონჩხის განვითარებისთვის.
2. რკინის მარილების, რადგან რკინის იონები შედის ჰემოგლობინის შემადგენლობაში.

3. ორსულობის პერიოდში ქალმა შეიძლება წონაში, საშუალოდ, 12 კგ-ით მოიმატოს. თუმცა წონაში უფრო მეტად ან ნაკლებად მომატება უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფზე. მაგალითად, ორსული ქალები, რომლებიც წონაში მცირედ იმატებენ, უფრო ხშირად შობენ მცირეწონიან ბავშვებს, მათ შვილებს შეიძლება დარღვეული ჰქონდეთ იმუნური სისტემა, ახასიათებდეთ სწავლაში ჩამორჩენა და განვითარების შეფერხება.
4. მწვევლი დედის სისხლიდან ნიკოტინი პლაცენტით ხვდება ნაყოფის სისხლში და ახდენს მის განვითარებაზე გავლენას.

§3.7.

3. სავარაუდო პასუხი: მან შეიძლება დაავადდეს ადამიანები სილამაზის სალონის ან სტომატოლოგიური მომსახურების დროს, თუ სათანადოდ არ სტერილიზდება შესაბამისი ხელსაწყო-იარაღი.
4. 1) საზოგადოების ყურადღების მიპყრობა დაავადებისადმი, გავრცელებისა და პრევენციის გზების გაცნობა, რაც მთავარია, მხარდაჭერის გამოცხადება შიდასით დაავადებული ადამიანებისთვის.

თემა 3 – ის შეჯამება

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა		X						X						X	
ბ				X			X		X	X					X
გ	X		X			X					X	X	X		
დ					X										

დავალებები კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის

1. ორი მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი: პირველი – მენსტრუალური ციკლის გავრძელება ნიშნავს ახალი კვერცხუჯრედის წარმოქმნას, რომელიც შეიძლება განაყოფიერდეს, რაც პრობლემას შეუქმნის ნორმალური ორსულობის განვითარებას, შეიძლება საშვილოსნოს მილში დარჩეს ემბრიონი და განვითარდეს ე.წ. საშვილოსნოს გარე ორსულობა, რაც სიცოცხლისათვის სახიფათოა; მეორე – მენსტრუალური ციკლის ერთ-ერთი ფაზაა მენსტრუაცია, ეს კი ბუნებრივ აბორტს გამოიწვევს.
2. იზრდება კვერცხუჯრედის განაყოფიერების შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ყველა სპერმატოზოიდს არ აქვს განაყოფიერების უნარი.
3. რომ არ მოხდეს კიდევ სხვა სპერმატოზოიდის შეჭრა, რითაც დაირღვეოდა დედისა და მამისგან მიღებული გენეტიკური ინფორმაციის თანაფარდობა.
4. სათესლე სითხე – აადვილებს სპერმატოზოიდების მოძრაობას, მილიონობით სპერმატოზოიდის წარმოქმნა და გამოყოფა – იზრდება განაყოფიერების შესაძლებლობა, ფალოპის მილის კედლების წამწამები – მათი მოძრაობა ხელს უწყობს კვერცხუჯრედის გადაადგილებას საშვილოსნოსკენ, სპერმატოზოიდის მცირე ზომა და შოლტი – მოძრაობის გაადვილება.
5. ძუძუმწოვრებში ჩანასახი ვითარდება დედის ორგანიზმში – საშვილოსნოში, საოდანაც იღებს ჩანასახი საკვებ ნივთიერებებს, ხოლო დანარჩენი ხერხემლიანების ჩანასახი დედის ორგანიზმის გარეთ ვითარდება და ჩანასახის განვითარებისთვის საჭირო საკვები ნივთიერებები გროვდება კვერცხუჯრედში, ამიტომ იგი დიდი ზომისაა.
6. პლაცენტის საშუალებით იღებს საკვებ ნივთიერებებს დედისგან, ხოლო ჩანასახისთვის აუცილებელ თხევად გარემოს და დამცავ როლს ასრულებს ამნიონის სითხით სავსე ამნიონური ბუშტი.

მონაცემების განსჯა (ანალიზი და დასკვნა)

- 1) დაახლოებით 39%; 2) სავარაუდო პასუხი: არ იცის, რომ დაავადებულია, ან მაღავს, რადგან ეშინია სამსახურის დაკარგვისა და საზოგადოებისგან მიუღებლობის; 3) საზოგადოებისთვის: გავრცელების პერსპექტივა, ოჯახისთვის: თუ არ იცის თავისი ავადობის შესახებ, დაავადოს მეუღლე, მომავალი შვილი.
- 2) 1) 13 წლამდე ბიჭები და გოგონები ერთი ტემპით იზრდებიან, 14 წლიდან გოგონები უმნიშველოდ იზრდებიან, ხოლო ბიჭების ზრდის ტემპი კვლავ მაღალია; 2) ბიჭებში 18 წლის ასაკი და გოგონებში – 16 წელი.

ვიზუალური მასალის განსჯა

1. 1 – საკვერცხე: კვერცხუჯრედის წარმოქმნა და ჰორმონების სეკრეცია, 2 – ფალოპის/საშვილოსნოს მილი: კვერცხუჯრედი გადადის მასში, აქ ხდება განაყოფიერება და მისი გადაადგილება საშვილოსნოსკენ, 3 – საშვილოსნო: ემბრიონის და შემდეგ ნაყოფის განვითარება, 4 – საშო: სპერმატოზოიდების მოხვედრა.
2. 1) 1 – ასო/პენისი: სპერმატოზოიდების გარემოში გამოყოფა, 2 – შარდსადენი: მოძრაობს სპერმატოზოიდები, 3 – თესლგამტარი; სათესლე ჯირკვლებიდან გამოაქვს სპერმატოზოიდები, 4 და 5 – სათესლე ბუშტუკები და წინამდებარე ჯირკვალი: გამოყოფენ სითხეს და სპერმატოზოიდებთან შეერევა, წარმოიქმნება სპერმა, 6 – სათესლე: სპერმატოზოიდების წარმოქმნა. 2) 6 – 3 – 4 და 5 – 2.
3. რადგან სპონტანურად იკუმშება საშვილოსნო – ზოგჯერ სუსტად, ზოგჯერ ძლიერად, ამიტომ შესაძლებელია სწრაფად გამოიდევენოს ნაყოფი საშვილოსნოდან, თავის დაკავებით, აცილებულია როგორც ბავშვის ტრავმა, ისე დედის სამშობიარო გზების დაზიანება.

ტერმინებსა და ცნებებს შორის კავშირის დადგენა

ტერმინებს შორის დამოკიდებულება

- 1) 1) ოვულაცია, ფოლიკული, მენსტრუაცია დაკავშირებულია საკვერცხესთან, მათთან არ არის დაკავშირებული ჩანასახი
2) სათესლეები, სათესლე პარკი და თესლგამტარი არის მამაკაცის სასქესო ორგანოების სტრუქტურები, მათთან არ არის დაკავშირებული ფოლიკულები
3) ზიგოტა, სფეროსებრი ჩანასახი და იმპლანტაცია – პროცესები, რომლებიც მოჰყვება განაყოფიერებას, მათთან არ არის დაკავშირებული მენსტრუაცია
2. 1) ტესტოსტერონი არის ერთ-ერთი ჰორმონი, რომელიც განაპირობებს სქესობრივ მომწიფებას
2) მომწიფებული ფოლიკულისგან წარმოიქმნება კვერცხუჯრედი, რასაც ოვულაცია ეწოდება
3) პროგესტერონი მენსტრუალურ ციკლს დროებით წყვეტს
4) ზრდასრულ ქალში დგება პერიოდი, როდესაც წყდება მენსტრუალური ციკლი, რასაც მენოპაუზა ეწოდება

სწორია თუ მცდარი?


- 1) მომწიფების პერიოდი – ეს არის ინტენსიური ზრდისა და სქესობრივი მომწიფების პერიოდი.
- 2) მამაკაცისა და ქალის რეპროდუქციული ორგანოებისა და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებაზე გავლენას ახდენს სასქესო ჯირკვლების ჰორმონები.
- 3) სწორია
- 4) სწორია

- 5) საკვერცხიდან კვერცხუჯრედი ოვულაციის შემდეგ ხვდება საშვილოსნოს მილში.
- 6) კვერცხუჯრედი განაყოფიერდება საშვილოსნოს მილში.
- 7) განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს ზიგოტა ჰქვია.
- 8) ზიგოტა დაყოფას იწყებს საშვილოსნოს მილში.

ანალოგია

- 1) კვერცხუჯრედი : საშვილოსნოს მილი :: სპერმატოზოიდი : თესლგამტარი
- 2) სათესლეები : ტესტოსტერონი :: საკვერცხე : ესტროგენები
- 3) დიზოგოტური ტყუბი : არაიდენტური ტყუბი :: მონოზიგოტური ტყუბი : იდენტური ტყუბი
- 4) ზიგოტა : საშვილოსნოს მილი :: ნაყოფი : საშვილოსნო

მონაცემების ორგანიზება სქემებში



თემა 4 – უჯრედული მეტაბოლიზმი

§4.1.

1. 1) ბირთვი, პლამური მემბრანა, ციტოპლაზმა, ენდოპლამური ბადე, მიტოქონდრიები, გოლჯის აპარატი, ლიზოსომა; 2) სავარაუდო პასუხი: ენდოპლამური ბადე, რიბოსომა, გოლჯის აპარატი, ლიზოსომა; 3) უჯრედის კედელი, ქლოროპლასტი, ცენტრალური ვაკუოლი; 4) უჯრედის ცენტრი.
- 2.

მცენარეული უჯრედი	საერთო	სოკოს უჯრედი
ქლოროპლასტი უჯრედის კედელი ცელულოზისგან შედგება	უჯრედის კედელი პლამური მემბრანა ციტოპლაზმა ბირთვი ენდოპლამური ბადე მიტოქონდრიები გოლჯის აპარატი ლიზოსომა ცენტრალური ვაკუოლი რიბოსომები	უჯრედის კედელი ქიტინისგან შედგება

3. ახალგაზრდა ერთროციტს ბირთვი აქვს, გარდა ამისა, მას გააჩნია ეუკარიოტული უჯრედისთვის დამახასიათებელი ყველა სტრუქტურა.
- 4.

ცხოველური უჯრედი	საერთო	ბაქტერიის უჯრედი
ბირთვი ენდოპლამური ბადე მიტოქონდრიები გოლჯის აპარატი ლიზოსომა უჯრედის ცენტრი	პლამური მემბრანა ციტოპლაზმა რიბოსომა	უჯრედის კედელი მემკვიდრეობითი ნივთიერება ციტოპლაზმაში

5. ორივესთვის დამახასიათებელია ჰეტეროტროფული კვების ტიპი, რადგან ქლოროპლასტები არ გააჩნიათ.

§4.2.

1. წყლის მოლეკულის პოლარობა და მოლეკულებს შორის წყალბადური ბმები.
2. საჭმლის მომწელებელ არხში შედის რეაქციაში ორგანულ ნივთიერებებთან და მარტივი ორგანული ნივთიერებები მიიღება, ხოლო ფოტოსინთეზის დროს წყლისა და ნახშირორჟანგისგან, სინათლის ენერჯის ხარჯზე, გლუკოზა წამოიქმნება და ჟანგბადი გამოიყოფა.
3. 1) გარემოდან უჯრედში და უჯრედიდან გარემოში, ორგანიზმში საკვები ნივთიერებები და ცვლის საბოლოო პროდუქტები, ძირითადად, ტრანსპორტირდება წყალხსნარების სახით; 2) წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმების არსებობა უკავშირდება წყლის მონაწილეობას თბორეგულაციაში; 3) მაშინ წყალსატევში სიცოცხლე ზამთარში შეწყდება.
4. 1) ნერწყვის ფერმენტი; 2) პანკრეასის; 3) კუჭის ფერმენტები
5. დაბადებიდან 1 წლამდე, რადგან ამ დროს ინტენსიურად იზრდება ორგანიზმი, აქტიურად მიმდინარეობს მის უჯრედებში სასიცოცხლო პროცესები.
6. ტვინის, ღვიძლის, ჩონჩხის კუნთის ქსოვილების უჯრედებში, რადგან ამ ორგანოებში ინტენსიურად მიმდინარეობს სასიცოცხლო პროცესები.

§4.3.

1. 1) მონოსაქარიდებია: დემოქსირიბოზა, რიბოზა, გლუკოზა, ფრუქტოზა, გალაქტოზა, დისაქარიდებია: ლაქტოზა, საქაროზა, მალტოზა, პოლისაქარიდი სახამებელი. 2) დისაქარიდ საქაროზას; 3) სახამებელი, რადგან მარტივი ნახშირწყლის რამდენიმე მოლეკულისგან შედგება; 4) გლუკოზა.
2. 1) ყველა პოლისაქარიდის მონომერი გლუკოზაა; 2) ცელულოზა და სახამებელი მცენარეული უჯრედისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო გლიკოგენი – ცხოველურისთვის; 3) ცელულოზა ასრულებს სტრუქტურულ და დამცველობით ფუნქციას, სახამებელი და გლიკოგენი კი – სამარაგო ფუნქციას.

3.

ნახშირწყლის სახეობა	მონოსაქარიდი/დისაქარიდი /პოლისაქარიდი	წყალში ხსნადობა	სად გვხვდება	ფუნქცია
გლუკოზა	მონოსაქარიდი	ხსნადი	ყველა ტიპის უჯრედში	ენერგეტიკული
საქაროზა	დისაქარიდი	ხსნადი	მცენარეებში	სამარაგო
ცელულოზა	პოლისაქარიდი	უხსნადი	მცენარეებში	სტრუქტურული, დამცველობითი
სახამებელი	პოლისაქარიდი	უხსნადი	მცენარეებში	სამარაგო
გლიკოგენი	პოლისაქარიდი	უხსნადი	ცხოველებში, სოკოებში	სამარაგო
ქიტინი	პოლისაქარიდი	უხსნადი	სოკოებში, ფეხსახსრიანებში	სტრუქტურული, დამცველობითი

§4.4.

1.

საერთო ფუნქციები	განსხვავებული ფუნქციები
ენერგეტიკული სამარაგო სტრუქტურული, დამცველობითი	ლიპიდები ასრულებენ ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესების მარეგულირებელ ფუნქციას, ცხიმები თერმოიზოლატორის ფუნქციას ასრულებს

2. ორივე ცხოველში ცხიმი ასრულებს სამარაგო და ენერგეტიკულ ფუნქციას, აქლემში კუბში დაგროვებული ცხიმი წყლის სამარაგო ფუნქციასაც ასრულებს, ხოლო სელაპში კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი სხეულის თერმორეგულაციაში მონაწილეობს.

§4.5.

1. ცილა არის პოლიმერული ნაერთი.
2. მონომერების როლს ამინომჟავები ასრულებენ.
3. პოლისაქარიდებში მონომერის როლს ერთი სახის მონომერი (კერძოდ, გლუკოზა ასრულებს), ცილის მოლეკულის შენებაში კი 20 სახეობის ამინომჟავა მონაწილეობს.
4. სხვადასხვა ცილის მოლეკულა ერთმანეთისგან განსხვავდება ამინომჟავური შემადგენლობით, თანმიმდევრობითა და რაოდენობით.
5. უჯრედებში ბიოქიმიურ რეაქციებს აჩქარებს ზოგიერთი სახეობის ცილა, რომელსაც ფერმენტი/ენზიმი ეწოდება.
6. ნეიტრალური ან სუსტი pH, რადგან ციტოპლაზმაში ასეთი pH-ია.

§4.6.

1. გენში ჩაწერილია ცილის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, ხოლო ცილა ნიშან-თვისებას განსაზღვრავს.
2. დიას. ეს არის ორგანული ნივთიერებები, რომლებიც ბუნებრივად მხოლოდ ორგანიზმებში სინთეზირდება.
3. მე-2 ეჭვმიტანილს.
4. ნუკლეინის მუკვებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ისინი არიან მემკვიდრეობითი ინფორმაციის მატარებელი, ამიტომ ნუკლეინის მუკვები განსაზღვრავენ და აკონტროლებენ უჯრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს; ცილებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან სასიცოცხლო პროცესების გამოვლენა დაკავშირებულია უჯრედში ბიოქიმიურ პროცესებზე, რომლებიც ცილა-ფერმენტების გარეშე არ მიმდინარეობს, ამიტომ განსაზღვრავს ცილა ნიშან-თვისებებს; ნახშირწყლებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან უჯრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების წარმართვისათვის ენერგიაა საჭირო, გლუკოზა კი ენერგიის ძირითადი წყაროა.

§4.7.

1. მეტაბოლიზმი არის ენერგეტიკული და პლასტიკური ცვლების ერთობლიობა.
2. ენერგეტიკული ცვლის დროს რთული ორგანული ნივთიერებისგან წარმოიქმნება მარტივი ნივთიერებები და ენერგია გამოთავისუფლდება, ხოლო პლასტიკური ცვლის დროს პირიქით: მარტივი ნივთიერებებისგან – რთული ნივთიერება და ენერგია შთაინთქმება.
3. ენერგეტიკული ცვლის დროს გამოთავისუფლებული ენერგია ხმარდება პლასტიკურ ცვლას, პლასტიკური ცვლის დროს წარმოქმნილი ენერგიით მდიდარი ორგანული ნივთიერება იჟანგება ენერგეტიკულ ცვლაში.
4. ყველა ბიოქიმიური რეაქცია ფერმენტების თანაობით მიმდინარეობს და თითოეული ტიპის რეაქციას აკატალიზებს სპეციფიკური ფერმენტი. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკულ და პლასტიკურ ცვლებში განსხვავებული ფერმენტები მონაწილეობენ.
5. გლუკოზის წყარო იქნება უჯრედში სამარაგოდ დაგროვებული ნახშირწყლები: ადამიანსა და სოკოში – გლიკოგენი, მცენარეებში – სახამებელი.
6. 1) კუნთები, ტვინი და ღვიძლი; 2) მიტოქონდრიები, რადგან აქ მიმდინარეობს უჯრედული სუნთქვა; 3) ენერგეტიკული ცვლა.

§4.8.

1. გენი (შეიცავს ინფორმაციას ცილის სტრუქტურის შესახებ), ი-რნმ (ინფორმაცია ცილის სტრუქტურის შესახებ ბირთვიდან გადააქვს ციტოპლაზმაში ცილის სინთეზის ადგილას), ამინომუკვები (ცილის მონომერებია), რიბოსომა (სინთეზირდება ცილის პოლიმერი).
2. ლიპიდების, ნახშირწყლების, ცილების, ნუკლეინის მუკვების რთული მოლეკულების სინთეზი მარტივი ნივთიერებების მოლეკულებისგან. პლასტიკური ცვლა ორგანიზმსა და უჯრედს უზრუნველყოფს საშენი მასალით.

§4.9.

1. 1) ფოთლების უმრავლესობას აქვს ბრტყელი ზედაპირი, რაც ზრდის ატმოსფეროსთან შეხების ზედაპირის ფართობს და, შესაბამისად, ბევრ სინათლის სხივებსა და ნახშირორჟანგს შთანთქმავს, შეიცავს მაფოტოსინთეზირებელ ქსოვილს და ბაგეებს, რომლებითაც აირთა ცვლა მიმდინარეობს. 2) ქლოროპლასტები, განათება, ტენი, გარემოში ნახშირორჟანგი, სითბო. 3) საწყისი ნივთიერებებიდან წყალი და ნახშირორჟანგი, ხოლო პროდუქტებიდან გარემოში გამოყოფილი ჟანგბადი და

წარმოქმნილი გლუკოზა.

2. ხელოვნურად გარემოში განათების ინტენსივობისა და ნახშირორჟანგის რაოდენობის გაზრდით.

3. 1)

შესადარებელი ნიშნები	ფოტოსინთეზი	სუნთქვა
შთანთქმული აირი	ნახშირორჟანგი	ჟანგბადი
გამოყოფილი აირი	ჟანგბადი	ნახშირორჟანგი
წყალი შთანთქმება/გამოიყოფა	შთანთქმება	გამოიყოფა
დღე-ღამის რა პერიოდში მიმდინარეობს	სინათლეზე	დღე-ღამის გან.-ში
გლუკოზის წარმოქმნა/დაჟანგვა	წარმოქმნა	დაჟანგვა
ენერჯია შთანთქმება/გამოიყოფა	შთანთქმება	გამოიყოფა
უჯრედის რა სტრუქტურაში მიმდინარეობს	ქლოროპლასტებში	მიტოქონდრიებში

2) ფოტოსინთეზის პროცესში წარმოქმნილი გლუკოზა და ჟანგბადი გამოიყენება სუნთქვის პროცესში და პირიქით, სუნთქვის პროცესში გამოყოფილი წყალი და ნახშირორჟანგი მონაწილეობს ფოტოსინთეზში.

§4.10.

- 1) 1) სამი ეტაპისგან შედგება: ინტერფაზა, მიტოზი და ციტოკინეზი; 2) ოთხი ფაზისგან: პროფაზა, მეტაფაზა, ანაფაზა და ტელოფაზა; 3) პროფაზაში – 4 ქრომოსომა და 8 ქრომატიდი, ტელოფაზაში – 4 ქრომოსომა და 4 ქრომატიდი; 4) ა) ტელოფაზაში, ბ) მეტაფაზაში, გ) პროფაზაში, დ) ანაფაზაში.
2. 4096 უჯრედი.
3. მაყვლის პწკალით და ჰიდრას დაკვირვებით გამრავლება. იდენტურები არიან, რადგან მრავლდება სომატური უჯრედების მიტოზური გაყოფით.
4. რადგან ქრომოსომები უნდა გადანაწილდნენ უჯრედის გაყოფამდე ახლადწარმოქმნილ ბირთვებში.
5. რადგან მათი უჯრედები სწრაფად იყოფა.
6. საწყის უჯრედს ექნება 8 ქრომოსომა და 16 ქრომატიდი, ხოლო შვილეულ უჯრედებს – 8 ქრომოსომა და 8 ქრომატიდი.

§4.11.

1. 1) 4 ქრომოსომა და 8 ქრომატიდი; 2) 2 ქრომოსომა და 4 ქრომატიდი; 3) 2 ქრომოსომა და 2 ქრომატიდი.
2. გამეტებში არის ქრომოსომების ჰაპლოიდური რიცხვი და ორი ჰაპლოიდური გამეტის შერწყმის შედეგად ზიგოტაში აღდგება სახეობისათვის დამახასიათებელი ქრომოსომების დიპლოიდური ნაკრები.

3.

მიტომისა და მეიომის შედარებითი დახასიათება		
მიტომი	საერთო	მეიომი
<ul style="list-style-type: none"> ერთი გაყოფისგან შედგება; ერთი უჯრედისგან მიიღება ორი უჯრედი; ყოველი შვილეული უჯრედი შეიცავს დედისეული უჯრედის იდენტურ ქრომოსომულ ნაკრებს და, შესაბამისად, იდენტურ მემკვიდრეობით ინფორმაციას 	<ul style="list-style-type: none"> ინტერფაზაში (პირველი მეიოზური გაყოფისას) დნმ გაორმაგდება, რის შედეგადაც თითოეული ქრომოსომა შედგება ორი ქრომატიდისგან; აქვთ ერთი და იგივე ფაზები: პროფაზა, მეტაფაზა, ანაფაზა და ტელოფაზა; მიტომისა და მეორე მეიომის ანაფაზაში ერთმანეთს სცილდებიან ქრომატიდები. 	<ul style="list-style-type: none"> ორი თანმიმდევრული გაყოფისგან შედგება; პირველი მეიომის ანაფაზაში სცილდებიან ერთმანეთს ორქრომატიდიანი ჰომოლოგიური ქრომოსომები, ამიტომ ქრომოსომების რიცხვი განახევრდება; მეორე მეიომის ინტერფაზაში არ ორმაგდება დნმ; ერთი დიპლოიდური დედისეული უჯრედიდან მიიღება ოთხი ჰაპლოიდური უჯრედი; მიმდინარეობს მხოლოდ დიპლოიდურ უჯრედებში.

4. 23 ქრომოსომა და 23 ქრომატიდი.

თემა 4 – ის შეჯამება

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა				1	X		X				X	X			X
ბ		X		3				X	X					X	
გ	X			1,2		X				X					
დ			X	3									X		
ე				2											
ვ				3											
ზ				4											

დავალებები კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის

- განახლებას განიცდის კანის, სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი არხის კედლების, ძვლოვანი ქსოვილის უჯრედები, განუწყვეტლივ წარმოიქმნება სისხლის უჯრედები ძვლის წითელ ტვინში, გარდა ამისა, მობარდი იზრდება ახალ-ახალი უჯრედების წარმოქმნის ხარჯზე.
- დიპლოიდური წინასასქესო უჯრედი – I მეიოზური გაყოფა: ორქრომატიდიანი ქრომოსომების ჰაპლოიდური რცხვი – II მეიოზური გაყოფა: ჰაპლოიდური გამეტები – ჰაპლოიდური გამეტების შერწყმა – დიპლოიდური ზიგოტა.
- ცხიმის დაჟანგვის შედეგად უფრო მეტი წყალი გამოიყოფა, ვიდრე ცილებისა და ნახშირწყლების დაჟანგვის დროს, უდაბნოში კი წყლის ნაკლებობაა.

4. ატმოსფეროში მტვრის დაგროვების შედეგად დედამიწაზე მზის სხივების ნაკლები რაოდენობა მი-
აღწევდა, შესაბამისად, შემცირდებოდა ფოტოსინთეზის ინტენსივობა და მცენარეების რაოდენობა, ეს
გამოიწვევდა მცენარეჭამია დინოზავრების შემცირებას, თავისთავად ეს აისახებოდა მტაცებელ დი-
ნოზავრებზეც.
5. 1) გლუკოზის, 2) წყალბადის, 3) ქლოროპლასტებში – ატმოსფეროს $\text{CO}_2 + \text{H}_2\text{O} = \text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ მიტოქონ-
დრიებში – $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6 + \text{O}_2 = \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O}$

მონაცემების განსჯა (ანალიზი და დასკვნა)

1. 1) I ფერმენტისთვის 1,8 – 2, II ფერმენტისთვის 7; 2) II ფერმენტი არის ციტოპლაზმის, რადგან ვიცით,
რომ ციტოპლაზმაში pH არის ნეიტრალური ან სუსტი ტუტე, ხოლო I არის საჭმლის მომნებელი ფერ-
მენტი, კერძოდ, კუჭის წვენის ფერმენტი.
2. 1) განათების ინტენსივობის ზრდასთან ერთად ფოტოსინთეზის პროცესის სიჩქარის ზრდას; 2) როდესაც
ფოტოსინთეზის სიჩქარე აღარ იზრდება განათების ინტენსივობის ზრდასთან ერთად; 3) განათების
იმ ინტენსივობას, რომელზედაც ყველაზე მაღალია ფოტოსინთეზის სიჩქარე; 4) ფოტოსინთეზის მაქ-
სიმალურ სიჩქარეს.

ვიზუალური მასალის განსჯა

1. 1) ა – ცხოველური უჯრედი, ბ – მცენარეული; 2) 2 – უჯრედის კედელი, 8 – ქლოროპლასტი, 9 – ცენტრა-
ლური ვაკუოლი; 3) 4 – უჯრედის ცენტრი; 4) 8 – ქლოროპლასტი.
2. 1) 1 – უჯრედი, 2 – ბირთვი, 3 – ქრომოსომა, 4 – დნმ-ის მოლეკულა, 5 – გენი; 2) უჯრედის ბირთვში არის
ქრომოსომები, რომელთა შემადგენლობაში შედის დნმ, ხოლო გენი დნმ-ის მონაკვეთია, რომელიც
კონკრეტული ცილის შესახებ შეიცავს ინფორმაციას.
- 3.

უკარიოტული უჯრედი	საერთო	ბაქტერიული უჯრედი
ბირთვი მიტოქონდრიები პლასტიდები ენდოპლაზმური ბადე გოლჯის აპარატი ლიზოსომები დნმ ქრომოსომების შემადგენლობაში ბირთვში	პლაზმური მემბრანა ციტოპლაზმა დნმ რიბოსომა	აუცილებლად უჯრედის კედლის არსებობა დნმ ციტოპლაზმაში

4. 3 – 1 – 4 – 2.

ტერმინებსა და ცნებებს შორის კავშირის დადგენა

ტერმინებს შორის დამოკიდებულება

- 1.
- 1) გენი შეიცავს ინფორმაციას ცილის სტრუქტურის შესახებ, ცილა კი ნიშან-თვისებას განსაზღვრავს,
მათთან არ არის დაკავშირებული ლიპიდები
- 2) მიტოქონდრიაში იუანგება გლუკოზა და ენერგია გამოთავისუფლდება, მათთან არ არის დაკავშირე-
ბული რიბოსომა
- 3) ქლოროპლასტში სინათლის ენერგიის ხარჯზე მიმდინარეობს ფოტოსინთეზი – პლასტიკური ცვლა,
მათთან არ არის დაკავშირებული პლაზმური მემბრანა
- 4) ბირთვში ლოკალიზებულია ქრომოსომა, რომელიც გენებს შეიცავს, მათთან არ არის დაკავშირებული

პოლისაქარიდი

- 5) მეტაფაზა, ანაფაზა და ტელოფაზა არის მიტოზის ფაზები, მათთან არ არის დაკავშირებული ინტერფაზა
- 6) ქრომატიდი და ცენტრომერი არის ქრომოსომის სტრუქტურები, მათთან არ არის დაკავშირებული ციტოპლაზმა
- 7) ინტერფაზა, მიტოზი და ციტოკინეზი არის უჯრედული ციკლის ეტაპები, მათთან არ არის დაკავშირებული პროფაზა

2.

- 1) სინათლის სხივის ენერჯის ხარჯზე ქლოროპლასტში მიმდინარეობს ფოტოსინთეზი
- 2) მიტოქონდრიაში მიმდინარეობს ენერგეტიკული ცვლა, რომლის დროსაც გამოთავისუფლდება ენერჯია
- 3) ბირთვში ქრომოსომების შემადგენლობაში არის მემკვიდრეობითი ინფორმაცია
- 4) ცხიმების სინთეზი არის პლასტიკური ცვლის მაგალითი
- 5) მეიოზური გაყოფით წარმოიქმნება გამეტები


სწორია თუ მცდარი?

- 1) პლასტიკური ცვლა ეწოდება ბიოსინთეზის რეაქციების ერთობლიობას
- 2) სუნთქვა მიმდინარეობს სინათლეზე და სიბნელეშიც
- 3) სწორია
- 4) ენერგეტიკული ცვლის მაგალითია ბიოპოლიმერის მონომერებად დაშლა
- 5) უჯრედული სუნთქვის პროცესის ერთ-ერთი პროდუქტია CO_2
- 6) მიტოზური გაყოფით 10-ქრომოსომიანი უჯრედისგან წარმოიქმნება ორი 10-ქრომოსომიანი შვილეული უჯრედი
- 7) დნმ ორმაგდება ინტერფაზაში
- 8) პროფაზაში ქრომოსომები სპირალურად ეხვევა
- 9) პროფაზა მიტოზის პირველი ფაზაა
- 10) სწორია

ანალოგია

- 1) მცენარეული უჯრედის კედელი : ცელულოზა :: სოკოს უჯრედის კედელი : ქიტინი
- 2) პოლისაქარიდი : გლუკოზა :: ცილა : ამინომჟავა
- 3) პოლისაქარიდი : გლუკოზა :: ნუკლეინის მჟავა : ნუკლეოტიდი
- 4) გლუკოზა და ჟანგბადი : უჯრედული სუნთქვა :: ნახშირორჟანგი და წყალი : ფოტოსინთეზი
- 5) ხემცენარე : ფოტოავტოტროფი :: სოკო : ჰეტეროტროფი
- 6) ფოტოსინთეზი : ქლოროპლასტი :: უჯრედული სუნთქვა : მიტოქონდრია
- 7) ქრომოსომების იგივე რიცხვი : მიტოზი :: ქრომოსომების განახევრება : მეიოზი
- 8) სქესობრივი გამრავლება : მეიოზი :: უსქესო გამრავლება : მიტოზი

მონაცემების ორგანიზება სქემებში



თემა 5 – სახეობა. პოპულაცია

§5.1.

1. დომენი აერთიანებს სამეფოებს;
სამეფო აერთიანებს ტიპებს;
ტიპი აერთიანებს კლასებს;
კლასი აერთიანებს რიგებს;
რიგი აერთიანებს ოჯახებს;
ოჯახი აერთიანებს გვარებს;
გვარი აერთიანებს სახეობებს.
2. სამეფოები: ბაქტერიები, ერთუჯრედიანი ეუკარიოტები, მცენარეები, სოკოები, ცხოველები. ცხოველები მცენარეებისგან განსხვავდებიან გარემოში გადაადგილების უნარით, უჯრედის სტრუქტურებით და სხვ.
3. 1 და 3 ერთი ოჯახის წარმომადგენლები არიან, რადგან აქვთ მსგავსი აგებულების ყვავილები.
4. 1) სამი პოპულაციისგან; 2) 1 იკავებს ყველაზე დიდ ტერიტორიას, ხოლო 3 – ყველაზე მცირე ტერიტორიას; 3) პოპულაცია 1; 4) პოპულაცია 1.

§5.2.

1. სავარაუდო პასუხი: 1) კანისა და თმის ფერი, თმის, სახის ოვალის, ცხვირის, ტუჩის ფორმა; 2) ვარცხნილობა, სათვალის ტარება (ცხოვრების განმავლოვანში შექმნილი მხედველობის დარღვევის გამო), სხეულის მასა, ჩაცმულობა, მაკიაჟი, თმის ფერი (შეიძლება შეღებილი ჰქონდეს), ცხვირის ფორმა (პლასტიკური ოპერაციის შემთხვევაში) და ა.შ.
3. გამრავლებით.
4. უსქესო გამრავლება, რადგან შთამომავლობა წარმოქმნება სომატური უჯრედების მიტოზური გაყოფით, მიტოზი კი იგივე გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას უზრუნველყოფს.
5. გამეტებში არის ქრომოსომების ჰაპლოიდური რიცხვი, განაყოფიერებისას გამეტების ბირთვები ერწყმის და ზიგოტაში აღდგება სახეობისათვის დამახასიათებელი ქრომოსომების დიპლოიდური კომპლექტი, მაგრამ ქრომოსომების ერთ ნაკრებს და მასთან ერთად გენეტიკური ინფორმაციის ნახევარს იღებს მამრობითი ხაზით და ნახევარს – მდედრობითი ხაზით, შესაბამისად, ზიგოტაში წარმოიქმნება გენების ახალი კომბინაცია.
6. სქესობრივი გამრავლება და გენების ახალი კომბინაციის წარმოქმნა.
7. ყველაზე დიდი განსხვავება იქნება სხვადასხვა დომენის წარმომადგენლებს შორის, შემდეგ სამეფოების, ტიპების და ა.შ.

§5.3.

1. ქრომოსომების დიპლოიდურ ნაკრებში ყოველ ქრომოსომას აქვს ფორმითა და ზომით თავისი იდენტური ქრომოსომა და ქრომოსომების ასეთ წყვილს ჰომოლოგიური ეწოდება; ჰომოზიგოტურია გენოტიპი, თუ იგი შეიცავს გენის ერთნაირ ალელებს, ხოლო ჰეტეროზიგოტურია, თუ გენოტიპი წარმოადგენილია ერთი გენის განსხვავებული ალელებით.
2. ალელი არის გენის არსებობის ფორმა, ანუ გენი არსებობს ალტერნატიული ნიშან-თვისების განმსაზღვრელი ფორმით.
3. დომინანტურია ალელი, რომელიც ფენოტიპურად გამოიხატავს როგორც ჰომოზიგოტურ, ისე ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში, ხოლო რეცესიული ალელი – მხოლოდ ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში.

4. **AA, BB** და **CC** არის ჰომოზიგოტური, რადგან ერთი გენის ერთნაირ ალელებს შეიცავენ, ხოლო **Cc, Aa** და **Bb** ჰეტეროზიგოტური, რადგან წარმოდგენილია ერთი გენის განსხვავებული ალელებით.
5. 1) ერთი ტიპის – **A** 2) ორი ტიპის – **B** და **b**, 3) ორი ტიპის – **C** და **c**.
6. 1) გამეტები; 2) გამეტების შერწყმის შედეგად წარმოქმნილი გენოტიპები და ფენოტიპები.
7. 1) ა და დ; 2) ბ; 3) გ.

♀ \ ♂	A	A
A	AA	AA
A	AA	AA

ა

♀ \ ♂	a	a
a	aa	aa
a	aa	aa

ბ

♀ \ ♂	A	a
a	Aa	aa
a	Aa	aa

გ

♀ \ ♂	A	a
A	AA	Aa
A	AA	Aa

დ

§5.5.

- რეცესიული ფენოტიპი, მაგალითად, ქერა თმები, ცისფერი თვალები, სწორი ცხვირი და სხვ.
- P Aa, F - aa** (**A** – რეზუსდადებითი, **a** – რეზუსუარყოფითი)
- B** – მუქი თმები, **b** – ღია ფერის თმები
P ♂ bb X ♀ Bb
F 1 Bb : 1 bb – დიახ, შეიძლება 1/2 ალბათობით.
- P ♂ Aa X ♀ Aa** (**A** – ექვსთითიანობა, **a** – ნორმალური მტევანი)
ნორმალური მტევნის მქონე ბავშვის დაბადების ალბათობაა 1/4 (25%)
- P ♂ Cc X ♀ cc** (**C** – ნორმალური პიგმენტაცია, **c** – ალბინიზმი)
ამ ოჯახში კვლავ ალბინოსი ბავშვის დაბადება მოსალოდნელია 50%-ით.
- P ♀ Cc X ♂ cc** (**C** – მემარჯვენეობა, **c** – ცაციობა)
ცაცია ბავშვის დაბადების ალბათობაა 1/4 (25%)
- P ♂ Aa** და **♀ Aa** (**A** – თვალის შავი ფერი, **a** – თვალის ცისფერი შეფერილობა)
შავთვალა ბავშვების გენოტიპი იქნება **AA/Aa**, ხოლო ცისფერთვალა ბავშვების – **aa**
- 1) **P ♀ Aa** და **♂ aa, F - aa**
2) **P ♀ Aa X ♂ aa**
გამეტები **A** **a** **a**
 / \ |
F **Aa** **aa**

§5.6.

- ისარას ფოთლის ვარიაციების მიზეზი არის განათების ინტენსივობის ცვლილება. ყველაზე დაბალი ინტენსივობის განათებაზე ფოთოლს აქვს ლენტისებური ფორმა, შედარებით უკეთ განათებაზე – ოვალური, ხოლო განათების ყველაზე მაღალ ინტენსივობაზე – ისრის ბუნიკისებრი ფორმა.
- გენის ცვლილებას გენური მუტაცია ეწოდება. გენური მუტაციის მაგალითებია: ალბინიზმი, აქონ დროზოლაზია, პოლიდაქტილია და სხვ.

3. რადგან ზიგოტაში წარმოიქმნება გენების ახალი კომბინაცია.
4. არ გამოიწვევდა იმავე სიმპტომებს, რადგან ქრომოსომების ყოველი ჰომოლოგიური წყვილი სხვა წყვილისგან განსხვავებულ ნიშან-თვისების განმსაზღვრელ გენებს შეიცავს.
6. დიახ, შესაძლებელია, თუ შეაფერხებს გამრავლების პროცესს, რადგან დომინანტური მუტაცია სწრაფად გამოიხატება ფენოტიპურად და ამ მუტაციის მქონე ორგანიზმების დიდი ნაწილი შეიძლება დაიღუპოს შთამომავლობის დატოვების გარეშე.
7. არა, რადგან შესაძლებელია დომინანტური ალელი იწვევდეს მძიმე დაავადებას და, აქედან გამომდინარე, სულაც არ იყოს პოპულაციაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი.
8. იზრდება პოპულაციის შეგუების შესაძლებლობა გარემოს ცვლდ პირობებთან, ხელს უწყობს ახალი პოპულაციებისა და სახეობის წარმოქმნას.

§5.7.

1. ეკოსისტემის განვითარების კანონზომიერებებს, ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ურთიერთგავლენას.
2. ორგანიზმის, პოპულაციის, ბიოცენოზის, ეკოსისტემის, ბიომებისა და ბიოსფეროს დონეებზე.
3. ეკოსისტემა შედგება ცოცხალი/ბიოტური და არაცოცხალი/აბიოტური კომპონენტებისგან.
4. პოპულაციას ქმნის ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ერთი სახეობის ინდივიდები. ხოლო ბიოცენოზს - ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სახეობის პოპულაციების ერთობლიობა; თანასაზოგადოება არის ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ორგანიზმების ერთობლიობა, ხოლო ეკოსისტემა - გარკვეულ ტერიტორიაზე არსებული ყველა პოპულაციისა და არარაცოცხალი ფაქტორების ერთობლიობაა.
5. დაკავებული ტერიტორიის ფართობით, პოპულაციათა მრავალფეროვნებით.
6. პოპულაციას იკვლევენ დაკავებული ტერიტორიის ფართობით, პოპულაციაში ინდივიდების რიცხვით, ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობით.
7. პოპულაციას შეიძლება გადაშენება ემუქრება; ასაკოვანი ინდივიდების სიჭარბე მიუთითებს პოპულაციაში გამრავლების ინტენსივობის დაბალ დონეზე.
8. პოპულაციაში, რომელიც მხოლოდ სქესობრივად მრავლდება, უნდა დაცული იყოს სქესობრივი შემადგენლობის ბალანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შემცირდეს გამრავლების ინტენსივობა.

§5.8.

1. ბიოტური, ანთროპოგენური და აბიოტური.
2. დიახ: ჟანგბადი მონაწილეობს სუნთქვაში და იგი განსაზღვრავს ორგანიზმების გავრცელებას გარემოში; ნახშირორჟანგი არის ფოტოსინთეზის კომპონენტი და მისი ინტენსივობა დიდად არის დამოკიდებული გარემოში ნახშირორჟანგის დონეზე.
3. ყველაზე ადვილად სახეობა 3, რადგან მას ამ ფაქტორისადმი ფართო გამძლეობის, ანუ მოდიფიკაციური ცვალებადობის ფარგლები აქვს; ნაკლებად მდგრადი იქნება სახეობა 1, რადგან მას ამ ფაქტორისადმი ვიწრო გამძლეობის, ანუ მოდიფიკაციური ცვალებადობის ფარგლები აქვს.
4. 1) ფაქტორი როდესაც სცდება ოპტიმალურ საზღვრებს, ცხოველი დასუსტებული და გაქუცულია; 2) მოდიფიკაციური ცვალებადობა, რადგან ცხოველის ეს ცვლილება გენოტიპის შეცვლასთან არ არის დაკავშირებული, არამედ ფენოტიპის ცვლილება გამოწვეულია გენოტიპზე შეცვლილი გარემო ფაქტორების ზემოქმედებით; 3) მსხვერპლი/საკვები, პოპულაციის სხვა წევრებთან კონკურენცია, ტემპერატურა, ტენიანობა და ა.შ. 4) ნებისმიერი წინ ჩამოთვლილი; 5) ცხოველი დაიღუპებოდა, რადგან ეს ფაქტორი მასზე იმოქმედებდა, როგორც სიცოცხლის შემზღუდველი.

§5.9.

კლიმატური ფაქტორი	ფაქტორის ბიოლოგიური მნიშვნელობა	ორგანიზმის შეგუების მაგალითი/ მაგალითები
სინათლე	გრძელი ულტრაიისფერი ტალღები საჭიროა კანში D ვიტამინის სინთეზისთვის, ხილულ სხივებზე მიმდინარეობს ფოტოსინთეზი, ცხოველებს განუვითარდათ მხედველობის ორგანოები და გარემოში ორიენტირებენ	კონკურენცია მცენარეებში განათებისთვის, დღისა და ღამის, სეზონურ რიტმთან დაკავშირებული შეგუებულობები მცენარეებსა და ცხოველებში
ტემპერატურა	შინაგანი ტემპერატურა განსაზღვრავს უკრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ინტენსივობას.	ცივ კლიმატურ პირობებში მცხოვრები ცხოველების სხეულის დიდი ზომა და სხეულის წანაზარდების შემცირება, კანქვეშა ცხიმოვანი სქელი შრე, ზამთრის, ზაფხულის ძილი და სხვ.
ტენიანობა	წყალი დიდ როლს ასრულებს ორგანიზმში: სატრანსპორტო, ბიოქიმიურ რეაქციებში მონაწილეობა, ტემპერატურის რეგულაცია და სხვ.	უდაბნოს მცენარეებში ეკლები, ქაცვები, ხორცოვანი ღერო და ფოთოლი, გრძელი ფესვი, აქლემის კუბში ცხიმის დაგროვება, ზაფხულის ძილი, გვალვაში ცხოველების მიგრაცია და სხვ.

§5.10.

1.

ბიოტური ურთიერთობის ფორმა	თითოეული ფორმის მოკლე აღწერა	შესაბამისი მაგალითი
ნეიტრალიზმი	ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები სახვადასხვა სახეობის ინდივიდები უშუალოდ არ მოქმედებენ ერთმანეთზე	შვლისა და ზღარბის ურთიერთობა
კონკურენცია	ერთი სახეობის ან ერთნაირი მოთხოვნილების სხვადასხვა სახეობის ინდივიდებს შორის ურთიერთობა	ერთი პოპულაციის მცენარეები ერთმანეთს კონკურენციას უწევენს განათებისთვის, ცხოველებში კონკურენცია მდედრისთვის, ტერიტორიისთვის, საკვებისთვის
მტაცებლობა	ერთი სახეობის ინდივიდი მეორე სახეობის ინდივიდს ანადგურებს	მწერიჭამია მცენარე, მტაცებელი ხოჭო, ლეოპარდი და შველი
პარაზიტოზმი	ერთი სახეობა მეორის ხარჯზე ცხოვრობს - იყენებს საკვების წყაროდ და საცხოვრებელ ადგილად	პარაზიტი ბაქტერიები, მცენარე აბრეშუმა, პარაზიტი მწერები, აბედა სოკო
ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულება	ურთიერთობა ორივე სახეობის ინდივიდისთვის სასარგებლოა	მღიერში წყალმცენარისა და სოკოს თანაცხოვრება, ყვავილოვანი მცენარეები და დამტვერავი ცხოველები და სხვ.
ცალმხრივ სასარგებლო დამოკიდებულება	ერთი სახეობის ორგანიზმისთვის სასარგებლოა, მეორისთვის მნიშვნელობა არ აქვს	ორქიდეა და ხემცენარე, პოლარული მელა და თეთრი დათვი

2. რადგან მასპინძელი მისთვის საკვებიცაა და საცხოვრებელი ადგილიც, ამიტომ მასპინძლის გარეშე თვითონაც მოკვდება.

3. 1) სიმბიოზური; 2) პარაზიტომი; 3) კონკურენცია.
4. საკვებისთვის.
5. ურთიერთსასარგებლო, რადგან ფრინველები მარტივად პოულობენ ანტილოპას კანზე საკვებს, ხოლო ანტილოპას აცილებენ კანის პარაზიტებს და მათი აფრენა მას მტაცებლის მოახლოებაზე მიაჩნდება.

§5.11.

1. მზის ენერჯის ხარჯზე პროდუცენტი აწარმოებს ფოტოსინთეზს და მის ორგანულ ნივთიერებებში გროვდება ენერჯია - I რიგის კონსუმენტი მოიხმარს მცენარეების ორგანულ ნივთიერებებსა და მათში დაგროვებულ ენერჯიას - II რიგის კონსუმენტი მოიხმარს I რიგის კონსუმენტის ორგანულ ნივთიერებებსა და მასში დაგროვებულ ენერჯიას - რედუცენტები მოიხმარენ პროდუცენტების, I რიგისა და II რიგის კონსუმენტების ნარჩენებში დაგროვებულ ორგანულ ნივთიერებებსა და ენერჯიას.
2. კვებითი ჯაჭვი 4-5 კვებითი რგოლისგან შედგება და თანმიმდევრულად გვიჩვენებს, რა რას სჭამს, ხოლო კვებითი ქსელი უამრავი ურთიერთგადაკვეთი კვებითი ჯაჭვისგან შედგება.
3. 1) მგელი, მელა, შევარდენი, ბუ, არწივი - მღრღნელები; მელა, მგელი, არწივი - კურდღელი; 2) მელა; 3) მელა, მგელი, შევარდენი, ბუ; 4) არწივი; 5) შემცირდება მტაცებლების რაოდენობა და გაიზრდება პროდუცენტების რაოდენობა; 6) II და III რიგის კონსუმენტებზე; 7) ბალახი - თავი - მელა - არწივი.
4. გაიზრდება I რიგის კონსუმენტების რაოდენობა (მტაცებლები და მსხვერპლი ერთმანეთის რაოდენობას არეგულირებენ), რაც კატასტროფულად შეამცირებს პროდუცენტებს და მომავალში საფრთხეს შეუქმნის მთლიანად ეკოსისტემას.
5. ერთმანეთის რაოდენობას არეგულირებენ ეკოსისტემაში: მსხვერპლისა და მასპინძლის შემცირება ერთ წელს იწვევს, შესაბამისად, მტაცებლისა და პარაზიტის პოპულაციების შემცირებას, რასაც შემდეგ მოჰყვება მსხვერპლისა და მასპინძლის პოპულაციების ზრდა ა.შ.

§5.12.

1. 1) სმოგი ილექება მცენარეების ფოთლებზეც, მუავე წვიმაც პირველ რიგში აზიანებს ფოთლებს, რომლებიც ძირითადი მაფოტოსინთეზირებელი ორგანოა და, შესაბამისად, დაითრგუნება ფოტოსინთეზის პროცესი, რაც შეამცირებს მცენარეულობას; 2) ეკოსისტემაში პროდუცენტების შემცირება იმოქმედებს I რიგის კონსუმენტებზე, ხოლო I რიგის კონსუმენტების შემცირება - II და III რიგის კონსუმენტებზე.
2. აზოტოვანი სასუქების სიჭარბე აზიანებს მცენარეებსაც. აზოტოვანი სასუქი - ნიადაგი - მცენარე - ადამიანი, ან აზოტოვანი სასუქი - ნიადაგი - მცენარე - მცენარეჭამია ცხოველი - ადამიანი.
3. გზის პირას მანქანების გამონაბოლქვი დიდი რაოდენობით გროვდება, გამონაბოლქვი შეიცავს, სხვა მავნე ნივთიერებებთან ერთად, ტყვიას, რომელიც ილექება გზისპირა მცენარეებსა და სოკოებზე.

§5.14.

1. ადამიანის მიერ წარმოებული გადარჩევა - ხელოვნური გადარჩევა - მემკვიდრეობითი ცვალებადობის საფუძველზე.
2. ბუნებრივი გადარჩევა, რომელიც მიმდინარეობს არსებობისათვის ბრძოლისა და მემკვიდრეობითი ცვალებადობის საფუძველზე.
3. პოპულაცია, რადგან პოპულაციაში გამუდმებით მიმდინარეობს მუტაციები, რომლებიც თავისუფალი შეჯვარების გამო ვრცელდება პოპულაციაში და პოპულაცია გენეტიკურად არაერთგვაროვანი ხდება, რაც ზრდის მასალას ბუნებრივი გადარჩევისთვის.
4. არსებობისათვის ბრძოლის პროცესში გადაწყვეტი არის ის, რომ უპირატესად გადარჩებიან სასარგებლო მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდები, ანუ გარემოსთან უკეთესად შეგუებული ფორმები.

5.

ხელოვნური გადარჩევა	ბუნებრივი გადარჩევა
აწარმოებს ადამიანი მემკვიდრეობითი ცვალებადობის საფუძველზე	აწარმოებს ბუნება მემკვიდრეობითი ცვალებადობის საფუძველზე
წარმოიქმნება ახალი ჯიში	წარმოიქმნება ახალი სახეობა
გადარჩევა ადამიანისთვის სასარგებლო და საინტერესო ნიშან-თვისებები	გადარჩევა ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები
მოქმედებს ადამიანისათვის სასარგებლოდ	მოქმედებს პოპულაციისა და სახეობისთვის სასარგებლოდ
წარმოიქმნება ადამიანის ინტერესების შესაბამისი ახალი ჯიშები	წარმოიქმნება შეცვლილ გარემო პირობებთან შეგუებული ახალი სახეობები

§5.15.

1. 1) მწერი იკვებება ყვავილის ნექტრით, ხოლო მცენარე მისი საშუალებით ჯვარედინად იმტვერება; მცენარეებს განუვითარდა ყვავილებში სანექტრები, ყვავილის კაშკაშა შეფერილობა და სურნელოვანი სუნი, ხოლო მწერებს – ყნოსვისა და მხედველობის ორგანოები, მწუწნავი პირის აპარატი; 2) ფრინველი მარტივად პოულობს საკვებს ნიანგის კბილებს შორის ხორცის ნარჩენების სახით, ხოლო ნიანგი თავისუფლდება საკვების ნარჩენებისგან, დაცულია ლპობის ბაქტერიების გამრავლებისა და კბილების დაზიანებისგან.


2.

არსებობისათვის ბრძოლის ფორმა	მაგალითის ნომერი
შიდასახეობრივი	7, 15
სახეობათშორისი	3, 5, 6, 8, 12, 13, 14, 16
არაცოცხალი გარემოს არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლა	1, 2, 4, 9, 10, 11

ეკოლოგიური ურთიერთობის ფორმა	მაგალითის ნომერი
ორგანიზმებსა და აბიოტურ ფაქტორებს შორის	1, 2, 4, 9, 10, 11
კონკურენცია	7, 8, 15
მტაცებლობა	6
პარაზიტიზმი	3, 12
ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულება	5, 14
ცალმხრივ სასარგებლო დამოკიდებულება	13, 16

§5.16.

1.



2. პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნება, გამრავლების პროგრესია და ბრძოლა არსებობისთვის.
3. რაც მრავალფეროვნაია გენეტიკურად პოპულაცია, მით იზრდება მასალა ბუნებრივი გადარჩევისთვის და იზრდება გარემოსთან უკეთ შეგუებული ინდივიდების გადარჩენის შესაძლებლობა.

თემა 5-ის შეჯამება

დავალებები თვითშეფასებისთვის

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა	X				X										
ბ			X			X				X				X	
გ		X					X		X						X
დ				X				X			X	X	X		

	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
ა		X	1				X	X		X		X			X	X
ბ			1			X			X				X	X		
გ	X		1	X												
დ	X		2		X						X					
ე			2													

დავალეები კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისთვის

1. არა, რადგან რომ განზოგადდეს მიღებული შედეგი და ჩაითვალოს რაღაც კანონზომიერების აღმოჩენად, საჭიროა, ერთი და იგივე შედეგი მიღებული იქნეს მსგავსი ექსპერიმენტების სერიალის ჩატარების შედეგად.
2. არა, რადგან დათიშვის ასეთი თანაფარდობის მიღება იმ შემთხვევაში შესაძლებელი, თუ გამეტების ყველა ვარიანტი თანაბარი რაოდენობით წარმოიქმნება და ყველა გამეტას შეხვედრის თანაბარი შესაძლებლობა აქვს. მცირე რიცხვის შემთხვევაში ეს შეუძლებელია.
3. მენდელმა დაკვირვების შედეგად შეამჩნია, რომ ჰომოზიგოტური მშობლების პირველ თაობაში ერთ-ერთი ფენოტიპის ჰიბრიდები მიიღება, მაგალითად, ფენოტიპურად არ გამოვლინდა თესლის მწვანე შეფერილობა, თუმცა მეორე თაობაში კვლავ გაჩნდა ჰიბრიდებს შორის მწვანე თესლიანი მცენარეები. მენდელმა გაიაზრა, რომ ეს ნიშან-თვისება იყო პირველ თაობაშიც, მაგრამ არ შეეძლო ფენოტიპური გამომჟღავნება.
4. რადგან ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში დომინანტური ალელი დათრგუნავს რეცესიულ ალელს და ამიტომ რეცესიული ალელი ჰეტეროზიგოტურ ორგანიზმში ფენოტიპურად არასოდეს არ გამოჟღავნდება.
5. უფრო გავრცელებული იქნება რეცესიული ალელები.
6. **CC**, რადგან რეცესიული ალელი ფენოტიპურად მხოლოდ ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში გამოჟღავნდება.
7. ბ. დებს 3 კვერცხს და ზრდასრულ ფორმას 3 აღწევს.

მონაცემების განსჯა (ანალიზი და დასკვნა)

- 1) **A** მცენარეს აქვს **Pp** გენოტიპი, რადგან ჰიბრიდებს შორის თეთრყვავილიანი მცენარეებიც იყო. 2) ყველა მცენარე იქნება ვარდისფერყვავილიანი შესაძლო გენოტიპებით: **Pp** და **PP**. 3) $\frac{3}{4}$ დომინანტური ფენოტიპის და $\frac{1}{4}$ რეცესიული ფენოტიპის ინდივიდები. 4) რადგან **A** მცენარე არის ჰეტეროზიგოტური, ამიტომ მის შთამომავლობაში მოსალოდნელია თეთრყვავილიანი ჰიბრიდების მიღებაც; ამიტომ ვარდისფერყვავილიანი მცენარეების თესლებზე მომხმარებლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ყველაზე კარგი ვარიანტია **PP** გენოტიპის მცენარეები, რადგან მათ შთამომავლობაში არ წარმოიქმნება თეთრყვავილიანი მცენარეები.
- 2) 1) რადგან სხეულის მასა ფენოტიპურად სხვადასხვა ვარიანტით გამოჟღავნდება, ეს ნიშანი ყალიბდება გენოტიპისა და გარემო ფაქტორების (მაგალითად საკვების) ურთიერთქმედებით, ხოლო სისხლის ჯგუფების ფენოტიპურ გამოვლენაზე გავლენას ახდენს მხოლოდ გენოტიპი, რადგან თითოეული ჯგუფი სხვადასხვა ვარიანტით არ გამოჟღავნდება.
- 3) 1) -3°C -დან $+3^{\circ}\text{C}$ -მდე; 2) ორივე შემთხვევაში ინდივიდების რიცხვი ძალიან მცირდება; 3) შესაბამისად, გამძლეობის ქვედა და ზედა ზღვარს; 4) მოდიფიკაციურ ცვალებადობას. მოდიფიკაციური ცვალებადობის ფარგლებს, პოპულაცია ეგუება გარემოს ცვლად პირობებს.

ვიზუალური მასალის განსჯა

- 1) 1) დომინანტური ნიშანია ყვავილის იისფერი შეფერილობა, ხოლო რეცესიული – თეთრი შეფერილობა; 2) **P Aa X aa, F₁ – Aa**; 3) **F₂**-ში გენოტიპური დათიშვა – **1AA : 2Aa : 1aa**, ფენოტიპური დათიშვა – $\frac{3}{4}$ იისფერი და $\frac{1}{4}$ თეთრი, ანუ 75% : 25%.
- 2) 1) **P Aa X Aa**; 2) **1AA : 2Aa : 1aa**.
- 3) 1) **P Aa X aa**; 2) **Aa**; 3) **1AA : 2Aa : 1aa**
4. მოდიფიკაციურ ცვალებადობას, რადგან მცენარის ფენოტიპი (ყვავილის შეფერილობა) იცვლება გარემოს ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილების შესაბამისად.

5. მუტაციას, კერძოდ გაჩნდა მწერის მწვანე შეფერილობის განმსაზღვრელი ალელი. მუტაცია ზრდის პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას და იზრდება პოპულაციის შეგუების შესაძლებლობა შეცვლილ გარემო პირობებთან.
6. გამაფრთხილებელ შეფერილობას, რაც ორგანიზმს აძლევს სახეობათშორისი ბრძოლის პროცესში უპირატესობას.
7. 3 – 1 – 5 – 2 ; I რიგის კონსუმენტი არის კალია, II რიგის კონსუმენტი – ბაყაყი, III რიგის კონსუმენტი – გველი, რედუცენტი – სოკოები.

საკვანძო სამეცნიერო ტერმინების გამოყენება

1. არსებობს ცვალებადობის ორი ფორმა: **მემკვიდრეობითი და მოდიფიკაციური ცვალებადობა**. გენების ერთობლიობას, რომელსაც შეიცავს ორგანიზმი, ეწოდება **გენოტიპი**, ხოლო ყველა ნიშან-თვისების ერთობლიობას ფენოტიპი ეწოდება. ფენოტიპი ყალიბდება **გენოტიპისა და გარემო ფაქტორების** ურთიერთქმედებით.
2. ქრომოსომები გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია, რადგან მათში ლოკალიზებულია გენები, მაგალითად, თვალის შეფერილობის გენი, ყურის ბიბილოს ფორმის გენი და თმის ფორმის განმსაზღვრელი გენი. დიპლოიდური ორგანიზმის ბირთვში ყოველ ქრომოსომას აქვს პარტნიორი ქრომოსომა, რომელიც იმავე გენებს შეიცავს. ქრომოსომების ასეთ წყვილს **ჰომოლოგიური** ეწოდება. წყვილის ყოველი ქრომოსომა შეიცავს ერთი და იმავე გენის ალტერნატიულ ფორმას. ამ ალტერნატიულ ფორმებს **ალელებს** უწოდებენ. მაგალითად, თვალის ფერის განმსაზღვრელი გენის ერთი ფორმა განსაზღვრავს თვალის ცისფერ, ხოლო მეორე – ყავისფერ შეფერილობას. თუ გენის ორივე ფორმა არსებობს კონკრეტული ორგანიზმის უჯრედების ბირთვში, მაშინ ორგანიზმი **ჰეტეროზიგოტურია** ამ ნიშან-თვისების მიხედვით. მეორე მხრივ, თუ გენის არსებობის ორივე ფორმა ერთნაირია, მაშინ ორგანიზმი **ჰომოზიგოტურია** ამ ნიშნის მიხედვით.

დანართი 1

სამიზნე ცნებებია	ქვეცნებები	საკითხების მაგალითები
სტრუქტურა და ფუნქცია	ორგანული და არაორგანული ნივთიერებები	1. უჯრედის ქიმიური შედგენილობა ფსქოლექტური ნივთიერებები მემკვიდრეობითობის მოლეკულური საფუძვლები – ნუკლეინის მჟავები
	უჯრედის აგებულებისა და ფუნქციების თავისებურებანი	1. ეუკარიოტული უჯრედის აგებულების თავისებურებები 2. ნერვული უჯრედის აგებულებისა და ფუნქციის თავისებურებანი 3. რეფლექსური რკალის კომპონენტები
	ქსოვილის აგებულება და მნიშვნელობა	ნერვული ქსოვილის თავისებურებები
	ორგანოს აგებულება და მნიშვნელობა	1. ზურგის ტვინის აგებულება და ფუნქციები 2. თავის ტვინის აგებულება და ფუნქციები 3. ენდოკრინული ჯირკვლების აგებულება და ფუნქციები
	ორგანოთა სისტემის აგებულება და მნიშვნელობა	1. ნერვული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა 2. ენდოკრინული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა 3. რეპროდუქციული სისტემის აგებულება და მნიშვნელობა;
	ეკოსისტემის კომპონენტები და მათი მნიშვნელობა	1. აბიოტური კომპონენტები და მათი მნიშვნელობა 2. ბიოტური კომპონენტები და მათი მნიშვნელობა 3. ანთროპოგენური ფაქტორი

სასიცოცხლო თვისებები	მეტაბოლიზმი (სუნთქვა, კვება, გამოყოფა)	<ol style="list-style-type: none"> 1. ენერგეტიკული ცვლა 2. პლასტიკური ცვლა 3. ფოტოსინთეზი
	ნივთიერებათა ტრანსპორტი	ნივთიერებათა მოძრაობა კვებით ჯაჭვში
	გამრავლება	<ol style="list-style-type: none"> 1. უსქესო გამრავლება 2. სქესობრივი გამრავლება 3. მიტოზი 4. მეიოზი
	მემკვიდრეობითობა	ნიშნ-თვისებათა დამემკვიდრების თავისებურებანი
	ცვალებადობა	<ol style="list-style-type: none"> 1. მოდიფიკაციური ცვალებადობა 2. მემკვიდრული ცვალებადობა. მუტაციები 3. მემკვიდრეობითი ცვალებადობის მნიშვნელობა ევოლუციისთვის
	გაღიზიანებადობა	<ol style="list-style-type: none"> 1. რეფლექსი 2. პირობითი და უპირობო რეფლექსები
	ჰომეოსტაზი	მარეგულირებელი სისტემის როლი ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში
	ადაპტაცია	<ol style="list-style-type: none"> 1. ადაპტაციების წარმოქმნა და მათი მნიშვნელობა 2. ადაპტაცია - ბუნებრივი გადარჩევის შედეგი

<p>ჯანმრთელობა და დაავადება</p>	<p>ჰიპოდინამია (ფიზ. აქტივობის შემცირება) ჯანსაღი კვება იმუნიტეტის დაქვეითება ჰომეოსტაზის დარღვევა მავნე ჩვივები ჰიგიენა პრევენცია</p>	<p>ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა ორსული ქალისთვის ჯანსაღი კვების მნიშვნელობა ორსული ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობისთვის 1. მავნე ნივთიერებების გავლენა მეტაბოლიზმზე 2. ნერვული სისტემის დაავადებები 3. ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევით გამოწვეული დაავადებები 4. სქესობრივი გზით გადადებები 1. ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედება ადამიანის ნერვულ სისტემაზე 2. მავნე ჩვივების გავლენა ორსული ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე 1. რეპროდუქციული სისტემის ჰიგიენა და მისი მნიშვნელობა 2. დაავადებათა პრევენციის გზები</p>
<p>კვლევა</p>	<p>ექსპერიმენტი; ცდა; საველე პრაქტიკა; დაკვირვება; მოდელირება; საკვლევი კითხვა; ჰიპოთეზა; საკვლევი ობიექტის/ცვლადების განსაზღვრა; კვლევის დაგეგმვა/კვლევის ინსტრუქცია; პროცედურები; მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, შედეგების ანალიზი; დასკვნა; კვლევის ანგარიში; უსაფრთხოება; ეთიკა; შეცნირება და ტექნოლოგიები</p>	<p>კვლევასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ნებისმიერი თემიდან</p>

ბიომრავალფეროვნება	კლასიფიკაცია, სისტემატიკური ჯგუფი, სახეობათა მრავალფეროვნება	ორგანიზმთა კლასიფიკაცია
პოპულაცია	სახეობათა მრავალფეროვნება	სახეობათა მრავალფეროვნების მნიშვნელობა ეკოსისტემის მდგრადობისთვის 1. პოპულაციისა და სახეობის განმასხვავებელი ნიშნები 2. პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნება და მისი მიზეზები 3. პოპულაცია, როგორც ევოლუციის ერთეული
ხელოვნური გადარჩევა, ჯიშის სელექცია	ხელოვნური გადარჩევა, ჯიშის სელექცია	კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშთა მრავალფეროვნების მიზეზები
ბუნებრივი გადარჩევა, ბრძოლა არსებობისათვის სახეობის მდგრადობა	ბუნებრივი გადარჩევა, ბრძოლა არსებობისათვის სახეობის მდგრადობა	1. ევოლუციის მამოძრავებელი ძალები 2. არსებობისათვის ბრძოლის ფორმები 3. ბუნებრივი გადარჩევის შედეგები - სახეობათა მრავალფეროვნება და ადაპტაცია
მგრადი განვითარება	მგრადი განვითარება	გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის

დანართი 2

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების მაგალითები
<p>სტრუქტურა და ფუნქცია – მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბიოლოგიური სისტემა ორგანიზაციის ყოველ დონეზე შედგება სხვადასხვა სტრუქტურისგან; 2. ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა შეესაბამება მის ფუნქციას და ქმნის ბიოლოგიური სისტემის ერთ მთლიანობას; 3. გარემო პირობები გავლენას ახდენს ბიოლოგიური სისტემის აგებულებაზე და ფუნქციებზე; 	<p>კომპლექსურ დავალებაში/ დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რაში მდგომარეობს ამა თუ იმ ბიოლოგიური სისტემის აგებულების თავისებურება? 2. როგორ შეესაბამება ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა მის ფუნქციებს და როგორ განაპირობებს თითოეული ნაწილის სპეციფიკური ფუნქცია ბიოლოგიური სისტემის მთლიანობას? 3. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გარემო პირობების ცვლილებამ ბიოლოგიურ სისტემაზე? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/ დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორია ენდოკრინული ჯირკვლების აგებულების თავისებურება? 2. როგორ შეესაბამება ენდოკრინული სისტემის სტრუქტურა მათ ფუნქციებს და როგორ განაპირობებს ენდოკრინული სისტემის ფუნქციონირება ორგანიზმის მთლიანობას? 3. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გარემო პირობების ცვლილებამ მარეგულირებელი სისტემის ფუნქციონირებაზე?

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების მაგალითები
<p>სასიცოცხლო თვისება – მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გალიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ჰომეოსტაზი, ადაპტაცია; 2. სასიცოცხლო თვისებები დაკავშირებულია ერთმანეთთან; 3. სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება; 4. სასიცოცხლო თვისებები ადაპტირებულია გარემო პირობებთან; 	<p>კომპლექსურ დავალებაში/ დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორ ვლინდება სხვადასხვა სასიცოცხლო თვისება და რა მნიშვნელობა აქვს მას? 2. როგორ არის დაკავშირებული სხვადასხვა სასიცოცხლო თვისება ერთმანეთთან? 3. რა მსგავსება და განსხვავებაა სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის? 4. როგორ არის ადაპტირებული სასიცოცხლო თვისებები გარემო პირობებთან? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/ დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორ ვლინდება და რა მნიშვნელობა აქვს ფოტო-სინთეზსა და სუნთქვას, როგორც სასიცოცხლო თვისებებს, მცენარის ორგანიზმისთვის? 2. როგორ არის ორი სხვა-დასხვა სასიცოცხლო თვისება – ფოტოავტოტროფული კვება და სუნთქვა – დაკავშირებული ერთმანეთთან? 3. რა განსხვავებაა მცენარეებისა და ცხოველების პლასტიკურ ცვლას შორის? 4. როგორ არის ადაპტირებული გარემო პირობებთან მცენარეების მაფოტოსინთეზირებელი მთავარი ორგანო – ფოთოლი?

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების მაგალითები
<p>ბიომრავალფეროვნება მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ორგანიზმები დაჯგუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით და ქმნიან სისტემატიკურ ჯგუფებს; 2. შეგუებულობები გარემო პირობებთან ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას/სახეობის მდგრადობას; 3. სახეობათა მრავალფეროვნება წარმოიქმნება მემკვიდრეობითობის, ცვალებადობისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად; 4. ბიომრავალფეროვნება ხელს უწყობს ეკოსისტემების მდგრადობას. 5. გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორ ხდება ორგანიზმების დაჯგუფება? 2. როგორ უწყობს ხელს შეგუებულობები ორგანიზმის გადარჩენას/სახეობის მდგრადობას? 3. როგორ წარმოიქმნება ბუნებაში სახეობათა მრავალფეროვნება? 4. რატომ არის ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ეკოსისტემები მდგრადი? 5. როგორია გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. როგორ ხდება მცენარეების დაჯგუფება? 2. როგორ უწყობს ხელს მცენარეთა შეგუებულობანი მათ გადარჩენას/სახეობის მდგრადობას? 3. როგორ წარმოიქმნება მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნება? 4. რატომ არის მნიშვნელოვანი მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნება ეკოსისტემის მდგრადობისთვის? 5. როგორია გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით?

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების ნიმუშები
<p>ჯანმრთელობა და დაავადება მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას. 2. სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და პრევენციის გზები; 3. იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი დაიცვას მისი ჯანმრთელობა; 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რატომ არის მნიშვნელოვანი ჰომეოსტაზის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის? 2. როგორია დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები და როგორ შეგვიძლია ავირიდოთ დაავადება? 3. როგორ იცავს იმუნიტეტი ადამიანის ორგანიზმს დაავადებებისაგან? 	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რატომ არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, სისხლის შემადგენლობის მუდმივობის შენარჩუნება ჯანმრთელობისათვის? 2. როგორია ბაზედოვის დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები და როგორ ავირიდოთ ეს დაავადება თავიდან? 3. რატომ არ ავადდება გრიპით ყველა ადამიანი?

<p>4. ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებასა და ჰომეოსტაზის დარღვევას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების განვითარებას;</p> <p>5. გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.</p>	<p>4. რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესს ადამიანის ჯანმრთელობისათვის?</p> <p>5. რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობისათვის?</p>	<p>4. როგორ შეიძლება იმოქმედოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევამ, მაგ., ნარკოტიკების მოხმარებამ ადამიანის იმუნიტეტსა და ჰომეოსტაზზე?</p> <p>5. რატომ არის მნიშვნელოვანი, მაგ. სასმელი წყლის სისუფთავის შენარჩუნება ადამიანის ჯანმრთელობისთვის?</p>
---	--	--

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კონკრეტული კომპლექსური დავალების მოდიფიცირებული კრიტერიუმების მაგალითები
<p>კვლევა –</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <p>1. კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპერიმენტის / ცდის, სავლე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით;</p> <p>2. კვლევა არის მრავალეტაპიანი აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესწავლის საშუალებას; კვლევის ძირითადი ეტაპებია: საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა;</p> <p>3. ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელებს ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები</p> <p>4. მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის ჩატარების დროს;</p> <p>5. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს; მათი შესწავლა და კვლევითი უნარების გამომუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიების არჩევისა და დაუფლებისთვის</p>	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას საზგასმით წარმოაჩინე:</p> <p>1. რა მნიშვნელობა აქვს გამოყენებულ კვლევით მიდგომას ბიოლოგიური სისტემის / პროცესის შესწავლაში?</p> <p>2. რა აქტივობები განახორციელეთ კვლევის თითოეულ ეტაპზე?</p> <p>3. რა ტიპის შეზღუდვები ახასიათებს შენ მიერ შექმნილ ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელს?</p> <p>4. უსაფრთხოებისა და ეთიკის რომელი ნორმები დაიცავი და რატომ?</p> <p>5. როგორი ურთიერთ – დამოკიდებულებაა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასა და კვლევებს შორის. რა მნიშვნელობა აქვს კვლევის გზით შექმნილ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ ცხოვრებასა და პროფესიების არჩევაში?</p>	<p>კომპლექსურ დავალებაში/დავალების პრეზენტაციისას საზგასმით წარმოაჩინე:</p> <p>1. რა მნიშვნელობა აქვს გამოყენებულ კვლევით მიდგომას სასიცოცხლო თვისებების შესწავლაში?</p> <p>2. ფერმენტ კატალაზაზე ჩატარებული კვლევის ეტაპების შესახებ დეტალური მსჯელობა.</p> <p>3. რა ტიპის შეზღუდვები ახასიათებს შენ მიერ შექმნილ მინიატიურული ეკოსისტემის მოდელს?</p> <p>4. უსაფრთხოების რომელი ნორმების დაცვა დაგჭირდა კვლევის ჩატარების დროს?</p> <p>5. 1) როგორ უკავშირებ სოფლის მეურნეობას შენ მიერ ჩატარებულ კვლევას ფოტოსინთეზისათვის საჭირო პირობების შესახებ და როგორ გამოიყენებ ცხოვრებაში?</p> <p>2) მემკვიდრეობითობის მატერიალური საფუძვლის აღმოჩენამ რა გავლენა მოახდინა ბიოლოგიის სხვა დარგების, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე?</p>

დანართი 3

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>სტრუქტურა და ფუნქცია -</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიური სისტემა ორგანიზაციის ყოველ დონეზე შედგება სხვადასხვა სტრუქტურისგან; • ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურა შეესაბამება მის ფუნქციას და ქმნის ბიოლოგიური სისტემის ერთ მთლიანობას; • გარემო პირობები გავლენას ახდენს ბიოლოგიური სისტემის აგებულებასა და ფუნქციებზე; • სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურებს შორის შეიძლება იყოს მსგავსებაც და განსხვავებაც. 	<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p>	<p>მოსწავლე ვერ ასახელებს ბიოლოგიური სისტემის ორგანიზაციის დონის შესაბამის სტრუქტურებსა და ფუნქციებს.</p>
	<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს და ამოიცნობს სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურულ ელემენტებსა და ფუნქციებს, უჭირს ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენა ფუნქციასთან, ვერ განსაზღვრავს გარემო პირობების როლს ბიოლოგიური სისტემის აგებულებასა და ფუნქციებზე.</p>
	<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოსწავლე აღწერს სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს და მათ ფუნქციებს. განსაზღვრავს ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურის შესაბამისობას ფუნქციასთან. მხოლოდ ინსტრუქციის გამოყენებით აგებს ამა თუ იმ ბიოლოგიურ სისტემას. ვერ ადგენს გარემო პირობების გავლენას აგებულებასა და ფუნქციებზე.</p>
	<p>სოლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. მას შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მოსწავლე ადგენს სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურებს შორის მსგავსება-განსხვავებას, უკავშირებს მათ ფუნქციებს ერთმანეთს, შესაბამისად განიხილავს ორგანიზმს როგორც ერთ მთლიანობას და ასაბუთებს თავის მოსაზრებას. მოსწავლე ადგენს სტრუქტურასა და ფუნქციებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირს, აანალიზებს როგორ იმოქმედებს ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურის ცვლილება მის შესასრულებელ ფუნქციაზე. არგუმენტირებულად მსჯელობს სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემის მსგავსება-განსხვავებაზე. თუმცა ვერ გამოთქვამს ვარაუდს როგორ იმოქმედებს შეცვლილი გარემო პირობები მათ სტრუქტურასა და ფუნქციაზე.</p>
	<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება,</p>	<p>მოსწავლე გამოთქვამს ჰიპოთეზას მისთვის უცნობი ცოცხალი სისტემის აგებულების, სტრუქტურული ელემენტების ფუნქციებისა და გარემო პირობებთან შესაძლო შეგუებულობების შესახებ; აცალიებს კანონზომიერებებს, ზოგადად,</p>

	სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.	ბიოლოგიური სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციებთან დაკავშირებით. მოჰყავს ცხოვრებისეული მაგალითები.
--	--	--

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსტის დონე	ტექსტის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>სასიცოცხლო თვისება (შედეგები: 1, 2, 5, 6)</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, მეტაბოლიზმი (კვება, სუნთქვა, გამოყოფა), გალიზიანებადობა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ჰომეოსტაზი, ადაპტაცია; სასიცოცხლო თვისებები დაკავშირებულია ერთმანეთთან; სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც; სასიცოცხლო თვისებები ადაპტირებულია გარემო პირობებთან; 	<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლე საერთოდ ვერ იცებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p>	<p>მოსწავლე ვერ განსაზღვრავს განსხვავებას ცოცხალსა და არაცოცხალს შორის, ვერ ასახელებს სასიცოცხლო თვისებებს, შესაბამისად, ვერ ასრულებს დავალებას.</p>
	<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს ძირითად სასიცოცხლო თვისებებს და აღწერს, ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობას ორგანიზმისათვის. ზედაპირულად საუბრობს მათ ურთიერთკავშირსა და მსგავსება- განსხვავებაზე.</p>
	<p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე</p> <p>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოსწავლე აღწერს ორგანიზმების ძირითად სასიცოცხლო თვისებებსა და მათ მნიშვნელობას ორგანიზმისათვის, მაგრამ ვერ ამყარებს კავშირებს სასიცოცხლო თვისებებს შორის. საუბრობს სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებების მსგავსება- განსხვავებაზე, თუმცა ვერ მსჯელობს, რაში გამოიხატება სასიცოცხლო თვისებების ადაპტაცია გარემო პირობებთან.</p>
	<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მოსწავლე ასახულებს ძირითადი სასიცოცხლო თვისებების მნიშვნელობას ორგანიზმის, როგორც ერთიანი მთლიანისათვის და ადგენს მათ ურთიერთ დამოკიდებულებას. მოსწავლე ახდენს სასიცოცხლო თვისების კლასიფიცირებას, მაგალითად: კვებას, სუნთქვას და გამოყოფას მიაკუთვნებს ერთ სასიცოცხლო თვისებას - მეტაბოლიზმს და ასახულებს თავის მოსაზრებას. არგუმენტირებულად მსჯელობს სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე, ამყარებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს სასიცოცხლო თვისებებსა და გარემო პირობებს შორის. თუმცა, ვერ გამოთქვამს</p>

		ვარაუდს, თუ როგორ შეიცვლება ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებები შეცვლილ გარემო პირობებში.
	<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე</p> <p>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>	<p>გამოთქვამს ჰიპოთეზას მისთვის უცნობი ცოცხალი სისტემის სასიცოცხლო თვისებებთან დაკავშირებით და გარკვეულ თეორიას აყალიბებს, მაგალითად, როგორ შეიძლება შეიცვალოს ორგანიზმთა სასიცოცხლო თვისებები სხვადასხვა გარემოში.</p>

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>ბიომრავალფეროვნება</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზმები დაჯგუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით და ქმნიან სისტემატიკურ ჯგუფებს; • შეგუებულობები გარემო პირობებთან ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას/სახეობის მდგრადობას; • სახეობათა მრავალფეროვნება წარმოიქმნება მემკვიდრეობითობის, ცვალებადობისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად; • ბიომრავალფეროვნება ხელს უწყობს ეკოსისტემების მდგრადობას. • გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. 	<p>სოლო 1:</p> <p>ბრესტრუქტურული დონე. მოსწავლე საერთოდ ვერ იცებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p>	<p>მოსწავლე ვერ აცნობიერებს ბიომრავალფეროვნების რაობას, ვერ იყენებს ცნების შესაბამის ტერმინოლოგიას ან იყენებს არარელევანტურად</p>
	<p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე. მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს სისტემატიკურ ჯგუფებს, შეგუებულობების ფორმებს, ჩამოთვლის გარემოს დაცვით ღონისძიებების ტიპებს. ვერ ხსნის შეგუებულობების მნიშვნელობას სახეობის მდგრადობისთვის, მათი წარმოქმნის გზებს. ვერ ასახულებს გარემოს დაცვითი ღონისძიებების ჩატარების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. ვერ უკავშირებს ბიომრავალფეროვნების წარმოქმნას ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებებს.</p>
	<p>სოლო 3:</p> <p>მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოსწავლე ასახელებს სისტემატიკურ ჯგუფებს, შეგუებულობების ფორმებს, ჩამოთვლის გარემოს დაცვით ღონისძიებების ტიპებს. ახასიათებს სახეობის წარმოქმნის გზებს. მსჯელობს შეგუებულობების მნიშვნელობაზე, მაგრამ ვერ ხსნის მის მნიშვნელობას სახეობის მდგრადობისთვის. ვერ ასახულებს გარემოს დაცვითი ღონისძიებების ჩატარების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. ვერ უკავშირებს ბიომრავალფეროვნების წარმოქმნას ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებებს.</p>
	<p>სოლო 4: მიმართებითი დონე</p> <p>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია</p>	<p>მოსწავლე ადარებს სისტემატიკურ ჯგუფებს, ახასიათებს სახეობის წარმოქმნის გზებს. ასახულებს მემკვიდრეობითობის, ცვალებადობის და ბუნებრივი გადარჩევის</p>

	<p>რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მნიშვნელობას სახეობათა მრავალფეროვნებისთვის, შეგუებულობების მნიშვნელობას სახეობის მდგრადობისთვის. ხსნის გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. უკავშირებს ბიომრავალფეროვნების წარმოქმნას ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებებს.</p>
	<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>	<p>ასაბუთებს გარემოს დაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისთვის. მოჰყავს ცხოვრებისეული მაგალითები. გამოთქვამს ვარაუდს, საგანმანათლებლო პროგრამების პოზიტიურ როლზე ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებაში.</p>

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>ჯანმრთელობა და დაავადება მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯანმრთელობა არის ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ჰომეოსტაზი და შრომისუნარიანობა, მათი დარღვევა კი განაპირობებს ავადობას. • სხვადასხვა დაავადებას აქვს განსხვავებული გამომწვევი მიზეზები, სიმპტომები და პრევენცია • იმუნიტეტი არის ორგანიზმის უნარი დაიცვას თავისი ჯანმრთელობა; • ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და ხელს უწყობს 	<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე მოსწავლე საერთოდ ვერ იცებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p> <p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p> <p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოსწავლე ვერ იცენებს ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ცოდნას ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით.</p> <p>მოსწავლე იცენებს ტერმინებს „ჰომეოსტაზი“, „იმუნიტეტი“ განმარტების დონეზე, მაგრამ ვერ აკავშებს მათ ავადობა-ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციასთან/ მოსწავლეს აქვს ზოგადი, ზედაპირული წარმოდგენა ჯანსაღი ცხოვრების წესის და გარემოს დაცვის შესახებ, ვერ განსაზღვრავს მის როლს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.</p> <p>მოსწავლე ხსნის ტერმინებს „ჰომეოსტაზი“, „იმუნიტეტი“ და ახდენს მათ იდენტიფიცირებას ავადობა-ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ სიტუაციაში. ჩამოთვლის ჯანსაღი ცხოვრების წესის სხვადასხვა ფაქტორს და ითვალისწინებს გარემოს დაცვის მნიშვნელობას ჯანმრთელობასთან მიმართებით.</p>

<p>სხვადასხვა დაავადების განვითარებას;</p> <ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვითი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის; 	<p>სოლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მოსწავლე აანალიზებს ჰომეოსტაზის და შრომისუნარიანობის შენარჩუნების მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებით; ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს იმუნიტეტსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს შორის. ახდენს დაავადებების სიმპტომების, გავრცელების გზებისა და გამომწვევი მიზეზების მიხედვით კლასიფიცირებას, განსაზღვრავს პრევენციის გზებს.</p> <p>აანალიზებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.</p>
	<p>სოლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>	<p>მოსწავლე აფასებს, ასაბუთებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის სხვადასხვა ასპექტის მნიშვნელობას, გამოყოფს პრიორიტეტებს იმუნიტეტის, ჰომეოსტაზისა და, ზოგადად, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. შეუძლია ივარაუდოს, რა შეიცვლება ორგანიზმში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოსდაცვითი ღონისძიების დარღვევის პირობებში. მოჰყავს ცხოვრებისეული მაგალითები. შეუძლია საკითხის განზოგადება.</p>

სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	სოლო ტექსონომიის დონე	ტექსონომიის დონის შესაბამისობა ცნებასთან
<p>კვლევა მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპერიმენტის / ცდის, საველე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით • ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების ამსახველ მოდელებს ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები • კვლევა არის მრავალეტაპიანი აქტივობა, რომელიც იძლევა ბიოლოგიური სისტემებისა და პროცესების შესწავლის საშუალებას; კვლევის ძირითადი ეტაპებია: 	<p>სოლო 1: პრესტრუქტურული დონე. მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს.</p> <p>სოლო 2: უნისტრუქტურული დონე. მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება; იდენტიფიცირება, დასახელება ან დათვლა.</p> <p>სოლო 3: მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე</p>	<p>მოსწავლე ვერ ასახელებს კვლევის მეთოდებსა და კვლევის ეტაპებს ან ასახელებს, მაგრამ აცდენილია მნიშვნელობას, არსს. არ ესმის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობა.</p> <p>ჩანს, რომ მოსწავლემ გაიგო კვლევის კონკრეტული მეთოდის არსი. მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს მარტივ კვლევით დავალებებს.</p> <p>აგროვებს მონაცემებს, უჭირს მათი თვალსაჩინოდ წარმოდგენა და გაანალიზება. მისი თხრობა პრეზენტაციის დროს არ არის მწყობრი და თანმიმდევრული, ვერ ასახელებს კონკრეტულ მაგალითებს მაგ. ცვლადებს), შესაბამისად, ვერ ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.</p> <p>ესმის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობა, ზოგჯერ უჭირს დაცვა.</p> <p>მოსწავლემ სწორად გაიგო კვლევის კონკრეტული მეთოდის არსი. ასრულებს კვლევით დავალებებს</p>

<ul style="list-style-type: none"> საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, ცვლადების, პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნა მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების დაცვა კვლევის ჩატარების დროს; 	<p>ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. მას შეუძლია თვლა, აღწერა, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>	<p>მოცემული ინსტრუქციის მიხედვით, ირჩევს რესურსებს, აგროვებს და აჯგუფებს მონაცემებს, უჭირს მათი წარმოდგენა გრაფიკულად და გაანალიზება. მისი თხრობა პრეზენტაციის დროს არის მწყობრი და თანმიმდევრული. უჭირს მაგალითების მოყვანა, ვერ ასაბუთებს მოსაზრებებს. იცავს უსაფრთხოების ნორმებს, ზოგჯერ სჭირდება შეხსენება.</p>
<ul style="list-style-type: none"> მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ეფუძნება კვლევების გზით გაკეთებულ აღმოჩენებს, თეორიებსა და კანონებს; მათი შესწავლა და კვლევითი უნარების გამო-მუშავება მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, პროფესიების არჩევისა და დაუფლებისთვის 	<p>სლო 4: მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. ფორმების გაგება ქმნის სტრუქტურას და ამგვარად აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეადაროს, დაამყაროს მიმართებები, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას მიზეზებისა და შედეგების კუთხით. შეუძლია კონკრეტული კრიტერიუმის შერჩევის საფუძველზე კლასიფიცირება.</p>	<p>მოსწავლეს სწორად ესმის დავალების არსი, რომლის საფუძველზე ადგენს კვლევის გეგმას, სვამს საკვლევ კითხვას, აყალიბებს ჰიპოთეზას, ასახელებს ცვლადებს, განსაზღვრავს რესურსებს, აანალიზებს მიღებულ მონაცემებს, ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს დასკვნები. მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს ჩატარებული კვლევის ეტაპებს. ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. ესმის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობა, მსჯელობს უსაფრთხოების ან/და ეთიკის ნორმების მნიშვნელობაზე</p>
	<p>სლო 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>	<p>მოსწავლეს ზუსტად ესმის დავალების არსი, გეგმავს და ატარებს კვლევას. სვამს საკვლევ კითხვას, რომელიც კორელაციასა კვლევის მიზანთან. აყალიბებს კვლევის კონტექსტზე დაფუძნებულ ჰიპოთეზას და ამყარებს არგუმენტებით. აანალიზებს მიღებულ მონაცემებს, ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს დასკვნები. ასაბუთებს, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ეფუძნება სხვადასხვა კანონზომიერების აღმოჩენასა და თეორიას.</p> <p>გამომუშავებულ კვლევით უნარ-ჩვევებს უკავშირებს ყოველდღიურ ცხოვრებას, მსჯელობს მომავალ პროფესიაზე.</p> <p>გასაგებ ენაზე თანმიმდევრულად გადმოსცემს კვლევის ეტაპებს. კონკრეტულ კვლევას განაზოგადებს სხვადასხვა მაგალითების საფუძველზე.</p> <p>მსჯელობს უსაფრთხოების ან/და ეთიკის ნორმების მნიშვნელობაზე, მიუთითებს მეგობარს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში.</p>

გამოყენებული ლიტერატურა

1. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი – საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტი, 2020;
2. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი – სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2020;
3. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი – ეროვნული სასწავლო გეგმის გამკვლევი ბიოლოგიაში (VIII-IX კლასები) – 2013;
4. ია კუტალაძე (რედ.) – ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია, 2010;
5. მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი – განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018;
6. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე – განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008;
7. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – საკითხავი მასალა (მოდული: „აქტიური სწავლება ბიოლოგიაში“), 2017;
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, 2007;
10. **USAID**/საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ – ცხოვრების ჯანსაღი წესი და უსაფრთხო ქცევა (აქტივობების კრებული).

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 220

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე: www.klio.ge და/ან <https://biologiiswigni.blogspot.com/>

ISBN 978-9941-496-10-3



9 789941 496103



დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში